




N42(71) 18/X.-24/X.2001. უსნი 60 თ.



ახალი რუბრიკა
ქალი საჭესთან

SOS!

**„გვირგვინ დედა“
სხრა შვილიდან
რთხი გაყიდა**

91

**თუ
გვასულია
განმანით
სამშროს
ეძებს**

1168
2001




**რისტვის დედინან
ეროსი კინგარიზვილი
და მისი გეუღლე
მონტა-კარლოში**


**როდის უბრუნდება
„რუსთავი 2“-ის გელოგეალი ოჯახს**

თემურ რცხილაძე:
„ქორცილში ნეზა-დადოვალმა
მითხრა — ამ სიბღარის
წყალობით შეგვიყვარდა
ერთმანეთი და მისი
წყალობით
დავქორცილდითო...“

33.24



შეტაკებები სოსხეიდან ორი კილომეტრის დაშორებით ხდება...



აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაც ვრცელდება. სამწუხაროდ, იქამდე ვერ დავადგინეთ, მართლა მოკლეს თუ არა აფხაზი გენერალი ან ვინ იყო ის, ვიდრე ქართველ პარტიზანს არ შეეხვდით.

4

მინიატურები

„ყველა ყრუი, ყველა სრუი...“ 3

აფხაზეთი

შეტაკებები უკვე შუაგულ აფხაზეთში, სოსხეიდან ორი კილომეტრის დაშორებით ხდება... 4

ქალბატონი

ეროსი კინეზოლოგიის საყვარელი ქალის, მოსახიბლად ერთი წელი დასჭირდა 6

პოლიტიკა

„საქართველოსთვის აფხაზეთის დაბრუნება დღეს რუსეთის ინტერესებშია“ 8

შეამოვნეთ თქვენი სოფელი

ტენტი ერუნიძისაზე 9

ქალი საქმეთა

თეა გვასალია „კიუნდაით“ დაქრის და შვილზე ოცნებობს... 10

დედაქალაქი

მეტროპოლიტენის გვირაბი „თავისუფლების მოედნიდან“ მთავრობის სასახლეზე მიდის 12

SOS!

გმირი დედა შვილებს ყიდის! 15

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 17

ნაფიქარი აზრები

მოდას აყვარებული შეყვარებული გურული 18

კრიტიკა

● ოლგა გორელიძე ბავშვების უკანონოდ ყიდვა-გაყიდვას დღეზე უარყოფს 20

● ტაქსის მძღოლს დანით 14 ზრილობა მიაყენეს 22

ანტიდაკრინატი

ინფორმაციულ-შეგნებებითი კოლაჟი გონა ღვალის უბის წიგნაკიდან 24

ავალუა

თემურ რსხილაძე შვილს სიმღერას უკრავს 24

იარაღი

ღებენდარული „კალაშნიკოვი“ პოზიციებს არ თმობს 26

ეზოტოკა

მოგაგებოქალი ქალები საბჭოთა გეოლოგებს ღობინში ცეკვას ასწავლიდნენ 28

ფსიქოლოგიური თაბაში

შეგიძლიათ თუ არა ყურადღება მიაქციოთ წვრილმანებს? 31


თეა გვასალია „კიუნდაით“ დაქრის და შვილზე ოცნებობს...

ამბობენ, თეა გვასალია ქმარს გასცილდა, კაბა დაიმოკლა და ახალი ცხოვრება დაიწყო. ამიტომ რუბრიკის – „ქალი საჭესთან“ საპრემიეროდ, სწორედ თეა მოვიწვიეთ და გადავწყვიტეთ, მასთან მანქანებზე, ავტოინსპექტორებსა და პირად ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე გვესაუბრა.



10

გმირი დედა შვილებს ყიდის!



ორივე უბედურები და საცოდავები ვიყავით. ერთი თვე ასე გამეხებულმა იარა ჩემმა ქმარმა, მერე ცულს ხელი დაავლო, გავარდა ბადის ბოლოს, დადო ჯირკმე ხელი და ორი თითი საკუთარი ხელით მოიჭრა...

15

ეროსი კინეზოლოგიის საყვარელი ქალის მოსახიბლად ერთი წელი დასჭირდა

ყველაზე ბედნიერი დღეები ჩემთვის მაინც, აგვისტოს ბოლოს ღებდა ხოლმე: უკვე რამდენიმე წელია, რაც მე და ეროსი ამ პერიოდში ერთად დასვენებას ვახერხებთ მონტე-კარლოში.



6

საქართველოს
მსოფლიო
გიგანტი

სამყარო	ვახუშტი ბრატ ღრუპულასთან ერთად	32
წინდაწინა	ულანოთა ქალაქეუოელი	34
საბანური	„სისე ჟორტუნა“ – ბუნდერების ღმერთქალი არეაზიდან ინვლისელებს „არ ამოხვეს“	35
ფაქორიბანი	ჩოგაურთის ღოლიტა რუსეთიდან	36
მომზაურის ღლიურები	ბორონტოში ჩახოსხილი, ულარჯი და სანივი მოგვართვეს	40
პარსკვლავი	პენელოპა კრუსი – სოლუბის რისხვა	42
რომანი	თინა – ღალაქიშვილი, ღაღო ნავსირელი. გვარაკი (ბაბრკაქაქა)	45
აქეთური-იქითური		48, 49
ავაო	ურანკურტის კრევიერები	50
ტანტი	ერთგული ვაითხველი	51
ჯანმრთელობა	● გორნოგური ინფექციები	52
	● თაჟლი	
	თირკვლის ღაავალევაები	53
	● ბანუხვამ თუ არა თირკვლები	53
	● სამკურნალო მენარეები – მონვი	54
	● ღიასასლისის კუთხე	54
	● კითხვა-პასუხი	55
საქანის აფაიანა	მარშალ ვაკლუნეი – ულექტონული ეპოქის გურუ	56
სამილი	ბერონისტი კავიკაქის ღლიური	60
სანეოროი		61
პოროქოვი	კვირის (22-28 ოქტომბერი) ასტროლოგისური პროგნოზი	62
ტანტი	გყავთ თუ არა მტრები?	63
კალიდოქოვი	ჩრელ-ჩრელი აგაგაი	64

მოზაიკული ქალები სოჭოთა გეოლოგებს ღოგინევი მებავს ასნავლიდნენ




მართალია, შაკეანიანები არიან, მაგრამ რომ შეხედავ, თვალს ვერ მოსწყვეტ. თავიდან, არანორმალურად გვიჭირდა ყველას: არაჩვეულებრივი ქალები, რომ იგყვიან, პირდაპირ „გვახტებოდნენ“, ჩვენ კი თავს ვიცავდით.

28


ღებუნდარული „კალაშნიკოვი“ პოზინიებს არ თმობს

რა უნდა უშლიდეს ატომური ბომბების, ფრთოსანი რაკეტების და „უხილაევი“ ბომბდამშენების მქონე ქვეყანას, რომ ერთი, გადამწყვეტი იერიში მიიტანოს პლანეტის ტერორისგთა ბუდედ შერაცხულ ავღანეთზე. წარმოიდგინეთ, პენგაგონი თალიბების... ნახევარსაუკუნოვან „კალაშნიკოვებს“ უფრთხის.



26

პენელოპა კრუსი – სოლუბის რისხვა




ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ პენელოპა კრუსი, ესპანელი ღამაზმანი სოფი ღორენის შემდეგ ამერიკაში ყველაზე ცნობილი ევროპელი მსახიობი გახდებოდა და ერთიმეორის მიყოლებით, ჰოლივუდის პოპულარულ მამაკაცებს მოხიბლავდა.

42

ბეზრეყი

– ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, ყველაფერი ჰალუცინაციების ბრალია?
 – კი, სწორად გამიგეთ...
 – შეიძლება ვცდები, მაგრამ მე მგონია, რომ დედაჩემმა შეგნებულად მოიკლა თავი...
 – ნაკლებად დასაშვებია... – გაუბედავად ჩაიღაპარაკა ექიმმა. იგორი წამოდგა.



45

ბარეკანხა: გიორგი შორეულიანს კოლაში
 ხანოგადლომპრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ ბაიოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით ბავშით „კვირის კალიტრის“ ღამათვაა ეურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ოქტაქვის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასლის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი მენეჯერი: კიაზო ბინინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ყველა ყრუი, ყველა ცრუი...“



„მგელს მგლობა დაბრალდა და მელამ ქვეყანა დააქციაო“ – ნათქვამია. მელა სიტყვას მოჰყვა, თორემ არავისზე მინიშნებას არ ვაკეთებ, უბრალოდ, ჩემს ამბავს ვგულისხმობ: დამარქვა ერთმა კაცმა „პროვოკატორი“, პირველი პუბლიკაციის შემდეგ და იმის შემდეგ, ქვეყანაში, სადაც კენწეროდან ფესვებამდე პროვოკატორთა სარბიელია გამართული, ყოველკვირა ამ საჩოთირო „ფსევდონიმი“ მიხდება ჩემი საყვარელი მკითხველის წინაშე წარდგომა. არადა, არც ვგარი მაქვს ვინმეზე ნაკლები და არც სახელი (ჩემი აზრით, რასაკვირველია). ლამის არის, საკუთარი შვილებიც „აფერისტს“ და „პროვოკატორს“ მეძახიან – ჩემს „ნათილას“ მიეცეს ჩემი ცოდვა, რომელიც იმ „კოლმეურნების თავმჯდომარისა“ არ იყოს (ფილმიდან), „გვარს არ დავასახელებ და „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთი „შეფთავანია“ და საერთოდ – სახელისა და ღირსების შელახვისთვის, აქედან გამომდინარე, მორალური ზარალისათვის, კატეგორიულად მოვიითხოვ მატერიალურ კომპენსაციას, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის, ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული პორტრეტების სახით!

ისე, ხუმრობა იქით იყოს და, მგონი ის დროა, როდესაც თუ მომენტს გამოვიყენებ, მართლა სახლებში დაიკიდებს ხალხი პრეზიდენტის სურათს და განსხვავებული სასმისითაც დალევის მის სადღეგრძელოს. თუ არა და, დაკიდება მარტო სურათის და მარტო კედელზე კი არ შეიძლება... მომენტი რომ ვახსენე, აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას ვგულისხმობდი: ჩვენმა სოხუმში აიღესო, მერე – ჩვენებმა კი არა, ჩენებმაო, კიდევ მერე – სოხუმში კი არა, სოხუმის სატელევიზიო ანბაო, კიდევ, კიდევ მერე – ანბა კი არ აიღეს, ანბის ყარაული დაატყვევესო, კიდევ იმის მერე – ის ყარაული ორი წლის წინ მოუსხნიათო, ბოლო ინფორმაციით კი – სოხუმის ანბას არასოდეს ჰყოლია ყარაული, რადგან საერთოდ არ არის სოხუმში სატელევიზიო ანბაო!..

სამაგიეროდ, – გვიხაროდა: „ხო ეტირათ დედა!“ „მაღაღეც, გელავე!“ „გაისად გავრაში ვისვენებ, ძმაო!“ და ა.შ. დაახლოებით ისეთი სიტუაციაა, ფეხბურთის ერთი გულშემატკივარი მეორეს რომ ეუბნება:

– გაიგე ახალი ამბავი? იტალიისა და რუმინეთის ნაკრებებისთვის ფიფას დისკვალიფიკაცია მოუცია და ჩვენები მიდიან მსოფლიო ჩემპიონატზეო!

– ტყუილი იქნება...
– ტყუილი კია, მაგრამ ხო მაგრა ასწორებს!

არადა, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჩვენც არ ვიცით, რა არის ტყუილი და რა – მართალი. ჩვენი „ზედემოკრატიული“ ტელეკრებების მთავარი ინფორმატორები მოწინააღმდეგე მხარის თანამდებობის პირები არიან და ისინიც არ გვზარდებიან, ყოველ საღამოს პირდაპირ ეთერში მოგვაწოდონ ცხელ-ცხელი, რა თქმა უნდა, სათავისო ინფორმაცია.

ეტყობა, ესეც პოლიტიკაა – ათას პარტია და იდეოლოგიაგამოცვლილი ჩვენი პრეზიდენტისა და მისი თანამოაზრეების ახალი პოლიტიკა: კომუნისტობიდან დაიწყეს და მარჯვნივ-მარჯვნივ სარუ-ლით (სიტყვით მაინც), ლამის მონარქისტობამდე მივიდნენ. ახლა

იფიქრეს, – ბარემ ანარქისტობაც ვცადოთო და ანარქისტული იდეოლოგიის მთავარი პოსტულატის ცხოვრებაში გატარებით დაიწყეს, რომელიც ასი წლის წინ ასე ჟღერდა რუსეთის არეულ იმპერიაში: **Анархия - мать порядка!** ამიტომ არ არის საჭირო კრიტიკანობა და კრიჭაში დგომა: რაც კეთდება, ალბათ ასეა საჭირო – ის ანბის ამბავიც, რომ ჩენები „ხან არიან, ხან არა“, სოხუმში „ხან შევდივართ, ხან არა“, პუტინი „ხან ჩათლახნა, ხან ანგელოზი“ და ა.შ. ამ „შეგნებული ინფორმაციული ანარქიის“ კლასიკური მაგალითი იყო პრეზიდენტის ტრადიციული ბრთვინვი ორმაბათს – ბევრმა შეიძლება, ვერც კი გაიგო (ვინც „ახალ პოლიტიკაში“ ვერ ერკვევა) დაახლოებით ასეთი კითხვა-პასუხის აზრი:

– ბატონო პრეზიდენტო, როგორ კომენტარს გაუკეთებდით პუტინის განცხადებას საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ?

– მსოფლიო ბანკთან ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს და დახმარება კვლავ იქნება!

– მე პუტინის განცხადებაზე გეკითხებოდით...

– დიახ, განათლების სისტემის რეფორმა სულ მალე დაიწყება და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენს მომავალს წაადგება...

– მაგრამ პუტინი... და ა.შ.

დაახლოებით ისეთი ვარიანტია, ორი ყრუ რომ ხვდება ერთმანეთს: – აბანოში მიდიხარ?

– არა, კაცო, აბანოში მივდივარ.

– ჰოო... მე მეგონა, აბანოში მიდიდიო...


სულმნათი ილია ამბობდა: „ჩვენისთანა „ბედნიერი“, განა არის სადმე ერი?! – ყველა ყრუი, ყველა ცრუი...“ დანარჩენი – ამჯერად არ არის „აქტუალური“, მაგრამ „ცრუს“ რომ „ყრუც“ დაემატა, ეს იმედს იძლევა, რომ „დანარჩენ ბედნიერებებსაც“ მალე ველირსებთ!

P.S. ომია თუ ომობანა, „სიჩუმის პოლიტიკა“ თუ „სიყრუის ზეიმი“, მაინც უხერხული მგონია, რომ თავდაცვის სამინისტროდან კრინტი არ ისმის...

ისე, ამ ბოლო დროს, ჩვენს ჟურნალში შემოღებულ ახალ რუბრიკაში, რომელიც ქართული გვარების წარმოშობას გვაცნობს, წინასწარ ვარ დარწმუნებული, ჩვენი თავდაცვის მინისტრის გვარის შესახებ რა ითქმება – იმის წინაპრებიც, ალბათ, თევზებივით ღუმდნენ...

კიდევ ერთი, თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით: ამ ჩემს „პროვოკაციას“, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ბლანკთან ქალაქებზე ვწერ, რომელსაც, თუ მოიკითხავენ, მათ უთავბოლო პატრონებს დაუბრუნებ – საკუთარი ქალაქები ვერ შეუნახავთ და მოსთხოვე ამათ აფხაზეთის „შენახვა“...

პროვოკატორი



აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ხელისუფლების ყველა შტოში აზრთა სხვადასხვაობასთან ერთად, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაც ვრცელდება. სამწუხაროდ, იქამდე ვერ დავადგინეთ, მართლა მოკლეს თუ არა აფხაზი გენერალი ან ვინ იყო ის, ვიდრე ქართველ პარტიზანს არ შეეხვედით და იგივე ინფორმაცია აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შს მინისტრთან არ დავაზუსტეთ. ქართველი პარტიზანი მოგვითხრობს:



შეტაკები უკვე შუაგულ აფხაზეთში, სოსუმიდან ორი კილომეტრის დაშორებით სდება...

თამაზ საბეიშვილი

— თბილისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოკლულია აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი. მართალია თუ არა ეს?

— სრული სიმართლეა. გენერალი გახლდათ თავდაცვის მინისტრის მოადგილე გივი შინკუბა, რომელიც სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა. გენერლის სიკვდილმა ააფორიაქა აფხაზები. მათი უშიშროების მინისტრი განკარგულებას განკარგულებაზე იძლეოდა. გაძლიერდა არმიზმისა და სხვა მალაქინოსანთა დაცვა. საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემდეგ, საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს, რამაც საქმეს ვერ უშველა — ხალხი უფრო დაფრთხა და ტერიტორია დატოვეს ბერძენებამც, სომხებამც და აფხაზების გარკვეულმა ნაწილმაც.

— ითქვა, აფხაზებმა 200 კაციანი ქართული რაზმი ალყაში მოაქციესო.

— ცუდად ნუ გამოგებთ, მაგრამ ეს

ინფორმაცია სასაცილოდ არ ეყოფა საქმის არსში ჩახედულ ადამიანს, რადგან 200 კაცი, თანაც პარტიზანი, ერთად არასოდეს იკრიბება. მეტიც, უმრავლესობამ ერთმანეთის ადგილსამყოფელიც კი არ იცის. სხვათა შორის, ზოგჯერ არც ის არის ცნობილი, თუ ვინ სად შეუტევეს. პოზიტიური ბრძოლა იცით, როგორ იწყება? მთიდან ვაფიქსირებთ, რომ ამა და ამ ტერიტორიაზე ბოევიკების სიმცირე შეინიშნება და შეიძლება იქ შეტევა. რამდენიმე ჯგუფი, დაფანტულად, სხვადასხვა ადგილიდან ხსნის ცეცხლს, მტერი ამით იბნევა და პოზიციებს თმობს. შეტევები ხორციელდება აფხაზებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებშიც. წინააღმდეგობას ვერ გვიწევენ, რადგან ხალხი არ ჰყოფნით. რაც შეეხება ალყას, ესეც ხდება ხოლმე. როგორც გავიგე, თუ არ ვცდები, სოფელ შაუმიანოვკაში აფხაზებმა ის ტერიტორია მოაქციეს ალყაში, სადაც, რამდენიმე ათეული ქართველი ეგულებოდათ. რკალი ნელ-ნელა შეავიწროვეს და ბიჭები მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ მალე აფხაზების ერთი ნაწილი თავად აღმოჩნდა ალყაში, რადგან ალყაში მოქცეულ ქართველებს გარედან სხვები მიეხმარნენ.

— მარტო აფხაზები იბრძვიან, თუ რუსე-

ბიც ეხმარებიან?

— აფხაზებს რუსებიც ეხმარებიან, არაბებიც და ჩეჩნებიც. ბასაევის მეუღლე გულრიფშელი აფხაზია. ცხადია, მხარში უდგანან, მაგრამ არა ისე, როგორც 1992-93 წლებში. რამდენიმე შეტაკების დროს, დნესტრისპირელი კაზაკებიც დავაფიქსირეთ. თუმცა, კიდევ ვიმეორებ: ისინი ცოტანი არიან. ჯგუფები არც ორგანიზებულია და არც მობილური. ამბობენ, აფხაზების დამხმარეთაგან უამრავი უკან გაბრუნდა, რადგან ბრძოლების განახლების პერიოდში აფხაზეთი დატოვა უამრავმა ისეთმა პირმა, რომელსაც ხელში იარაღი უნდა აეღო, ვისი იმედიც ჰქონდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დრო დადგა!

— ასევე საინტერესოა გაეროს შვეულმფრენის ჩამოგდების ფაქტიც. პასუხისმგებლობა ორივე — როგორც ქართულ, ისე აფხაზურ მხარეს დაეკისრა. შეიძლება თუ არა, შვეულმფრენი ქართველებს ჩამოეგდოთ?

— შვეულმფრენი ჩამოავდეს სოფელ გეორგიევსკაში, აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მისი ჩამოგდების წინა დღეს, ანუ 24 საათით ადრე, იქ პარტიზანებს პოზიციური ბრძოლები ჰქონდათ. შემდეგ ქართველები, წესისამებრ, გაიფანტნენ და ტერიტორია აფხაზებმა დაბომბეს — ასე ვთქვათ, გაწმინდეს. ახლა გეკითხებით: რომელი ბრძოლის მცოდნე, ჭკუათმყოფელი კაცი გაჩერდებოდა იქ, სადაც



აფხაზები შევიდნენ? არ ვიცოდი, თუ გაერომ ორივე მხარეს დააკისრა პასუხისმგებლობა, მაგრამ ვფიქრობ, ეს იმიტომ მოხდა, რომ მოკლული ქართველი თარჯიმნის დედა ირინა აბრაშკევიჩი, აფხაზური ორიენტაციისაა და გაეროში მუშაობს.

— საინტერესოა, რას აცხადებენ აფხაზური საინფორმაციო საშუალებები?

— თითქმის ერთსა და იმავეს. მაგალითად, ერთი ე.წ. გმირი ჰყავთ, მშვიდობიანობის დროს ტრაქტორისტი იყო, ვინმე აიკ კისიანი. ეს ტრაქტორისტი, ტელევიარსკვლავი გახდა — ხან ჭკუას ეკითხებიან, ხან ინფორმაციის მიწოდებას სთხოვენ. ისიც თავს იქებს და იფასებს. არადა, გულახდილად გეუბნებით, რომ ჩვენ, ქართველებს, ამ გმირისთვის ბრძოლის დროს, ყველანაირი მამაკაცური ღირსება აყრილი გვაქვს. აფხაზებმა კი ის გმირად გამოაცხადეს, რადგან ტყვეებს სასტიკად უსწორდებოდა. ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ აფხაზების პოპულარული ტელეწამყვანი, გვარად კვარაცხელია. ორიენტაცია აფხაზური აქვს, დედა ქართველი ჰყავს. ეს ლაწირაკი ბიჭი ისეთ ღვარძლს ანთხევს ქართველების მიმართ, რომ მიკვირს, ამ თითისტოლა ნაბიჭვარმა როგორ მოახერხა ამხელა ბოღმის დაგროვება. საინფორმაციო ომს დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ერთხელ ხმა გავარდა, ქართველებს დასახმარებლად რუსები მოჰყავთო, — უნდა გენახათ, რა მუცლის გვერემა აუტყდათ. ასე რომ, ღირს დაფიქრებლად — გამწარებული ხალხი მორალურ მხარდაჭერას, იმედს საინფორმაციო საშუალებებისგან ელის, თანაც, იმედის დიდი საფუძველი გვაქვს. ამ აზრს განმიმტკიცებს კიდევ ერთი ფაქტორი: გავრცელდა ინფორმაცია, სეპარატისტებს საკვები პროდუქტები არა აქვთო. ტელევიზიით აჩვენეს ალბერტ ემუქსუზიანი, ყოფილი კოლმეურნეობის თავჯდომარე, ახლა გულრიფშის რაიონის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსი, რომელმაც განაცხადა — სურსათი უხვად გვაქვსო და ერთი დიდი, დაკეტილი საწყობი აჩვენეს — ვითომდა აქ არის, რაც არისო. იმ ობიექტთან ახლოს ნაღმი აფეთქდა, საწყობის კედლები ჩამოინგრა

და გამოჩნდა, რომ შიგ ცარიელი ყუთების გარდა, არაფერი იყო.

— შეგვიძლია თუ არა ჩენების ნდობა?

— ჩენები და ქართველები საბრძოლო მოქმედებებს ერთად, ფაქტობრივად, არ ახორციელებენ. ცხადია, ჩენებს რაღაც სურვილი ამოძრავებთ, მაგრამ გვეხმარებიან კიდევ, ანუ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. რაც შეეხება ნდობას — ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი...

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შს მინისტრი მამუკა ნაჭყეია:

— აფხაზებს გამარჯვების შემდეგ, წესით, ხელში თოხი უნდა აეღოთ და ეკონომიკაზე ეზრუნათ. ამის გამკეთებელი კაცი არ აღმოჩნდა. იმდღავრა კრიმინალმა, დაიწყო სფეროების გადაწვლა. ე.წ. ხელისუფლება იძულებული გახდა, მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინა ყაჩაღებთან, რამაც ხალხში უკმაყოფილება წარმოშვა. იქაურმა პოლიტიკურმა ავტორიტეტებმა — ნათელა აკრამ, ლეონიდ ლაკერბაიამ, თამაზ ქეცამ, ოლეგ დამენიამ და დალილა ფილიამ — გააკეთეს ერთობლივი განცხადება არძინაზს ე.წ. ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ხალხს მოსახლეობაში საყრდენი აქვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი თავის მიწაზე თავადვე ზრუნავდა და არ ყოფილა დამოკიდებული გადატაკებულ აფხაზურ ხელისუფლებაზე: საქონელიც ჰყავს, ციფრუსებიც მოჰყავს... აფხაზეთში დღეს 80 ათასი ქართველია. სიტუაცია ისე მომწიფდა, რომ უკვე შუაგულ აფხაზეთში, სოხუმიდან 2 კმ-ის დაშორებით, მაჭარაკაში მოხდა შეტაკება. მერწმუნეთ, ვითარება მომწიფდა...

— ბატონო მამუკა, სომ არ ჰგავს დღევანდელი ვითარება გალში მაისში მომხდარ მოვლენებს?

— არა, რადგან გალის მოვლენები აფხაზეთის პროვოცირებული გახლდათ. მაშინ ქართველები იქ მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის გამოსაყვანად შევედით.

— თუ ყველა ინფორმაციას ფლობთ, ისიც გიცოდინებათ, რით დავიმსახურეთ ჩენების თანადგომა?

— სოხუმში 1987 წელს შეიქმნა ჩრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სოსლანბეკოვი. ისინი წლების განმავლობაში ძალზე აქტიურობდნენ, ჰქონდათ მიმოსვლები, კავშირები და სხვ. ამ დროს ჩვენი ხელისუფლება უძლური გახლდათ. დაიწყო ომი, აფხაზებს მიემარნენ კონფედერატები — იმ იმედით, რომ აფხაზეთში დასახლდებოდნენ. დასახლდნენ კიდევ, მაგრამ სახეირო ვერაფერი ნახეს. თანაც, როცა ჩენეთრუსეთის ომი დაიწყო, აფხაზები ჩენებს ვერაფრით დაეხმარნენ. ყოველივე ამან გამოიწვია უკმაყოფილება. აფხაზეთის ომის შემდეგ, კონფედერაციაც დაიშალა, სოსლანბეკოვიც მოკლეს და ამ ერების გამაერთიანებელიც აღარავინ აღმოჩნდა. აფხაზებმა რუსებთან მოინდომეს დაახლოება, რითაც ჩენებს იმედი გაუცრუეს. ჩამოვარდა ფარული კონფლიქტი, ჩრდილო კავკასიიდან გულრიფშის რაიონში 11 გადმოსასვლელია, მხოლოდ სამს ვაკონტროლებთ. ისიც კოდორის ხეობაში, დანარჩენი რვა — თავისუფალია. იქ ვინ გადავა და გადმოვა, ჩვენ რა ვიცით? ან როგორ უნდა აუკრძალოთ გადმოსვლა, როცა ვერ ვაკონტროლებთ? ■



ქორწინების ათი წლის-თავზე, სამუხრებლო არხის „რუსთავი 2“-ის მფლობელის მეუღლემ, პროფესიული განვითარების სტუდიისა და მოდელის სააგენტოს „იმიჯ-ცენტრის“ ხელმძღვანელმა, ია კინმარიშვილმა აღმოაჩინა, რომ დედ-მამას, საოჯახო ალბომში, ბავშვებთან ერთად გადაღებული სურათები არ ჰქონია...

დაახლოებით ნახევარი წელია, რაც „იმიჯ-ცენტრი“ შეიქმნა. ია კინმარიშვილი თვლის, რომ ამ ხნის განმავლობაში, დიდი ძალისხმევის შედეგად, წარმატებებს მიაღწია.



ეროსი კიწმარიშვილს საყვარელი ქალის მოსახიბლად ერთი წელი დასჭირდა

ია თულაშვილი

— საქმეს, რომელსაც თქვენ მოჰკიდეთ ხელი, საქართველოში მწვანე შუქი არ უნთია, არ გეშინოდათ?

— შეშინებით არ შეშინებია, რადგან ეს ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ძალიან მომწონს ლამაზი, მოვლილი ქალები. მიმაჩნია, რომ არსებობენ მოვლილი და მოუვლელი მანდილოსნები — ცნება ნაკლებად ლამაზი ან ულამაზო ჩემთვის საერთოდ არ არსებობს... ყოველთვის მინდოდა იმ სფეროში მოღვაწეობა, რომელსაც მართლაც არ უნთია მწვანე შუქი. მცდელობაც მქონია და ვნახე, თუ რამდენი გაუგებრობა, სრული ქაოსი, აბსოლუტურად განსხვავებული აზრები სუფევდა. ამან კი არ შემაშინა, პირიქით — სწორედ ამ წინააღმდეგობებმა მიბიძგა, რომ გამეკეთებინა ის, რასაც ჩემთვის და მომავალში, ჩემი შვილებისთვის ვისურვებდი.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ უკვე რაღაც შექმენით და გყავთ თუ არა ე.წ. ევროპული სტანდარტების მოდელები?

— მე მიმაჩნია, რომ ჩვენი სააგენტო არის პატარა ოაზისი საქართველოს სამოდელი ბიზნესში. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ მოდელებს და არა მარტო მათ, ყველა მსურველს ვასწავლი ისეთ მარტივ რაღაცებს, რაც ნებისმიერ სხვა სპეციალობაში გამოადგებათ: იყვნენ თვითდაჯერებულები, დასვეწილები, ლამაზები. რაც შეეხება ევროპულ სტანდარტებს, ის შეიცვალა: თუ ადრე, აუცილებლად რაღაც დადგენილი წონის, სიმაღლის, ფერის უნდა ყოფილიყო მოდელი, ახლა მთავარია ინდივიდუალურობა. მიმაჩნია, რომ ზუსტად ასეთი ინდივიდუალური და სახასიათო გარეგნობის მოდელები მყავს. ყველა მათგანი ძალიან საინტერესოა და მიჭირს რომელიმეს გამორჩევა. გასულ ზაფხულს მოვაწყვეთ პირველი ჩვენება — ეს იყო მცდელობა, გვეჩვენებინა მასურებისთვის, თუ როგორი შოუს წარმოდგენა შეგვიძლია. საქართველოში რეალურად, სანახაობა არ არსებობს. ყოველთვის სულ სხვა რაღაცაში გადაიზრდება ხოლმე... ვეძებდით ღიზაინერს, რომელსაც ექნებოდა მზა კოლექცია და ასეთი ბენიერი შემთხვევა, ზალიკო ბერგერი აღმოჩნდა. კმაყოფილი ვარ ამ ჩვენებით, რად-

გან სრულიად განსხვავებული გამოვიდა. თვითონ მოდელები ძალიან მონდომებულები იყვნენ, ორგანიზაციაც მაღალ დონეზე გაკეთდა. სხვათა შორის, ამ ჩვენების სატელევიზიო ვერსიასაც ვამზადებთ.

— ალბათ „რუსთავი 2“-ზე გავა, არა?

— რა თქმა უნდა (იცინის). თუმცა, თუ სხვა არსებობს გამოთქვამენ სურვილს, წინააღმდეგი არ ვარ.

— რამდენადაც მახსოვს და თუ არ ვცდები, დაახლოებით 1993-94 წლებში თქვენ კერძო კურსებზე დადიოდით, სადაც მეუღლეს მიგაცილებდათ ხოლმე...

— კი, კი (იცინის). არ ცდებით — ნამდვილად 93-94 წლები იყო. მაშინ, სხვათა შორის, წარმატებაზე არ მიფიქრია. უბრალოდ, გამიჩნდა იდეა და სურვილი, რაღაც გამეკეთებინა მოდის სფეროში. პირველ რიგში, რაც გავაკეთე, ეს იყო შეიპინგ-კლუბი რუსთავში, მაგრამ ამას დაძაბული პერიოდი დაემთხვა. მაშინდელი ცოდნა და გამოცდილება ბევრ რამეში გამომაღდა, თუნდაც მოდელის შერჩევა-შეფასებაში. ვთვლი, რომ საერთოდ, ნებისმიერი გამოცდილება ცხოვრებაში, მომავალი წარმატების აუცილებელი წინაპირობაა.

— რადგან სიტყვა მეუღლეს ჩამოვარდა, თქვენი წინსვლა, მისი დამსახურება ხომ არ არის?

— საერთოდ, ალბათ მეუღლეების ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ერთმანეთის დამსახურებაა. მე და ეროსის ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დავაკონკრეტებ — არაჩვეულებრივი, ჰარმონიული. ძალიან ვცემთ პატივს ერთმანეთს, ანგარიშს უწევთ ერთმანეთის აზრებს, სურვილებს და ყოველთვის ხელს ვუწყობთ ერთმანეთს. მე არ ვგულისხმობ მაინცდამაინც ფინანსურ ხელშეწყობას. უპირველესად, ეს არის მორალური და მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ — მატერიალური. ისე, მე მგონი, დასამალი არ არის, რომ ნებისმიერ საქმეს სჭირდება ინვესტიცია და ნებისმიერი ქალი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, თავის მეუღლეს სთხოვს დახმარებას.

— როდის გაიცანით ერთ-

მანეთი?

— ოქტომბერში 10 წელი სრულდება, რაც დაეკორწინდით.

— რომელ რიცხვში?

— 19 ოქტომბერს. საკმაოდ ხანგრძლივი რომანი გვქონდა, ერთი წელი გრძელდებოდა.

— განა ერთი წელი ასეთი დიდი დროა?

— ხანგრძლივი მისთვის იყო, რადგან მას ვუყვარდი, მე კი — არა. მთელი წელი მონადრომა იმას, რომ დაემტკიცებინა, რა ძლიერ ვუყვარდი...

— როგორ?

— ძალიან ორიგინალური ხერხებით. მთამსვლელია და ამიტომაც, ბუნებით რომანტიკოსია.

— მაინც გაგვანდეთ, რომ სხვებმაც გაიზიარონ.

— (იცინის). ინტიმურ საკითხებზე დაწვრილმანება არ მიყვარს. ყოველთვის ძალიან კარგი თაყვანისმცემელი და კავალერი იყო. დღემდე ასეთია — სხვა შემთხვევაში, ერთად არ ვიქნებოდით: საერთოდ, ძალიან მომთხოვნი ვარ, საკუთარი თავის მიმართაც.

— რით გამოირჩევა ეროსი სხვებისგან ყველაზე მეტად?

— ის ზოლიაქოთი ლომია და საკმაოდ მბრძანებლური ხასიათი აქვს.

— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა: სამსახურში უკომპრომიზო, ოჯახშიც ასეთია?

— არა, ოჯახში საოცრად დამთობი და მოსიყვარულეა. მე კურო ვარ და ამიტომ, თითქოს დიდი წინააღმდეგობები უნდა გვქონდეს, მაგრამ მისი დამსახურებით, ეს არ ხდება ხოლმე. ოჯახში სამსახურის პრობლემებზე საერთოდ არ საუბრობს. მეც ასე მივეჩვიე და სამსახურის პრობლემებს ორივე სამსახურშივე ვტოვებთ ხოლმე. ალბათ სწორედ ეს გამოარჩევს სხვებისგან.

— ეროსის შეთავსებული ჰქონდა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორობა. ამ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, შეუმსუბუქდა თუ არა ტვირთი და თქვენ თუ იგრძენით ეს?

— ტელევიზიისთვის თავი არ დაუნებებია — მფლობელია და კვლავ კურიებს. ოდნავ გამოთავისუფლებულ დროს კი, უქმად არ კარგავს. ფეხი-

ფეხზე არ გადაუდია — ახლა გაზეთს აკეთებს.

— კარგად მახსოვს, დაახლოებით 1995-96 წლებში, როცა „რუსთავი 2“ ისურებოდა, ჩემთან დაიქადა: ეგენი (მონინააღმდეგეები) ნახავენ, როგორ ტელევიზიას გადაკეთებო... მაშინ ძალიან უჭირდა. თქვენ თუ გაიხსენებთ იმ პერიოდიდან რაიმეს? მხარში ედექით თუ მარტო იბრძოდა?

— ...ჰო, კიდევ ერთი გამორჩეული თვისება: როცა ბრძოლაშია ჩართული, ფაქტობრივად, შინ არ ბრუნდება.

— ე. იმ პერიოდში დიდი ხნით გადაკარგულია?

— არა, პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგოთ — ფიზიკურად კი არის სახლში, მაგრამ გონებით — სულ სხვაგანაა. როგორც უკვე ვთქვი, პრობლემებს თავზე არ გვახვევს. აი, როცა გაიმარჯვებს, მაშინ კი ყველანი შვებით ამოვისუნთქავთ ხოლმე — მეუღლე და მამა შინ გვიბრუნდება!

— თქვენს სამ შვილს ძალიან საქმიანი და დატვირთული დედიკო და მამიკო ჰყავთ. როგორ ეგუებიან ამ ამბავს?

— სხვათა შორის, არანაკლებ საქმიანები არიან თვითონაც. ლუკა და ანა სკოლაში დადიან, თეკლე — ბაღში. დადიან ცურვაზე, ცეკვაზე, ჩოგბურთზე, მუსიკაზე, ინგლისურზე და ტანვარჯიშზე. როგორ ასწრებენ ამ ყველაფერს, მე თვითონ მიკვირს. დღის ბოლოს, როცა ვიკრიბებით და უფროსე-

ბი ვამბობთ, რომ ძალიან დავიღალეთ, ისინიც იმავეს იმეორებენ, თან თავიანთ თავგადასავლებს გვიყვებიან. ყველანი მოუთმენლად ველით ხოლმე შაბათ-კვირას, რადგან ვიცით, რომ დავისვენებთ, გავალთ ქალაქგარეთ, გავერთობით და, რაც მთავარია, ერთად ვიქნებით. ზაფხულის მოსვლა ხომ ნამდვილი დღესასწაულია. თუმცა, ჩვენი მამიკო ზაფხულშიც მოუცლელია. ჩვენ კი დასასვენებლად, ძირითადად ზღვაზე დავდივართ ხოლმე.

— ალბათ ბათუმში, არა?

— ბოლო პერიოდში, უფრო ხშირად — ანტალიაში: ხარჯი იგივეა, რაც ბათუმსა და ქობულეთში, სამაგიეროდ, იქ ყველაფერი უფრო კომფორტულია. ყველაზე ბედნიერი დღეები ჩემთვის მაინც, აგვისტოს ბოლოს დგება ხოლმე: უკვე რამდენიმე წელია, რაც მე და ეროსი ამ პერიოდში ერთად დასვენებას ვახერხებთ მონტე-კარლოში. ამ დროს უეფას ჩემპიონთა ლიგის გათამაშების კენჭისყრა ხდება ხოლმე და იმ სამაუწყებლო არხების ხელმძღვანელებს იწვევენ, რომლებიც უეფას ტურნირებს უჩვენებენ: იმართება შეხვედრები, შემდეგ კონცერტი, მოუწარმოდგენები, სადილები და წვეულებები. ეს სურათიც (ჩემპიონთა თასთან) სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს არის გადაღებული. სურათზე გამახსენდა: საოჯახო ალბომშიც ვერ აღმოვაჩინე ჩემი და ეროსის ბავშვებთან ერთად გადაღებული სურათი, რადგან სულ ერთმანეთს ვუღებთ და ერთად ვერასოდეს ვხვდებით კადრში. მომავალში გავითვალისწინებ (იცინის).



შვილებთან ერთად

პარლამენტარი ირაკლი გობაძე, ახალი ფრაქციის ჩამოყალიბების შემდეგ, დსთ-სთან ურთიერთობის ქვეკომიტეტს აღარ თავკაცობს, მაგრამ ყველაზე კომპეტენტურად, ამ პოლიტიკური წარმონაქმნის ნეფრი ქვეყნების ურთიერთობებში მაინც სწორედ ის მივიჩნით. პარლამენტის ერთ-ერთ ახალ სახედ წოდებულ 27 წლის ბათუმელ დეპუტატს, თანამეგობრობის სახელმწიფოებთან საქართველოს კონტაქტების გარდა, შიდა საპარლამენტო ცხოვრებასა და თავის უახლოეს გვეგმებზეც ვესაუბრეთ.



„საქართველოსთვის პუხაზეთის დაბრუნება დღეს რუსეთის ინტერესებში უნდა იქნას“

იმო რიკაძე

— აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები ზოგს რუსეთის წინააღმდეგ წყლის დასხმად მიაჩნია, ზოგს — საქართველოსთვის მომგებიან სიტუაციად... რა ხდება სინამდვილეში?

— ნებისმიერ სიტუაციაში, სახელმწიფო ფრთხილად უნდა იყოს და პროვოკაციებს მოერიდოს. დღევანდელ მდგომარეობას ასე შევფასებდი: ეს არის გარკვეული კომპლექსი ღონისძიებებისა, რომელსაც მიმართავს საკუთარ სახლში დაბრუნების მსურველი ხალხი — პარტიზანები და არავის აქვს მორალური უფლება ამ ხალხს უთხრას — იარაღი დაყარეთო. ვერ ერთი, ეს ხდება საქართველოსთვის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე და მეორეც: ამ ადამიანებს დაუწვევს სახლკარი, ამოუწყვეტეს ოჯახი და მათი შეჩერება ძალზედ რთულია... რაც აფხაზეთში ხდება, ეს არ არის დაგეგმილი ქვეყნის ხელისუფლების მიერ. შეტაკებებში არ მონაწილეობენ საქართველოს რეგულარული არმიის ნაწილები.

— თქვენი ინფორმაციით, საკუთრივ სოხუმში რა ხდება?

— შეტაკება სოხუმის მიმდებარე — ე.წ. ფუნიკულიორის ტერიტორიაზე, სატელევიზიო ანძასთანაც მოხდა. გავრცელდა ინფორმაცია — სოხუმში აიღესო. მაგრამ ისეთი მცირერიცხოვანი ჯგუფები, როგორებიც იქ მოქმედებენ, ქალაქს ვერ აიღებდნენ. თუმცა ამ ჯგუფების მოქმედებებმა სერიოზული შემოთქმა გამოიწვია აფხაზ მოსახლეობაში: სოხუმელები პანიკაში არიან, ხალხი მასობრივად დაიძრა

რუსეთის ფედერაციის საზღვრისკენ, სოხუმში ნელ-ნელა იცლება... დაძაბული ვითარებაა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ამოვყურეთ სამშვიდობო საშუალებები და მერე მივმართოთ ძალისმიერ მეთოდებს.

— სამშვიდობო ძალების ამ ზონაში ყოფნაზე რას იტყვით?

— ეს მხოლოდ ფორმალურად არის დსთ-ის სამშვიდობო ჯარები, თორემ რეალურად, რუსეთის ჯარია — მასში ხომ სხვა ქვეყნების ძალები არ მონაწილეობენ. როგორც ცნობილია, პარლამენტმა მიმართა პრეზიდენტს რეკომენდაციით, მოითხოვოს სამშვიდობო ძალების გაყვანა. პრეზიდენტმა მიმართავს დსთ-ის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს. ამ საბჭოს უახლოესი სხდომა დანიშნულია 30 ნოემბერს, მაგრამ შესაძლებელია, გადაწყვეტილება ექსტრენული გამოკითხვის წესით იყოს მიღებული: სახელმწიფოების მეთაურებს შეუძლიათ, ოფიციალურად შეგვატყობინონ თავიანთი გადაწყვეტილება. ამდენად, საკითხი სამიტამდეც შეიძლება გადაწყდეს. ვფიქრობ, ის დადებითი იქნება. მით უმეტეს, რომ პუტინიც აფიქსირებს ისეთ პოზიციას, როგორც რამდენიმე დღის წინ მოვისმინეთ: მის განცხადებას კონსტრუქციულად ვაფასებთ და ის ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზების გზაზე პირველ ნაბიჯადაც შეიძლება აღვიქვათ.

— რამდენად სანდოა იმ ქვეყნის კეთილგანწყობა, რომელმაც თავის დროზე აფხაზეთი წაგვართვა? რა შეიცვალა სადღეისოდ?

— მე ვხედავ დიდ სხვაობას პუტინისა და ელცინის რუსეთს შორის: ელცინის რუსეთის დროს არ იყო ჩამოყალიბებული,

რუსეთის სერიოზული ინტერესები; პუტინის რუსეთში შეინიშნება პრაგმატული მიდგომა — დღეს რუსეთს აქვს წმინდა პრაგმატული ინტერესები და მასში, საქართველოსთვის აფხაზეთის დაბრუნებაც შედის, ვინაიდან არსებული მდგომარეობით, იგი მოწყვეტილი აღმოჩნდა სამხრეთს და მნიშვნელოვანი სავაჭრო ღირებულება გააქვს აფხაზეთის კონფლიქტის გამო. ამით ყველაზე მეტად, ეკონომიკურად აგებს რუსეთი. პუტინი პრაგმატიკოსია და კარგად ხვდება ამას. თანაც, საქართველო მთელი პირდაპირობით აცხადებს: წარმოუდგენელია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესება აფხაზეთის დაბრუნების გარეშე. თუ აფხაზეთის პრობლემა მოგვარდება (და ამაში ეჭვი არ მეპარება), აღნიშნული სავაჭრო ღირებულება აღდგება და ეს რუსეთს უფრო დიდ მოგებას მისცემს, ვიდრე მათი ბაზების აქ შენარჩუნება.

— კონკრეტულად, როგორ გეხსიან აფხაზეთის პრობლემის მოგვარება?

— დღეს აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმში აბსოლუტური დაბნეულობა სუფევს. არცნამაქმელითუნარიანობა დაკარგა, ის ვერ მონაწილეობს პროცესებში. თვით სეპარატისტთა ხელისუფლებაც დაქსაქსულია. თუ საქართველოს ძალისმიერი მეთოდებით მოქმედება მოუხდა, ძალზე მარტივად მოხდება ნახევარი აფხაზეთის დაკავება, რის შემდეგაც, გაცილებით მარტივი გახდება შეთანხმება აფხაზეთის სტატუსის შესახებ, რომლითაც ჩვენ მათ მაქსიმალურად გაფართოებულ ავტონომიას ვთავაზობთ — ისეთს, ანალოგი რომ

არ აქვს მსოფლიოში.

— **დსთ-ში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხზე რა აზრის ბრძანდებით?**

— ხშირად ხდება აფხაზეთის, დსთ-სა და სამშვიდობო ძალების საკითხების ერთმანეთზე ურთიერთმიმბა. რატომ? ამ საკითხების ერთ ჭრილში განხილვა არ შეიძლება. სამშვიდობო ძალების საკითხი უკავშირდება საქართველოში არსებულ სიტუაციას და უშუალოდ აფხაზეთს, ხოლო დსთ-ში ყოფნა, უფრო გლობალური საკითხია. დსთ-ის წევრობას ბევრი სიკეთე მოაქვს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩვენი იქიდან გამოსვლა გააღიზიანებს რეაქციულ ძალებს მოსკოვში. ძირითადად, ლაპარაკია გენშტაბის გენერალიტეტსა და შოვინისტურ ორგანიზაციებზე. ამით დამატებით არგუმენტებს მივცემთ მათ და ეს გამოიწვევს ანტიქართულ გამოსვლებს, ზეწოლას ხელისუფლებაზე, რომლის ფონზეც პუტინს, ძალიანაც რომ უნდოდეს, საქართველოს მიმართ ლოიალური ვედარ იქნება. ამიტომ, დღეს დსთ-დან გამოსვლა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, უმჯობესი იქნება, ეს სამომავლოდ გადავლოთ. ფაქტობრივად, დსთ არის პრეზიდენტების კლუბი, რომლის გადაწყვეტილებები უმეტესწილად, არ სრულდება. ათასზე მეტი გადაწყვეტილებაა მიღებული უმაღლეს დონეზე დსთ-ის ჩარჩოებში, რომელთაგან მხოლოდ 10% სრულდება. იქ ყოფნის ერთადერთი აზრი ის არის, რომ საქართველოს პირველ პირებს შესაძლებლობა აქვთ, რეგულარულად შეხვდნენ თავიანთ კოლეგებს და განიხილონ აქტუალური პრობლემები. ეს არის საშუალება, რომელიც უნდა გამოვიყენოთ.

— **მოდით, ახლა საპარლამენტო ცხოვრებასაც შევეხოთ: ბათუმელი კაცი როგორ განდით ქვემო ქართლის დეპუტაციის ლიდერი?**

— ჩვენს ფრაქციაში მარტო ქვემო ქართლის დეპუტაცია არ არის; არიან წყალტუბოელებიცა და ქუთაისელებიც. ჩვენ საერთო პოლიტიკური ინტერესი გვქონდა და ამან გაგვკავშირებინა.

— **ბათუმურ ბლოკთან რატომ ვერ გამოძებნეთ საერთო ენა?**

— მოქცავშირის წევრი ვიყავი და ვარ. „აღორძინებასთან“ არანაირი კავშირი არ მქონია, მაგრამ მათთან თანამშრომლობას არ გამოვირიცხავ, იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, საპარლამენტო ფრაქცია კოლეგებთან არ თანამშრომლობდეს.

— **პარლამენტში ვისი დახმარებით მოხვდით — მამალაძის თუ ჟვანიასი?**

— მოქცავშირში მისვლის შემდეგ მოხვდი პარლამენტში: პარტიულ საიში ჩემი შეყვანის საქმეში გადაწყვეტი სიტყვა ჟვანიას ეკუთვნის.

— **მმართველ წრეებში არსებულ დაპირისპირებაზე რას იტყვით?**

— ხელოვნური დაპირისპირებაა პარლამენტის ხელმძღვანელსა და პრეზიდენტს შორის. დარწმუნებული ვარ, არც უფიქრია პრეზიდენტთან დაპირისპირება, მაგრამ ბევრმა გაფუჭებული ტელეფონის როლი შეასრულა და დაძაბა ურთიერთობა. ამის გამო დაიშალა უმრავლესობა, რაშიც წვლილი აღმასრულებელ ხელისუფლებასაც მიუძღვის.

— **ირაკლი, ჯერ მხოლოდ 27 წლის ხართ, თქვენი მომავალი როგორ გასახებათ?**

— დიღემის წინაშე ვდგავარ, თუმცა ალბათ ბიზნესში გადავალ. არ მომწონს პარლამენტში ყოფნა — ეს ინტრიგები და ჭორები. ბიზნესში მეტი თავისუფლებაა და ფინანსურადაც უზრუნველყოფილი ხარ.

— **ამჟამად როგორი ფინანსური მდგომარეობა გაქვთ?**

— ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში, მყავს თეთრი „ჟიუგული-07“. ყველაფრით უზრუნველყოფილი ცხოვრება ნამდვილად არ მაქვს. პარლამენტში ხელფასი 600 ლარი მაქვს, 300 ლარი მარტო ბენზინში მხარჯება...

— **ამბობენ, ცოლის მოყვანას აპირებთ...**

— არ ვაპირებ: მატერიალური და ფინანსური პირობები არ მაძლევს ჯერ ამის საშუალებას.



ბესტი ერუდიციაზე

1. **ვის ეკუთვნის სიტყვა-ბი: „საპარტევლოში სადილი ძეიფია. ამ დროს პატარა მსმელები სვამენ 5 ან 6 პოთლ ღვინოს, ხოლო დიდაბი — 12-ს და 15-ს“?**



- ა) ალექსანდრ დიუმას;
- ბ) ალექსანდრ პუშკინს;
- გ) ომარ ხაიამს.

2. **სხვადასხვა სახეობის დელფინების შეჯვარებისას, იგადებიან დელფინები, რომლებიც აღარ:**



- ა) მრავლდებიან;
- ბ) იზრდებიან;
- გ) გამოსცემენ ბგერებს.

3. **სად არის დასაფლავებული დიმიტრი უზნაძე?**




- ა) მოსკოვში, წითელ მოედანზე;
- ბ) თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში;
- გ) პალერმოში, პრეტორიის მოედანზე.

4. **ნოვების პრემიის ახალ ლაურეატთა ვინაობა 21 ოქტომბერს ცხადდება, რაღვან ამ დღეს:**



- ა) დაიბადა ნობელი;
- ბ) გარდაიცვალა ნობელი;
- გ) ნობელმა აღმოაჩინა დინამიტი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



თეა გეასარია „ჰიუნდაით“ დაქვის

და შეიქმნა ოცნებობს...

ამბობენ, თიბა გმბსაღიბ კმარს გასცილდა, კაბა დაიმოკლა და ახალი ცხოვრება დაიწყო. იმასაც ამბობენ, საეჭვოდ გალამაზებული თეა ისე მაცდურად იღიმება, მის თავყვანისმცემლებს მოსვენება დაეკარგათო. თურმე, ჯენტლმენები გზას იმდენად ხშირად უთმობენ, რომ თეა თბილისის ქუჩებში უდარდელად დაქრის თავისი იასამინისფერი „ჰიუნდაით“. ამიტომ რუბრიკის — „ქალი საქვსთან“ საპრემიეროდ, სწორედ თეა მოვიწვიეთ და გადავწყვიტეთ, მასთან მანქანებზე, ავტოინსპექტორებსა და პირად ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე გვესაუბრა. თეაც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

ლეკა ჭანკოტაძე

— **ტელევიზიაში თქვენზე ამბობენ — რაც ფეხი აიდგა, მას შემდეგ საქვსთან ზისო. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს უმტიკივანეულო იუმორი?**

— ბავშვობიდან ყველაფერი მაინტერესებდა, რაც მანქანებთან იყო დაკავშირებული. სულ ვუყურებდი და ვაკვირდებოდი მამას, როცა საქვსთან იჯდა. ასე რომ, თეორიულად, ყველაფერი ბავშვობაშივე ვიცოდი, კარგად ვხვდებოდი, როგორ უნდა გადამერთო სინქარე, როდის რა უნდა გამეკეთებინა. მამაც შემპირდა — როგორც კი პელლებს მისწვდები, მართვას გასწავლიო. ალბათ მეშვიდე-მერვე კლასში ვიქნებოდი, რომ შევუქნდი: მასწავლე-მეთქი. შემისრულა სურვილი. გავყავი ქალაქგარეთ და იქ მასწავლიდა. კარგად კი მასწავლა, მაგრამ ქალაქში სიარულის უფლებას მაინც არ მამძღვდა, შემდეგ, უკვე მე თვითონ წავედი კურსებზე და ავიღე მართვის მოწმობა.

— **რამდენი წელია, რაც საკუთარი ავტომანქანა გყავთ?**

— ექვსი წელი იქნება. თავიდან „გოლფი“ მყავდა, ახლა — „ჰიუნდაი“ და ძალიან კმაყოფილი ვარ. როცა პირველად გავედი ქალაქში, უფრო დაძაბული ვიყავი, მობილიზებული. ახლა მივეჩვიე და უკვე თავისუფლად დავდივარ.

— **თბილისში მოძრაობა გადატვირთულია, ხშირია საცობები, შეჩვევა ხომ არ გაგიჭირდათ?**

— რთული არ არის თბილისში სიარული — უბრალოდ, მოსაბეზრებელია. ბევრი

სამარშრუტო ტაქსი ღადის. სამარშრუტო ტაქსები რომ არ იყოს, საამური იქნებოდა ჩვენს ქალაქში სიარული. გზას ისე გადაგიჭრიან ხოლმე, ვითომც არაფერი...

— **ავტოინსპექტორებთან პრობლემები ხომ არ გექმნებათ ხოლმე?**

— არანაირი, რადგან მოძრაობის წესებს არ ვარღვევ. თუმცა, ამ ზაფხულს ხშირად მაჩერებდნენ, ბორჯომში მიწველა სიარული. იქ დედაჩემი და ჩემი და ისვენებდნენ. „ტენასმოტრი“ არ მქონდა გაკეთებული — მეზარებოდა მისვლა, მაგრამ ისე დავიღალე ავტოინსპექტორებთან საქმის გარჩევით, რომ იძულებული გავხდი, გამეკეთებინა.

— **ქალაქში არ გაჩერებდნენ?**

— არა, ქალაქში მცნობდნენ. გამაჩერებდნენ, გამიშვებდნენ... ახლა „ტენასმოტრი“ მაქვს და აღარ მაჩერებენ. კარგად დავდივარ. თანაც, მოძრაობის წესებს მხოლოდ ისეთ ადგილებში ვარღვევ, სადაც ავტოინსპექტორები არ ღვანან. ავტოსაგზაო შემთხვევა არასოდეს მქონია. თუმცა, სისწრაფე მიყვარს. სწრაფად დავდივარ, სადაც უხიფათოა და აჩქარება შეიძლება.

— **ნასვამი თუ დამუდარსართ საქვსთან?**

— ნასვამი საერთოდ არ ვყოფილვარ. შეიძლება, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გავისწერო მთელი ჩემი ცხოვრებიდან, როცა ცოტა დავლიე... ისე, ერთხელ მართლაც ვიჯექი ნასვამი საქვსთან.

— **თქვენს ქმარს — ლევანს, რამდენადაც ვიცო, მანქანა**

ნა არ ჰყავდა. რატომ?

— ლევანს მანქანა არანაირად არ აინტერესებდა. როგორც მე არ მინდა თვითმფრინავი მყავდეს, ისე მას არ აინტერესებდა ავტომობილი. მე დამყავდა. მაშინაც მე ვიყავი ოჯახის მძღოლი. ახლა ჩემი თავის მძღოლი ვარ.

— **მანქანა თავის მფლობელს პრობლემებსაც უქმნის. როგორც მძღოლი, თქვენ რას ურიგით?**

— მეყვან ცნობი ხელოსანი, რომელსაც ვენდობი. თან, ჩემს მანქანას ჯერჯერობით არაფერი სჭირდება, ზეთის გამოცვლის გარდა. ერთი თვის წინ გამოუცვალე „საღიბიკები“. ზეთს ვუცვლი ყოველ 10000 კილომეტრზე... თანაც, ჩემი მანქანა ცოტა ბუნზინს წვავს, ამიტომ, არც ბუნზინის ფასების გაზრდა მიუფუჭებს ხოლმე მაინცდამაინც გუნებას.

— **ახალი მანქანის შეძენისას, არჩევანი „ჰიუნდაიზე“ რატომ შეაჩერეთ?**

— მანქანა ჰენრი ფორდის პრინციპზე დაყრდნობით შევარჩიე. მას რომ ჰკითხეს: რომელი მანქანა სჯობს ყველასო, უპასუხა: რომელი და... ახალიო. ყველა მეუბნებოდა — „მერსედესი“ იყიდო, მაგრამ მე ფორდის აზრს დავეთანხმე; არ მინდოდა ძველი და სხვისი ნახმარი მანქანა. თუნდაც უფრო დაბალი კლასის იყოს, მაგრამ ახალი მაინც სჯობს. თანხა, რომელიც მქონდა, „შკოდის“ ან „ჰიუნდაის“ შესაძენად მყოფნიდა. შეიკრიბა საბჭო „მაესტროში“. მაშუკა ღლოტმა მითხრა: რად გინდა „შკოდა“? გინდ „ჟიუგული“ გიყიდა და გინდ „შკოდა“ — და გადავწყვიტე,

„ჰიუნდაი“ მეყიდა. წავედით ბაზრობაზე მე, მამუკა ლლონტი, ბაჩო (ჩვენი თანამშრომელი), წამოგვყვა ლევანიც (ლელაშვილი) და შევარჩიეთ ეს მანქანა. ფული რომ მქონდეს, ვიყიდი „გოლფ-4“-ს, მცირე ლიტრაჟიანი მანქანებიდან მხოლოდ ის მომწონს. „მერსედესი“ კარგია, მაგრამ ვერ შევინახავ.

— კაცებმა მანქანის ისეთი შეფარება იციან, რომ შემდეგ ძნელად ელევინან სოლმე. თქვენ რამდენად ძლიერ გიყვართ თქვენი „ჰიუნდაი“?

— რა თქმა უნდა, მიყვარს, მაგრამ უკეთესის ყიდვის საშუალება რომ მქონდეს, დაუფიქრებლად ვიყიდი და „ჰიუნდაისთან“ განშორება არ გამიჭირდებოდა.

— თეა, არც ქმართან განშორება გაგიჭირდათ? რამდენადაც ვიცო, თქვენ და ლევანს (ლევან ჩიკვაძეც ტელევიზიის მუშაკია, ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის სარეკლამო სააგენტოს გენერალური დირექტორია. — ავტ.) ძალზე სტაბილური ოჯახი გქონდათ.

— ძალიან კარგი ოჯახი გვქონდა, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ეს მხოლოდ ჩემი და ლევანის საქმეა, ამიტომ ამ კითხვაზე არ ვიპასუხებთ.

— ეი. თქვენს გადაცემაში — „ამბობენ“, სიუჟეტი თქვენი და ლევანის გაყრის შესახებ იმიტირე არ შეიტანეთ?..

— მე სხვების პირად ცხოვრებას არ ვეხები, რადგან, როგორც მე არ მიყვარს, როცა ჩემს ცხოვრებაში ცხვირს ყოფენ, ისე არ უყვარს ალბათ სხვასაც. რა ჩემი საქმეა, ვიღაცებზე ვიჭორაო?! ამას, რა თქმა უნდა, უცხოელებზე არ ვამბობ. რომ გითხრათ მიზეზი, რის გამოც განშორება მოხდა, არ ვიქნები მართალი. ლევანსაც ხომ თავისი მიზეზები აქვს?! ჩვენ თერთმეტი წელიწადი ვიცხოვრეთ ერთად და რადგან ჩვენი ოჯახი დაინგრა, უკვე აღარაფერი გამიკვირდება. ყოველთვის წარმოუდგენლად მიმაჩნდა, თუ ოდესმე ასეთი რამ მოხდებოდა და ახლობლებიდანაც არავინ მოელოდა ამას. ცხოვრებაში



ყველაფერი ხდება თურმე და ყველაფერისთვის მზად უნდა იყო. არ უნდა უყურო ცხოვრებას ვარდისფერი სათვალით და ცუდისთვისაც ყოველთვის მზად უნდა იყო.

— როგორ გრძნობთ თავს უქმრო ქალის ამბულაში?


— კარგად. საინტერესო დღეები მაქვს. ახალი ეტაპია ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ალბათ აუცილებლად უნდა გამეცლო. მე მჯერა ბელისწერის. ვთვლი, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. ალბათ რაღაც შეიცვლება ან შესაძლოა, არც შეიცვალოს... ვცხოვრობ მარტო, ხილიანზე. იქვე, დოლიძეზე ცხოვრობენ მამანემი, დედაჩემი, ჩემი და, თავისი ქმარ-შვილით. ჯერჯერობით ჩემი ოჯახი ეს არის. მომავალში რა იქნება, არ ვიცი... მთელ დროს საბუშაოს ვანდობებ. ახლაც გადაღებაზე გავრბივარ. ვცხოვრობ გადაღებიდან გადაღებამდე, ძალიან დატვირთული ვარ.

— თარგმანებზე მუშაობას თუ ასწრებთ?

— ცოტას ვთარგმნი — ფორმიდან რომ არ ამოვარდე. ბოლო ნაწარმოები, რომელიც ვთარგმნი, იყო მარკსის მოთხრობა „თორმეტი პილიგრიმი“. ახლა ვთარგმნი „ერთი მოტაცების ისტორია“. სქელტანიანის წიგნია, მთელი წელიწადი დამჭირდება, რომ დავამთავრო, ძალზედ ნელი ტემპით მივიწვევ წინ. სამწუხაროდ, ვისაც თარგმანები აინტერესებს, მათ ფული არა აქვთ წიგნის შესაძენად. „ახლამა ქართველებმა“ კი, საერთოდ არ იციან, ვინ არის მარკსი...

— მარტოდ დარჩენილი თეა გვასაღია საუცხოოდ გამოიყურება, ძველი ვარცხნილობა და ძველი იმიჯი ძველ ცხოვრებას გაატანეთ?

— მამუკა ლლონტი ორი კვირა მიჩინებდა — თმა უნდა შეიჭრაო. რამდენჯერაც თმას ახსენებდა, იმდენჯერ ცრემლი მადგებოდა თვალებზე... თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მერე მივჩვიე ახალ ვარცხნილობას. მამუკა ჩვენი პროდუსერია, ამიტომ მისი ხმა გადამწყვეტია. მოკლე კაბაც მან ჩამაცვა პირდაპირ ეთერში და ახლა ასე, იმიჯშეცვლილი დავდივარ. ასე რომ, განქორწინებასთან ეს არანაირ კავშირში არ არის... რაც შეეხება იმას, თუ როგორი ვარ — მე არ შემიძლია ვითა-



მაში: ისეთი ვარ ცხოვრებაში, როგორიც ეკრანზე. ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც უბრალოდ, უფრო მეტად გაუმართლა ცხოვრებაში და აკეთებს იმ საქმეს, რომელიც ძალიან უყვარს.

— განშორების შემდეგ თქვენ და ლევანი მეგობრებად დარჩიეთ?

— რომ გითხრათ, განუყრელი მეგობრები ვართ-მეთქი — არ ვიქნები მართალი. ასეც რომ ყოფილიყო, მე წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, მაგრამ ლევანი არ იჩენს ინიციატივას. მე, მაგალითად, სულით და გულით ვუსურვებ, რომ ჩემზე უკეთესი ცოლი მოიყვანოს.

— ამასვე უსურვებთ საკუთარ თავსაც?

— კი, რა თქმა უნდა! საბოლოოდ, შვილი და ქმარი საჭიროა. კარგი იქნება, რომ ჩემს შვილს კარგი მამა ჰყავდეს... ჯერ ამაზე არ ვფიქრობ, ეს უფრო შორეული გეგმაა... საერთოდ, ვთვლი, რომ თუ პატარა ასაკში გათხოვდები, უცებ ბავშვი მაინც არ უნდა გააჩინო, — ოცდახუთ წლამდე მაინც. უნდა ისწავლო, ის საქმე აკეთო, რაც გიყვარს... ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს, უფრო სწორად — ცოლმაც და ქმარმაც, ერთად უნდა მიიღონ მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში. ასეა ესპანეთში: დედაც და მამაც თანაბრად მონაწილეობენ შვილის აღზრდაში. იქ შეიძლება, რომ დეკრეტში მამა გავიდეს, რათა მის ცოლს მუშაობის საშუალება ჰქონდეს. იქ არ ითვლება სირცხვილად, რომ პამპერსები ბავშვს მამამ უცვალოს. როცა ქალს არ სცალია, კაცმა საჭმელიც შეიძლება მოამზადოს, სახლიც დააღაგოს და ჭურჭელიც გარეცხოს...



მეტროპოლიტენის გვირაბი «თავისუფლების მოედნიდან» მთავრობის სასახლეამდე მიდის

მანანა იაშვილი

ყოველდღე თბილისის მეტროპოლიტენით 300000-მდე ადამიანი მგზავრობს. ბევრ მათგანს აღარც ახსოვს ის აღტაცება, რომელიც თბილისელებმა მეტროპოლიტენის პირველი ხაზის გახსნის დროს განიცადეს.

1966 წლის 11 იანვარს, როდესაც საახალწლო არდადეგების სადღესასწაულო განწყობა ჯერ მინელეული არ იყო, თბილისში მეტროპოლიტენის პირველი ექვსი სადგური გაიხსნა, „დიდუბიდან“ – „რუსთაველამდე“. მიწისქვეშა ხაზის სიგრძე 6,3 კილომეტრი იყო, რომელსაც ელექტრომობილები 7 წუთში ფარავდა. რიგების მოძულე თბილისელებმა იკადრეს რიგში ჩადგომა და ზემელსა და დიდუბეში ცოცხალი სერპანტინი ტააბით მიიწვედა წინ, ლამაზად გაფორმებული ახალი შენობებისაკენ. ახლა თითქმის ვერავინ აშჩნევს მეტროპოლიტენის ძველი სადგურების მაღალ, მდიდრულ დარბაზებს, რომელიც ძვირფასი მარმარილოთი და გრანიტით არის მოპირკეთებული. ჭელური ორნამენტები, ჭალები და მარულიფები ისტორიის კუთვნილება გახდა. ამ ჯადოსნურ სივრცეში ესკალატორით მოხვედრილი ადამიანები ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდნენ არქიტექტურა და დიზაინერთა სახელებს: ალიექსი მესხიშვილი, ელგუჯა ამბუეკელი, კობა გურული, რადიმ თორღია, ვლადიმერ აბრამიშვილი, მიხეილ მელია, გივი მელქაძე, ოთარ კალანდარიშვილი, ლევან ჯანელიძე... ყოვლისმცოდნეებმა ისიც იცოდნენ, რომ რუსთაველის სადგურის წითელი მარმარილო – სალიეთიდან იყო ჩამოტანილი,



იატაკის წითელი და რუხი გრანიტი – ტყიბულის საბაღოებიდან. მეტროს სადგურების მოსაპირკეთებლად რუსეთიდან და უკრაინიდან, კიორგისა და ვაბროს საბაღოებიდანაც ჩამოიტანეს მარმარილო. თბილისელებს ეამყებოდათ, რომ ეს საბჭოთა კავშირში რიგით მე-4 მეტროპოლიტენი იყო, ხოლო მსოფლიოში – 35-ე. მას შემდეგ თითქმის 36 წელი გავიდა. ჩვენი მეტროპოლიტენი იზრდებოდა და ვითარდებოდა. 1967 წელს მას კიდევ სამი სადგური დაემატა: „თავისუფლების მოედანი“, „ავლაბარი“ და „300 არაველი“. 1971 წელს კი, „ისანი-სამგორის“ ხაზი. 1979 წელს აშენდა „ვაგზალი-2“ და საბურთა-

ლოს ხაზი, რომელსაც 2000 წელს „ვაგა-ფშაველა“ დაემატა. დღეს მეტროპოლიტენის ორი, დამოუკიდებელი ხაზი მოქმედებს, მისი საერთო სიგრძე 28 კილომეტრია, ქსელი კი, 22 სადგურს, 27 ასასვლელ-ჩასასვლელს, 59 ესკალატორს აერთიანებს. მიკროკლიმატის ნორმებს 200-მდე სვენი-ლაციო სისტემა უზრუნველყოფს, ელექტრომომარაგებას – 23 ქვესადგური, გრუნტის წყლების ამოქაჩვას – 55 წყალსაქჩი. „თბილმეტრომშენის“ მთავარი სპეციალისტი, გუდუ ფაჩულია, რომელიც პენსიაზე გასვლამდე მთავარი ინჟინერი იყო, უამრავ საინტერესო ფაქტს ჰყვება მეტროს მშენებლობის ისტორიიდან და მომავალ პროექტებზეც გვიამბობს. – თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობა საკავშირო მთავრობის დადგენილებით, 1951 წლის სექტემბერში გადაწყდა. 1952 წლის იანვრიდან დაიწყო მონაშენებელი სამუშაოები და პირველი მასტებიც გაეჭვირით. ამ მშენებლობას სტრატეგიული დატვირთვაც ჰქონდა: ომის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო „სამგორის“ სადგურიდან მატარებლების შემოყვანა და ვაგზალამდე გაყვანა. ამიტომაც აქვს ძველ სადგურებს დიდი გაბარიტები. რელსებიც 1500 მმ-იანი დააყენეს – როგორც რკინიგზაზეა, ისეთი. საეკავაციო გვირაბი გლდანისკენ გადიოდა, მაგრამ 1955 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა ჩვენი სამუშაოების კონსერვაცია გადაწყვიტა. მიზეზად, სიძვირე დაასახელა. თუმცა, მიწისქვეშა სამუშაოები მაინც გაგრძელდა – როგორც სამხედრო თავშესაფრების ობიექტების მშენებლობა. მაშინ სამუშაოებ-

ის ხელმძღვანელი გიორგი ნასიძე გახლდათ. ასე განვარდებით მუშაობა 1961 წლამდე. შემდეგ ისევ გაგრძელდა მეტროპოლიტენის მშენებლობა და 1965 წელს დაგამთავრეთ პირველი ხაზი — „დიდუბიდან“ „რუსთაველამდე“.

— მართლა თუ არსებობს გვირაბი „თავისუფლების მოედნიდან“ მთავრობის სასახლემდე?

— დიას, იყო გათვალისწინებული „ლენინის მოედნიდან“ არა მთავრობის სასახლემდე, არამედ ცეკას შენობამდეც. სხვა დაწესებულებებსაც მოიცავდა ეს გეგმა, მთლიანი კომპლექსი იყო დაგეგმილი. თითქმის გაკეთებულიც იყო, მაგრამ მერე გაჩერდა მუშაობა. ჭაური და გვირაბი გაყვანილია. იქიდან ლიფტებიც უნდა დამონტაჟებულიყო მეტროს გვირაბში ჩასასვლელად...

— რატომ?

— ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა: ატომური ბომბი თუ ჩამოვარდა, რადიაცია ათწლეულობით რჩება და რამდენ ხანს ივლები ბუნებრივი? ადრე გათვალისწინებული იყო, რომ საპაერო თავდასხმის დროს მთელი მოსახლეობის ევაკუაცია მეტროს ქვედა სადგურებში უნდა მომხდარიყო. იქ ისინი რამდენიმე დღე დაცული იქნებოდნენ, რადგან არის განათებაც, წყალიც, ვენტილაცია, სამედიცინო პუნქტებიც მოწყობილია და სურსათით მომარაგებაც მოხდებოდა.

— ე.ი. ჩვენს მეტროში ბევრი რამ განუხორციელებელი დარჩა?

— დიას. აუცილებელია, ყველა სადგურს მეორე ჩასასვლელი ჰქონდეს. მარჯანიშვილის სადგურს თითქმის მზად აქვს, მხოლოდ ტექნიკის დამონტაჟება და მოპირკეთება საჭირო. ასევეა „გლდანსა“ და „გურამიშვილზე“. „რუსთაველზე“, მთავარ ფოსტასთან იყო დაგეგმილი მეორე ჩასასვლელი, „თავისუფლების მოედანზე“ კი — იქიდან, ლენინის ძეგლის გასწვრივ, ქვემოდან ჩასასვლელი უნდა ყოფილიყო, რომელიც კოლმეურნეობის მოედანზე დამთავრდებოდა. მეზაფერების გადაყვანა ახლა ძვირი ვდებ, მაგრამ ფასს ვერ გაზრდი, ამიტომ მეზაფერების რიცხვის გაზრდა საჭირო, ამისათვის კი მეტროპოლიტენი მოსახერხებელი უნდა იყოს. სამარშრუტო ტაქსებიც განიტვირთება, ქუჩებიც გათავისუფლდება, ჰაერი დაიწმინდება და ხმაურიც შემცირდება.

სამარშრუტო ტაქსები და მწირი ბიუჯეტი, მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსს, გურამ გაბუნიას მთავარ მტრებად მიაჩნია. ბატონი გურამი 1986 წლიდან ხელმძღვანელობს მეტროპოლიტენს და ძალზედ მძიმე წლებში მოუხდა ამ რთული და სათუთი მეურნეობის მართვა.

— მძიმე პერიოდი გამოვიარეთ და არც ახლა ვართ დაღწინებული, — ამბობს გურამ გაბუნია, — მაგრამ თბილისელებისთვის, ქვეყნისთვის არასოდეს გვიღალატია.

— ახლა ელექტროენერჯის საქმე როგორაა?

— ჩვენი წლიური შემოსავალი დაახლოებით 20-21 მილიონი ლარია. აქედან 8 მილიონამდე, ელექტროენერჯიასა და წყალზე ინარჯება, დანარჩენი უამრავ გადასახადზე მიდის და ურთულეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით. სახელმწიფო დოტაციაზე ვართ, მაგრამ ის 2 მილიონი, რომელიც ქალაქმა გაიღო, არ გვეყოფნის. მეტრომშენებლობა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან უნდა იყოს დაფინანსებული, მაგრამ წელს ერთი თეთრიც არ შემოსულა. შედეგად კი, ერთი მეზაფერის გადაყვანა 20 თეთრის ნაცვლად, 26-28 თეთრი გვიჯდება.

— უნდა გააძვიროთ?

— ვერ გვაძვირებთ, მაგრამ როდემდე ავიტანთ ასეთ მდგომარეობას, არ ვიცი. წინათ საკაპემირო დაქვემდებარებაში ვიყავით და საჭირო პროდუქციას 300-ზე მეტი ქარხანა გვივზავნიდა. შემდეგ ეს სისტემა დაიშალა, მაგრამ როგორღაც მოვახერხეთ, სამუშაო ჩვეულ რიტმში მოგვექცია. 1992 წელს, როდესაც ბატონი ელუარდ შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდა, მისი დახმარებით 30 ვაგონი შევიძინეთ. ადრე ვაგონებს შესაკეთებლად მოსკოვში ვვზავნიდით, მაგრამ ეს ძვირი სიამოვნება იყო. 1996 წელს მოსკოველებთან ერთად, სარემონტო საწარმო შეექმნით. ერთი ახალი ვაგონი 900 ათასი დოლარი ღირს, ჩვენს დეპოში კი, 50 ათასი გვიჯდება ვაგონის განახლება, ისე, რომ 7-8 წელი კიდევ მოგვემსახუროს. ეს ქარხანა მთელი ამიერკავკასიის მეტროპოლიტენების მოთხოვნებს უზრუნველყოფს. მივალწიეთ იმასაც, რომ ჩვენთვის საჭირო პროდუქციის უმეტეს ნაწილს საქართველოს ქარხნებში გვიშვებენ.

— გაიძარცვა თუ არა მეტროპოლიტენი არეულობის წლებში?

— ახლაც ხდება ხოლმე. ამას წინათ, ავჭალის გზატკეცილის ქვესადგურზე, რომელიც ელექტროენერჯიას ვეაწვდის, დღისით-მზისით, 200 მეტრი კაბელი გადაჭრეს.

— 1992-93 წლებში?

გურამ გაბუნია



— ვთვლი, რომ მაშინ ვიგაყვაცეთ და ეს ჩვენი კოლექტივის დამსახურებაა. მიწისზედა ტრანსპორტი გაჩერებული იყო. დღელამდე 900000-მდე მეზაფერი გადაგვაყვდა, ბევრი მათგანი შემანქანებს უვარდებოდა, სცემდა... მაგრამ თანამშრომლები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ კატასტროფა არ მომხდარიყო და ხალხი არ დაღუპულიყო.


— ადრე მეტროპოლიტენი ღამის 1 საათამდე მუშაობდა. რატომ შეამცირეთ სამუშაო ღამის 12 საათამდე?

— მეტროპოლიტენი 24 საათი მუშაობს: ღამის სამუშაოს დიდი დრო მიაქვს. ღამის 12.30 წუთზე გვირაბში ძაბვა იხსნება და იქ 500-600 კაცი ჩადის: ისინჯება ყველა ძირითადი კვანძი, კაბელი, ლიანდაგი. დაღის რელსშიზომი მატარებელი, ირეცხება სადგურები და ხაზები. ეს სამუშაოები 5.30 წუთამდე უნდა მოესწროს. შემდეგ მოძრაობის დისპეტჩერს მოხსენდება გვირაბის მდგომარეობა და ენერგოდისპეტჩერს ძაბვის მიწოდების მითითებას აძლევს. 5.30 სთ-ზე ვუშვებთ პირველ მატარებელს, რომელიც ნელა მოძრაობს და კიდევ ერთხელ ამოწმებს რელსებსა და გვირაბებს. როდესაც დავრწმუნდებით, რომ ყველან წესრიგია, მხოლოდ ამის შემდეგ იდება კარი მეზაფერებისთვის. ძალიან საინტერესო პროცესია. შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ნახოთ, როგორ იმართება მეტროპოლიტენი.

მართვის სისტემების სანახავად ბატონი თემურ რაგინი გამყვა. მეტროპოლიტენის ადმინისტრაციის შენობის შესამე სართული 1993 წლის 25 მარტს დაიწვა, მაგრამ ახლა აღდგენილია მსოფლიო ბანკის დახმარებით. გურამ გაბუნია დარწმუნებულია, რომ ხანძარი მოწყობილი იყო, თუმცა დამნაშავე ვერ იპოვეს. შესამე სართულზე მართვის თითოეულ სისტემას ცალკე ოთახი აქვს გამოყოფილი. მონიტორებითა და სატელეფონო კაემით არის უზრუნველყოფილი. აქვია 1000 ნომრიანი შიგა „ატენსი“. მოძრაობის დისპეტჩერი მურად კვარაცხელია მეტროპოლიტენში 1971 წლიდან მუშაობს. სამუშაო 4 ცვლად ნაწილდება და თითოეულ დისპეტჩერზე კვირაში 41 საათი მოდის. 12 საათიანი სამუშაო დღე მუდმივ ყურადღებას მოითხოვს. მონიტორზე მეტროპოლიტენის ყველა მარშრუტის მოძრაობა ჩანს. არის უწყვეტი სატელეფონო კაემი სადგურების მონიტორინგთან და რადიოკაემი შემანქანებთან.

მატარებლების მთავარი დისპეტჩერი თამაზ თამარაული სამსახურში გვიანობამდე რჩება, თუმცა მისი სამუშაო დღე 6 საათიანია. „დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ ძაბვის ვარდნის დროს ხვიფათს არავინ გადაეყაროს. 10 წუთით გამორთული ელექტროენერჯა 30 წუთის ფასად გვიჯდება“ — ამბობს ბატონი თამაზი.

— ზოგი მეზაფერი ისე დახელოვნდა, რომ



მეტროპოლიტენის სადისპეტჩერო

სადგურებზე აჩერებს მატარებელს. ინსტინქტურად გრძნობენ, როდის უნდა დავარდეს ძაბვა, — მიაშობს თემურ რატინი. — ძაბვის გამორთვის დროს მეზავრები ისტერიკაში ვარდებიან, ძალით აღებენ ვაგონის კარს და პირდაპირ ხტებიან რელსებზე, რომელიც მაღალი ძაბვის ქვეშაა...

— ამბობენ, თქვენს თანამშრომლებს კარგი ხელფასი აქვთო... — გეუბნები ბატონ გურამ გაბუნიას.

— საშუალო ხელფასი 140 ლარია. მატარებლის მემანქანე 200 ლარს იღებს. ხელფასი სტაჟსა და კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული.

— პენსია?

— სამწუხაროდ, პენსიონერებს ჩვეულებრივად — 14 ლარი ეძლევათ. ვცდილობთ, პენსიის ასაკის თანამშრომლები, თუ მათ შრომა სურთ, უფრო იოლ სამუშაოზე გადავიყვანოთ. კონტროლიორებს 35 და 55 ლარი აქვთ ხელფასი. დიდი კოლექტივი გვაქვს — 4000 კაცი და 500 მომაგრებული პოლიციელი. ზოგჯერ წერენ — კონტროლიორები და პოლიციელები ყვეტონებს იპარავენო, მაგრამ ჩვენ მათ ამისთვის მკაცრად ვსჯით და სამსახურიდან ვათავისუფლებთ კიდეც.

— ხალხს უჭირს მეტროში შესვლა-გამოსვლა. რატომ აძლევთ მოვაჭრეებს იქ დგომის უფლებას?

— პირიქით, მერიაში დავაყენეთ საკითხი მიმდებარე ტერიტორიების მოწესრიგების შესახებ და მერია შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. მეტროში, ხელშეკრულებით სარეკლამო ფირმა მუშაობს, რომელსაც იჯარით აქვს აღებული სადგურების ზედა ფართობი, სადაც უწესრიგობას ვერ ნახავთ. მარშან ამ ფირმისგან 200 ათასი ლარი მივიღეთ. ის ერთ კვადრატულ მეტრს 36 ლარად აქირავებდა, მაგრამ ქონების მართვის სამინისტრომ გვიჩივლა — მაღალი საფასურის გამო და ახლა იჯარის ახალი ტარიფი უნდა დაადგინონ.

— ბატონო გურამ, თქვენ კომუნისტური მმართველობის დროს მა-

ღალი თანამდებობები გევადათ: 4 წელი ქალაქის მერი იყავით, უმაღლესი საბჭოს წევრიც და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც. ახლა ბევრი ძველი კომუნისტი პოლიტიკაში დაბრუნდა. თქვენც ხომ არ აპირებთ?

— თანამდებობები და დეპუტატობა მუდმივი არ უნდა იყოს და ხალხიც უნდა მიეჩვიოს ამას. სხვადასხვა პარტიიდან მქონდა შემოთავაზება და ალბათ უვარგისი დეპუტატიც არ ვიქნებოდი, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ, უარი ვთქვი: 65 წლის ასაკში ახალ საქმეზე გადართვა არ ღირს. ჩემი სამსახური კი ხელწამოსაკრავი არ არის. ძალიან საინტერესო საქმეა და აქ ჩემი გამოცდილებაც ჩავაქსოვე და ახლებურად მუშაობაც შევძელი.

— მინისტრობაზეც უარს იტყვით?

— მინისტრზე ნაკლები ხელფასი არც აქ მაქვს. პარტიულ-იერარქიულ სისტემაში ყველა საფეხური გავიარე და მორალურად

კმაყოფილი ვარ. ხელმძღვანელობა ყურადღებით ეკიდება ჩვენს სამსახურს, ესეც ხელს მიწყობს მუშაობაში.

— უცხოეთთან თუ გაქვთ კონტაქტები?

— 1992 წელს მოსკოვში შეიქმნა ასოციაცია „მეტრო“, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის მეტროპოლიტენებს აერთიანებს. იქ კეთდება ანალიზი, თუ რა პრობლემებია მსოფლიოში ჩვენს დარგში; როგორი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა ტარდება; რა ტექნიკური სიახლეებია... კვარტალში ერთხელ ვიკრიბებით ზოლმე. მეტროპოლიტენების ხელმძღვანელებს შორის უზუცესად ვითვლები და ჩემს აზრს ანგარიშს უწევენ. ასოციაციის ევდიტ შარშანწინ ლონდონის მეტროპოლიტენის მუშაობას გავეცანი, შარშან ბერლინში ვიყავით. ახლა დაგეგმილია 2 კვირიანი ვიზიტი ჰონკონგში, მაგრამ ვერ მივდივარ: აქ გართულეულია მდგომარეობა და ვერ მივატოვებ.

— რაიმე სიახლე თუ არის თქვენს მუშაობაში?

— როგორც ნახეთ, ტელემართვის სისტემა ავამუშავეთ, მსოფლიო ბანკის კრედიტის ნაწილით. ახლა ღენის ცვალებადობა აღარ შეგვაშინებს. 750 ათასი დოლარი დაგდა. ახალი პროგრამა წარადგინეთ — 3,5 მილიონს ვითხოვთ, ვნახოთ რამდენს დაგვიძტკიცებენ...

„სმრვიმრ კვლმვითი ჯგუში“ (“Le Groupe De Recherche Servier”) - უმხსვილმსი კმრკო ფარმაცმეტული კომპანია საფრანგეთში და მრთ-მრთი მოწინავე მპროკაში - აცხადებს კონკურსს

მდივნის

თანამდებობაზე კომპანიის თბილისის ოფისისათვის.

აღნიშნულ თანამდებობაზე არჩეული პიროვნების საქმიანობა დაკავშირებული იქნება კომპანიის პრომოციული ბიზნესის ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ასპექტებთან.

კანდიდატისთვის აუცილებელია:

- * კომპიუტერთან მუშაობის პროფესიული ჩვევები (MS Office, MS Mail)
- * ინგლისური ენის (როგორც წერითი, ისე სალაპარაკო) უნაკლო ფლობა (მხედველობაში მიიღება ფრანგული ენის დამატებითი ცოდნა)
- * მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი სტაჟი
- * პიროვნების დაინტერესებულობა და ორგანიზებულობა
- * პიროვნების კეთილგანწყობილება, ინდივიდუალურად მიდგომის უნარი
- * დამოუკიდებლად მუშაობის და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარი, მოქნილობა გადაწყვეტილებათა მიღებისას

ჩვენ გთავაზობთ:

- მაღალ ხელფასს
- საუკეთესო სამუშაო პირობებს
- კარიერის შემდგომ პერსპექტივებს

თქმენი მომართვა, თან ღართული ავტობიოგრაფიით (იხვლისურ მნახე), გთხოვთ მოგვაცოლოთ ფაქსით შემდეგ ნომერზე: 22 66 40.

ლელა ჭანკობაძე

მიჭირს შეკითხვის დასმა, არ ვიცი, საიდან დავიწყო. იქნებ ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ რამ აიძულა ხუთი შვილის დედა, ბავშვი გაეშვილებინა... ან იქნებ ის არის მთავარი, როგორ შეძლო ქალმა ოთხი შვილის გაყიდვა... ფაქტი ერთია – ჩემ წინ ზის ნამდვილი მშრომელი ქალი, სახეგარუჯული, გადაღლილი, დახეთქილხელეებიანი, სინანულით სავსე სახით. მე არ ვიცი, რას ვგრძნობ მის მიმართ, არც ის ვიცი, როგორ განსჯის მას მკითხველი, თუმცა, ნარგიზას ეს არ აღელვებს, ის იმაზე უფრო წუხს, ბოლო დროს რომ მეძაგები მომრავლდნენ, რომ გაირყვნა ქვეყანა და ქართველი კაცები ვეღარ ახერხებენ თავიანთი ოჯახების შენახვას... მეც ამით ვსარგებლობ და ვეკითხები:

— თქვენი ქმარი როგორი კაცია? იცის, ბავშვის გასაშვილებლად რომ ხართ ჩამოსული?

— მე და ჩემმა ქმარმა ერთმანეთი მაშინ შევიყვარეთ, როცა ძალიან პატარები ვიყავით, ეზოში ტიტლიკანები დავრბოდით და არ ვიცოდით, სირცხვილი რა იყო. როცა შევუღლდით, მე თვრამეტი წლის ვიყავი, ის – ოცის. კარგად არასოდეს გვიცხოვრია, მაგრამ ჩვენი შრომით კარგი ოჯახი შევქმენით. წლისთავზე ტყუპი ვაჟი შეგვეძინა. ძალიან გამიჭირდა მათი გაზრდა – სულ ავადმყოფობდნენ. დედამთილი მეხმარებოდა. დილით რომ ყანაში წავიდოდი, ბავშვებს მასთან ვტოვებდი. იქ შემომესმებოდა ხოლმე მათი ტირილი, გამოვვარდებოდი, მოვაწოვებდი ძუძუს და ისევ უკან ვავრბოდი. ახალგაზრდა ვიყავი და ვუძლებდი მძიმე შრომას. ქმარიც მეხმარებოდა. მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მე მესიამოვნებოდა. ოცდასამი წელია ერთად ვცხოვრობთ, ჯერ მისგან გული არ მტკენია. რა თქმა უნდა, იცის, ახლა აქ რომ ვარ და უკვე მეხუთე ბავშვის გასაშვილებლად ვემზადები. ამას ჩემი ნებით ვაკეთებ, ქმარს კი არ დაუძალებია...

— საკმაოდ ახალგაზრდა ხართ და უკვე მეთექვსმეტი შვილი გაქვთ?

ჩემი რესპონდენტი
 მრავალშვილიანი დედაა. მას სამი ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავს. მისი უფროსი ვაჟი ჯერ მხოლოდ ოცდაორი წლისაა და უკვე მესამე შვილის დაბადებას ელოდება. ერთი შეხედვით, იშვიათი ბედნიერებაა, რომ არა დიდი საიდუმლო, რომელსაც ოჯახის უფროსი ქალბატონი, ნარგიზა გულში ინახავს. ბოლო ათი წლის მანძილზე მან ოთხი ბავშვი გააჩინა და გააშვილა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — გაყიდა. თითოეულში მხოლოდ 500 დოლარამდე გადაუხადეს. მეტი თავადაც არ მოუთხოვია. ეს ამბავი ზოგს შეიძლება არც გაუკვირდეს, რადგან, როგორც თავად ნარგიზამ მითხრა, თურმე მის მსგავსად სხვა ქალებიც იქცევიან... თურმე ასეთი ქალების რიცხვი იმდენად დიდია, რომ უკვე კლიენტის მოძებნაც კი უჭირთ...



ბმიჩი დედა შვილებს ყიდის!

დასამ ნელიწადში ათი ბავშვის გაჩენა იოლი საქმე არ არის. როგორც გავიგე, მგონი, ახლა შვილიშვილებსაც ზრდით. როგორ უძლებთ ასეთ დატვირთვას?

— შვილიშვილები მე დავზარდებოდალი აკვანთან არ მიმიკარებია. ის სტუდენტია, მალე მესამე ბავშვს გააჩენს, თანაც ნაზი გოგოა, უძილობას ვერ იტანს. მე კი ხარივით ჯანმრთელი ვარ. ორმოცდაერთი წლის გავხდი და ჯერ კბილიც არ მტკენია. სურდო ბოლოს მაშინ მქონდა, ჩემი უმცროსი შვილი რომ გავაჩინე, ის კი უკვე სკოლას ამთავრებს. ქალს თუ კარგი ქმარი ჰყავს, ქალი თუ სიყვარულითა და სითბოთია გარემოცული, ბევრ რამეს გაუძლებს...

— რატომ დადგა თქვენს ოჯახში ბავშვის გაყიდვის საჭიროება?

— თქვენ ცუდ შეკითხვებს მისვამთ. გინდათ, ისე გამოიყვანოთ, თითქოს ბავშვებით ვვაჭრობდე. ეს არის ტყუილი. სიმართლე ის არის, რომ მე ჩემი ოჯახის გადასარჩენად ვიბრძვი... ამ ათი წლის წინ,

როცა მოსავალი არ მოვიდა, წყალდილობამ, მერე კი გვალვამ, სიმინდი გააფუჭა, მთელი ზამთარი შვილებს ტყეშალს ვაჭმევდი. დაახლოებით თებერვლის ბოლოს კი მივხვდი, ორსულად რომ ვიყავი. ფულს სად ვიშოვიდი აბორტისთვის?! ჩვენს სოფელში ახლაც ისე უჭირს ხალხს, პურს ვერ ყიდულობენ. რატომ უნდა მეთქვა ქმრისთვის ეს ამბავი?! ისედაც ნერვიულობდა, ღამეები არ ეძინა. შემეშინდა, თავი არ მოიკლას-მეთქი... წონაში რომ ვიმატებდი, ეს არავის გაჰკვირვებია: ისედაც მსუქანი ვარ... მშობიარობის დრომ რომ მომიწია, თბილისში წამოვედი, ვითომ კვერცხის გასაყიდად. მივედი ნათესავებთან ტირილით: მიშველეთ, დამეხმარეთ, ბავშვით სოფელში ვერ ჩავალ-მეთქი. ორი დღის შემდეგ უცნობი ქალი მოიყვანეს. მშობიარობის ფულს ეს გადაიხდის, სამაგიეროდ, ბავშვი ამას უნდა მიაშვილო — ამიხსნა მასპინძელმა. შვებით ამოვისუნთქე. ისე მოხდა, რომ იმ საღამოს ვიმშობიარე. ყველაფერი იმაზე იოლი



მკითხოთ, თუ ინანეთო?! გაზრდილი შვილები შიმშილით მესოცებოდნენ, ჩვილის გაზრდას როგორღა შევძლებდი?! ალბათ მე ის უნახავი შვილი ყველაზე მეტად მიყვარდა, რადგან იმ ცხოვრებისთვის ვერ გავიმეტე, რომელიც ჩემს ხუთ შვილს შევუქმენით მე და ჩემმა ქმარმა.

— ქმარი ვერაფერს მისვდა?

— როგორც კი სახლში დავბრუნდი, მკითხა: ბავშვი რა უყავიო. თურმე შეუმჩნევია, ფეხმძიმედ რომ ვიყავი. წარმოიდგინეთ, როგორ სიღუხჭირეში უნდა ვყოფილიყავით, ქმარმა რომ დახმარების ხელი ვერ გამომიწოდა. კაცმა,

რომელმაც შვილებისთვის მუხლჩაუხრელად იშრომა, მეექვსე შვილზე უარი თქვა, რადგან მის შრომას სარგებელი აღარ მოჰქონდა, მისი შრომით ოჯახი ვეღარ იკვებებოდა, ბავშვები მშვივრები

დოდა, რომ სტკენოდა...

— შემდეგ რა მოხდა? რატომღა გააშვილეთ კიდევ ერთი ბავშვი?

— ასი დოლარი მალე დავხარჯეთ. ისევ მშვივრები დავრჩით. მოსავალი მხოლოდ ორ თვეს გვეყო, ზამთარს კი, როგორც ამბობენ, დიდი კუჭი აქვს. ერთ დღეს ჩემი ნათესავები ჩამოვიდნენ თბილისიდან — აი, ისინი, ვისი ოჯახიდანაც ჩემი ბავშვი გავაშვილეთ. როგორც კი შემომხედეს, თქვეს: შენ ნამდვილად ფეხმძიმედ ხარო. ვიუარე, მაგრამ ორი თვის მერე გაირკვა, რომ ოთხი თვის ორსული ვიყავი. უკვე ჩემი ნებით გადავწყვიტე, ვინმე მენახა, ვინც ფულს გადამიხდიდა. ისევ ნათესავები დამეხმარნენ და მონახეს ოჯახი, რომელიც ხუთას დოლარს მომცემდა და მშობიარობისთვის საჭირო ხარჯებსაც საკუთარ თავზე აიღებდა, თუ გოგოს გავაჩენდი. აგვისტოს ბოლოს ვიმშობიარე. ტყუპი ბიჭი შემემძინა. როგორც იცით, მე სახლში მყავს ტყუპი ბიჭი. კლიენტები დავკარგე

აღმოჩნდა, ვიდრე მე მეგონა. მეორე დღესვე ექთანმა მითხრა: შეგიძლია წახვიდე, ამ პალატაში ის ქალი უნდა დავაწვინო, ვისაც ბავშვი მიაშვილეთ. თავს კარგად ვგრძობდი, ჩიტვივით ვიყავი. დავბრუნდი ჩემს ნათესავებთან. მათ ასი დოლარი მომცეს — იმ კეთილ ქალს დაეტოვებინა ჩემთვის, ვისაც ბავშვი მივეცი.

— ასე მგონია, ძალიან იოლად დათმეთ შვილი. მათ ცუბს თქვენნი სიმშვიდე. ნუთუ არ გაგიჩნდათ სურვილი, ახალშობილი აღარ გაგეშვილებინათ?

— თქვენ გინდათ, ტირილით გიამბოთ ეს ამბავი? სინამდვილეში მე არ მიტირია, ერთი ცრემლიც არ ჩამომვარდნია, ცრემლი გამშრალი მქონდა... მე, ხუთი შვილის დედა, მეექვსე შვილი გულიდან მოვიგლიჯე. როგორ შეგიძლიათ

ცრემლი გამშრალი მქონდა... მე, ხუთი შვილის დედა, მეექვსე შვილი გულიდან მოვიგლიჯე. როგორ შეგიძლიათ მკითხოთ, თუ ინანეთო?! გაზრდილი შვილები შიმშილით მესოცებოდნენ, ჩვილის გაზრდას როგორღა შევძლებდი?!

იყვნენ... ორივე უბედურები და საცოდავები ვიყავით. როცა ერთად ვწვებოდით, ხმას არ ვიღებდით, რადგან ვიტანჯებოდით, სატანჯველი კი იმდენად დიდი იყო, სიტყვებით ერთმანეთს ვერ ვუზიარებდით... ერთი თვე ასე გამეხებულმა იარა ჩემმა ქმარმა, მერე ცულს ხელი დაავლო, გავარდა ბაღის ბოლოს, დაღო ჯირკზე ხელი და ორი თითი საკუთარი ხელით მოიჭრა... გადაირივნენ ბავშვები. ატეხეს წივილ-კივილი. დღემდე ვერ ხვდებიან, რატომ მოიქცა მათი მამა ასე, მხოლოდ მე ვიცი ამ საქციელის მიზეზი. შვილის გამვილებით გამოწვეული ტკივილი ეცოტავა, სული და გული კი სტკიოდა, მაგრამ სხეულიც უნ-

— ბიჭის აყვანაზე ვერაფრით დავითანხმე. ბავშვებს ხომ არ გადავყრიდი?! გადავწყვიტე, სოფელში წამეყვანა. ამ დროს ვიღაც კაცი მოვიდა და მითხრა: ჩემმა რძალმა წუსხელ იმშობიარა, მკვდარი ბავშვი დაბადა, შენს ორივე ბიჭს წავიყვანთ და ათას დოლარს გადაგიხდითო. დავთანხმდი. ერთ ბიჭს ლაშა-გიორგი დაარქვეს, მეორეს — უბრალოდ, გიორგი. ის ბავშვები არ მინახავს, უარი ვთქვი: არ შემეძლო მათი ნახვა.

— ისევ არ გიტირიათ?

— სხვათა შორის, რომ დავიბადე, თურმე არც მაშინ დამიწყია ტირილი. ბევრი მირტყეს, ორი თითით, ფეხის გულზე, მაგრამ ხმა ვერ ამომალებინეს. ეს დედაჩემის-

ყურადღება!

თბილისელთათვის

ფურნალ „გზის“ გამოწერის მსურველებს გთხოვთ, შეავსოთ ეს ქვითარი და გამოგზავნოთ „ვერის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით, ან დარეკეთ 33-26-73

მსურს გამოვიწერო

ფურნალი „გზა“

თქვენი მისამართი, ტელეფონი

სახელი, გვარი

გან მახსოვს...

— მეოთხედამ იმიტომ გააჩინეთ და გააშვილეთ ბავშვი, რომ ფული გჭირდებოდათ?

— არა. უბრალოდ, ჩემს შვილს ცოლი მოჰყავდა, რომ გავიგე — ფენმძიმედ ვიყავი, რძალს სახლში ჩვილი ბავშვით ხომ არ დავხვდებოდი?! აბორტიც დაგვიანებულ იყო. იძულებული გავხდი, ისევე უშვილო წყვილი მომეძებნა...

— თქვენ მიერ გაშვილებული ოთხივე ბავშვი საიმედო ხელშია?

— კი. ისინი ბედნიერები იქნებიან. მათ მზრუნველობა და ალერსი არ მოაკლდებათ. ოთხივე შეძლებულმა ოჯახებმა იშვილეს. მე ყოველთვის თვალყურს მივადევნებ მათ ცხოვრებას. ღმერთი ისე არ გამწირავს, რომელიმეს რაიმე რომ გაუჭირვოს. არა აქვს მნიშვნელობა, იმ ბავშვებს ეტკინებათ რამე, რომლებიც გავაშვილე, თუ იმათ, რომლებიც სახლში მყვანან — ყველანი ჩემი შვილები არიან. ათივენი რომ ჩემთან იყვნენ, ახლა გმირი დედა ვიქნებოდი... მე მაინც ბედნიერი ვარ. ცხრავე შვილი ჯანმრთელი და ერთმანეთზე ლამაზები არიან. მეთათვის ამ დღეებში გავაჩენ. ისეთი შეგრძობა მაქვს, გოგო დაიბადება.

— გაშვილებული ბავშვებიდან ძუძუ არც ერთისთვის არ გინწოვებიან?

— მეოთხე ბავშვი რომ გავაშვილე და სახლში დავბრუნდი, თავს ცუდად ვგრძობდი: მუშაობა არ შემეძლო, მალე ვიდლებოდი. სულ ცუდის მოლოდინში ვიყავი. ორი თუ სამი თვის შემდეგ კი, უცნაური რამ დამემართა: ძუძუები ამიწვა, გეგონებოდათ, ცეცხლი უკიდიაო, ისე მქონდა გაწითლებული. თან,

რძეც ვერ გავიბრუნე უკან. მთელი ამ ხნის მანძილზე ჩემით ვიწველიდი. გავავსებდი ჭიქას და გადავაქცევდი. ბავშვი სადღა იყო, რომ მისთვის მეჭმია... ავფორიაქდი. ქმარ-შვილს ვუთხარი — ექიმთან უნდა წავიდე, ცუდად ვარმეთქი. ჩამოვედი თბილისში. მივედი იმ ოჯახში, საიდანაც ბავშვი წაიყვანეს... ნამდვილად ის ბავშვი ცუდად არის-მეთქი, ვუთხარი მასპინძელს. დამეთანხმა. საღამოს გაშვილებული ბავშვი მოიყვანეს ჩემთან. თურმე სულ ტიროდა, საჭმელს არ ჭამდა. წონაში არ იმატებდა, რასაც შეჭამდა, უკან იღებდა. მე რადგან ძუძუში რძე ისევე მქონდა, შევთავაზე მის მშობლებს — თუ გინდათ, ძუძუს მოვაწოვებ-მეთქი. ბავშვები საწოვარას რომ მიეჩვევიან, ძუძუს პირს აღარ ჰკიდებენ, მან კი ენერგიულად ჩაითრია პირში ჩემი ძუძუ და დაიწყო წოვა... ერთი თვე ვაწოვე ძუძუ და ისე მოვაკეთე, მშობლებმა გაოცებისგან პირი დააღეს...

— ერთი თვე ბავშვს ძუძუ აჭამეთ და მაინც დათმეთ? როგორღა მოიგლიჯეთ გულიდან?

— მშობლები არ მიტოვებდნენ. მოჰყავდათ მხოლოდ მაშინ, როცა ჭამას ითხოვდა. დღე-ღამეში ხანდახან ათჯერ მაინც მოდიოდნენ ხოლმე. როცა ძუძუს ვაწოვებდი, სახეზე ცხვირსახოცს ვაფარებდი, რომ არ დამმახსოვრებოდა...

— რომ არ შეგყვარებოდათ?

— დედას შვილი იმ წუთიდან უყვარს, როცა მის მოძრაობას საკუთარ სხეულში გრძობს... ტკივილებისგან გატანჯული, როგორც კი ახალშობილის ტირილს გაიგონებს, მაშინვე ყველაფერი ავიწყდება და მხოლოდ ბედნიერებას განიცდის. მეც ოთხივე ბავშვი, რომელიც გავაშვილე, მუცელშივე შევიყვარე. სხვათა შორის, ოთხივე ბიჭია, სამ მათგანს ახალმა მშობლებმა გიორგი დაარქვეს, მეოთხეს ლუკა ჰქვია. სწორედ ლუკას ვაწოვე ძუძუ.

— ძალიან მიჭირს თქვენი გაგება... არ მესმის თქვენი...

— მე მხოლოდ უფალი გამიგებს, როცა მის სამსჯავროზე წარვდგები.

რძაზრნაზრადურ



იმაზე საზიზლარი არაფერია, რომ კაცმა სულ შენს თავზე ილაპარაკო.

ჯაკობო ლეობარდი

სხვა სხვისა ომსა ბრძენია. შოთა რუსთაველი

მლიქნელი — პირველი მტერია. ტაციტი

ჭეშმარიტებისაკენ მისწრაფება ერთადერთი რამეა, ღირსი გმირისა. ჯორდანო ბრუნო

რა მტკიცება უნდა, რომ განათლება ადამიანისთვის უდიდესი სიკეთეა. გაუნათლებელი ადამიანი უხეშია, ღარიბი და უბედური. ნიკოლაი ჩერნიშევსკი

ბედი მას აქვს, ვისაც ძალუქს სხვათა ღვაწლის დაფასება, სხვისი ღმერთი უხარია ისე, როგორც საკუთარი. იოჰან ვოლფგანგ გოეთე

მოვა წუხილი, წავა ხალისი, მოვა ხალისი, წავა წუხილი; დღე გუშინდელი არ ჰგავს ხვალისას — ცვალებადია ჟამთა ღულილი. თეოდორ შტორმი

მაღა ჭამაში მოდის. ფრანსუა რაბლე

თუ სულ კითხულობ და წაკითხულს არ აკვირდები, ნაკითხობა ჭკნება. არტურ შოპენჰაუერი





ანახვისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი...

ლია ქიზიყელია, გვარად ბალაშვილი. გია კი – გურული, ცეცხლადის ბიჭი. თავდაპირველად მეგობრები გაკვირვებისგან ხელებს შლიდნენ: განსხვავებული ტიპები არიან, ურთიერთსაპისპირო ხასიათის და ჩვეულებებისო, მაგრამ როგორც ნოდარ დუმბაძის ილარიონი იტყოდა – სიყვარულს რას გაუგებ?!

ლია და გია უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები არიან.

როცა გიას ბებიამ შვლიშვილის შეყვარებულის წარმომავლობა გაიგო, ჩამოიხოკა ლოყები: დიდუუუ! ბიჭო, ცოლმა რომ დედა შეგაგინოს, რავა მოითმენ მაგას შენ? – შემფოთებული ჩაეკითხა გიას.

– კი, მაგრამ რეიზა უნდა შემაგინოს? – ალაღად გაუკვირდა ბიჭს.

– იმიზეზ, რომე ვეგნი მისალმების და დამშვიდობების ნაცვლად, სულ იგინებან თურმე, არაფრად მიაჩნიათ მაგი!

– კაი ახლა, ეფროსინე, მთლად მასთეც არაა საქმე! – დაამშვიდა რძალმა, რომელიც უფრო გაგებით მოეკიდა შეილის არჩევანს.

ასე იყო თუ ისე, გახურდა სიყვარული. ბოლოს და ბოლოს, შეყვარებულთა ამბავმა ლიას მამის, მიხო... უკაცრავად – მიხეილ ბალაშვილის ყურამდეც მიაღწია და ზამთრის არდადეგებზე ჩასული ლია თავისთან იხმო:

– გო, მოდი, აბა, აქ!

„გო“ საკმაოდ მორცხვი იყო, მამის რიდიც ჰქონდა, წინდაწინვე იცოდა, რისთვის ეძახდა მამა, ამიტომაც თავდახრილი მიუახლოვდა.

– შენი ჯგუფელია ი გურული?

– გოგომ თავი დაუქნია.

– ორივენი ეკონომისტები უნდა გახდეთ... დარწმუნებული ხარ, რომა ოჯახს შაინახამს?!

– კი, მამა, ჭკვიანი ბიჭია! – ძლივს წამოიკნავლა ლიამ.

– იცოდე, ქედაში არ გამამაჭენო, ხალხი არ გააცინო ჩემზედა, მიხოი გოგო თავქარიან გურულს გაჰყვარო, არავის ათქმეინო, გაიგე შენა?

ლიამ კვლავ თავი დაუქნია.

– მაშ, კარგი! მოიდეხ ერთი, რა კაცია, ვნახო. სმაშიც გამოვცდი და სიტყვა-პასუხშიც.

მიღსა სყოლითა შეყვარებულთა გურულთა



მარინა ბაბუნაშვილი

– მამა, ახლა გურიაშია გია. როცა მეორე სემესტრი დაგვეწყება, მაშინ ჩამოვა თბილისში და ვეტყვი, რომ მისი ნახვა ვინდა, – ძლივს მოუყარა სიტყვებს თავი.

– ის კი არ ეგონოს, რომ უკვე თანახმა ვარ და ნიშანი მოგიტანოს... ასე უთხარი, ერთი ამხანაგიც წამაყოლოს, ობლად რო არ იგრძნოს თავი; ისიც უთხარი, ჯერ უნდა შაგამოწმოს მამაჩემმა სმა-ჭამაში-თქო, გაიგე?! გაიგო.

როგორც კი სწავლა განახლდა, ლიამ ყველაფერი სიტყვასიტყვით გადასცა გიას.

– ლევან, მიშველე! სასიამოროს ჩემი გაცნობა უნდა, მე კი ჯერ არ ვარ მზად ამისთვის! – შესჩვილა მეგობარს.

ლევანი თბილისელი ბიჭია. ორივე – გიაც და ლიაც ძალიან უყვარს, გულშემატკივრობს მათ. რადგან მას უკვე ჰქონდა მიხოსთან შეხვედრის ბუნებრივად და გამოცდილებაც, ხელი ხელს შემოჰკრა: ნუ გეშინია, მე შენ გვერდით ვარო, – უთხრა გურულ ძმაკაცს და თავისებურად დაჩაღინდა...

მეორე დღეს გაზეთი „სიტყვა და საქმე“ მიურბენინა. გადაშალა ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის გვერდი და გაოცებულ გიას, წინასწარ შეთვალა იერებულ-შემოხაზულ განცხადებებზე მიუთითა.

– დროზე წაიკითხე!

– გაგიჟდი? – ადგილზევე შეხ-

ტა გია, როგორც კი პირველ განცხადებას გაეცნო, – სად აქვთ ჩვენებს „მოსკვირის“ საყიდელი 500 დოლარი?

– კარგი, ნუ ფიცხობ! ლიას მამას ვიცნობ, თავმოწონე ვინმეა. მუდამ ბარაქიანი ოჯახი ჰქონდა. ქედაში ერთ-ერთი მდიდარი კაცია. ჰოდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი რომ მიხვიდე და სთხოვო, მომათხოვე შენი გოგოო, აგათვალ-ჩაგათვალაიერებს, ბოლოს კი, დინჯად გეტყვის: იქ წადი, ძმაო, საიდანაც მოსულხარო.

– აბა, რა ვქნა?! – შეწუხდა შეყვარებული ბიჭი.

– იმიტომაც მოგიტანე ეს განცხადებები, რომ ყურადღებით წაიკითხო. თუ ხუთასი დოლარის საშუალება არ გაქვს, ორასის ხომ გაქვს? ცოტას თქვენები ვიშოვიან, ცოტას ჩვენც – შენი ძმაკაცები გაგიჩაღინებთ. აგე, ვერა ხედავ, სავარძლიანი მოტოციკლეტი რომა გამოცხადებული 250 დოლარად? ცოტას დაგვიკლებს კიდევ; მე „დავებაზრები“ მის პატრონს! დამიჯერე, რა, სულ სხვა ეფექტი ექნება, მოტოციკლეტით რომ მიხვალ სასიამოროსთან.

– მერე, ამ ძველი ქურთუკით ხომ არ მივადგები იმ ქიზიყელს... ანდა, რა მივუტანო, რა ესიამოვნება? – ძმაკაცის ლაპარაკით თავბრუდარცვულმა გიამ ახალი პრობლემა წამოჭრა.

– კაი, ბიჭო! ეგ რაღა სალაპარაკოა? „სექენდ ჰენდი“ ხომ გაგივია

მეორადი მოხმარების ტანსაცმლის მალაზია? ამას წინათ, ჩემმა მეზობელმა იმისთანა „ტელეგრაფიკა“ იყიდა, თვალი ზედ დამრჩა. წავიდე და 15 ლარად ხომან რამეს აგარჩევინებ – მოტოციკლეტს რომ მოუხდებოდა, ისეთს. რაც შეეხება წასაღებს, მაგაზეც ვიფიქრე. ჩემს ნათესავს კერამიკის „ცეხი“ აქვს გახსნილი, სულ ნაირ-ნაირი სასმისები აქვს დამზადებული, ყანწებიც კი. იცი, რა „ხოდშია“? მაგაზე კარგი რა უნდა მიუტანო ღვინის მსმელ კაცს? ჰოდა, სულ უფასოდ ავიღებ... მოსულა?!

– მოსულა! – ხელზე ხელი დაპკრა თვალებგაბრწყინებულმა გიას.

მოტოციკლეტი მართლაც არ იყო ურიგო. ახალივით გამოიყურებოდა. ლევანმა პირობა შეასრულა და იმდენი ქნა, 50 დოლარი დააკლებინა პატრონს. ნაწილ-ნაწილ შეგროვილი თანხა ჩაუთვალეს გამყიდველს და ზარ-ზეიმით მივიდნენ სახლში.

– მე თუ მკითხავ, მოტოციკლეტი მანქანაზე უფრო ეფექტური და ეგზოტიკურიც კია! ასე არ არის? – შეეკითხა საჭესთან მჯდომ გიას.

– კი, ტო! ნაღდი ხარ! – ჩაუთბილისურა გაიმატა.

– ოღონდ ეგ ტენავს, თავისი „კასკა“ რომ არ მოჰყვა. არა უშავს, იმისთანა კეპს გიყიდი, მთელი კახეთი შენ შემოგყურებდეს.

მეორე დღეს ბიჭებმა SECOND HAND-ის მალაზიები დალაშქრეს. დიდხანს არც უვლიათ, მალე ნახეს შესაფერისი ქურთუკი (უფრო სწორად, „ტელეგრაფიკა“). ლევანი ირწმუნებოდა, რომ ეს შავი, დალიანდაგებული „ტელეგრაფიკა“ განსაკუთრებით მოუხდებოდა სავარძლიან, ხაკისფერ მოტოციკლეტს.

აბა, ერთგულ და თავგადადებულ მეგობარს როგორ შეეწინააღმდეგებოდა გია?! მით უმეტეს, რომ წვრილმან-მსხვილმანი შენაძენით თვითონაც უზომოდ კმაყოფილი იყო.

თებერვლის მიწურულს, როცა ხეში წყალი ჩადგა და ჰაერშიც გაზაფხულის სასიამოვნო სუნის დატრიალდა, ერთ შაბათ-კვირას სრულ მზადყოფნაში მყოფმა ბიჭებმა გადაწყვიტეს მიხლო ბალაშვილს სწვეოდნენ. აფორიაქებული ღია ერთი დღით ადრე გაემგზავრა სოფელში.

ის-ის იყო, გიას მოტოციკლეტი უნდა დაექოქა, რომ ლევანი სავარ-

ძლიდან წამოხტა, შუბლზე ხელი იტყიცა და მეგობარს თავზე დააფრინდა.

– მოდი, რა, ახლა რომ მოდამია, ისე დაიხურე კები! – და კები უკან შეუტრიალა, – აი, ასე! ახლა ნაღდი სტალონე ხარ, ძმაო!

... და წავიდნენ. ქარმა ნამეტანი რომ შეაწუხა გია, გააჩერა მოტოციკლეტი და გადაწყვიტა „ტელეგრაფიკა“ შეეკრა (ქარი მანდილივით უფრიალებდა „ტელეგრაფიკას“, თანაც შესცივდა), მაგრამ აღმოჩნდა, რომ ღილები აჭრილი ჰქონდა.

– აუ, ბიჭო! ისე მოგვეწონა, ვერც კი შევამჩნიეთ, ღილები რომ არ ჰქონდა! – შეწუხდა ლევანი, მაგრამ კვლავ დაებადა იდეა:

– გაიხადე, ძმაო, ეგ „ტელეგრაფიკა“ და პირიქით შემოიკვი. ვერ მიხვდი? აუ, რა დაბღურა ხარ! სვლის დროს ქარი პირდაპირ გირტყამს, ამიტომაც გიფრიალებს კალთებს. შენც ადექი და ზურგის მხარე წინ შეიბრუნე, ხელები გაუყარე და ისე ჩაიცივი, სანამ ქელაში ჩავალთ, თბილად და მოხერხებულად იქნები. როცა სოფელს მიუახლოვდებით, მერე შემოიტრიალე!

როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი იყო ლევანი და გიაც სწორედ ისე მოიქცა, როგორც მან ურჩია.

სატრფოს სოფლამდე მშვიდობიანად იმგზავრეს. ძმაკაცები ძალიან გაამზიარულა იმ ფაქტმა, რომ კახეთში შესვლისთანავე იმატა და იმატა ვირების რიცხვმა.

– აუ, ბიჭო, შენს სასიამოროს, როგორც მდიდარ კაცს, წარმომიდგენია, რამდენი ვირი ევლებოდა! ხან თეთრზე შეჯექი, ხან შავზე, ხანაც იშვიათ სახედარზე – იასამნისფერზე და შემოიარე კახეთი – ხუმრობდა ლევანი და ორივე ხმამაღლა ხორხოცებდა.

ახალი ნაწვიმარი იყო. გიას ერთი სული ჰქონდა, როდის მივიდოდა ღიას ოჯახში, ამიტომაც სვლა არ შეუწყობია. ერთ ბორცვზე მოტოციკლეტი მოუსრიალდა, საჭე ვეღარ დაიმორჩილა და იქვე, პატარა ღელეში გადაყარა.

მეგობრებმა გონება დაკარგეს...

ჯერ ლევანი გამოერკვა: მათ ირგვლივ ხალხი ფუსფუსებდა. ელდა ეცა – იფიქრა, გიას რამე ზომ არ მოუვიდაო, მაგრამ ამასობაში უკვე

წამომგდარ, გადიმებულ მეგობარს რომ მოჰკრა თვალი, გულზე მოეშვა. როგორა ხარო? – ხელით ანიშნა გიას. ცერა თითის აწევა აღარ აცადეს სასიძო კაცს – ერთ-ერთმა ქიზიყელმა გაოცებისგან იყვირა:

– ჯო... დახეთ, რა მოსვლია ამ ერთსა!

ყველა გიას მიუბრუნდა. ის კი დაბნეული ახამხამებდა თვალებს და აზრზე არ იყო, რა სჭირდა.

– ხედავთ, ცოცხალი გადარჩა, მაგრამა კისერი მოღრეცია!

გიას, როგორც უცხოპლანეტელს, ისე შემოეხვივნენ ქიზიყელები.

ლევანმა ვერ მოასწრო იმის ახსნა, თუ რატომ ეცვა გიას „ტელეგრაფიკა“ უკულმა.


– მიდი, აბა, მუტრუკაანთ გიგლავ! ეგება, რამე მოუხერხო! – შეაგულიანეს გონებასუსტი თანასოფელი ქიზიყელებმა.

მუტრუკაანთ გიგლამ ორივე ხელი თავში წაავლო გიას და ისე უცებ დაქაჩა, რომ ხმის ამოღება ვერავინ მოასწრო...

ტკივილისგან სახემოღრეცილი გია დედოფლისწყაროს სააგადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს, კისერი თაბაშირში ჩაუსვეს და თბილისში ისე გამოისტუმრეს.

ლოყებდასოკილი ბებია ეფროსინე დედაქალაქში გამოამგზავრეს შვილიშვილის მოსავლელად. ორი თვის მანძილზე გია „ჩათაბაშირებული“ კისრით დადიოდა. ბებია კი ქოთქოთებდა: ხო ვამბობდი, რომე გინება ორ შაურად აქვთ-მეთქი მაგ კუთხის ხალხს. გული მიგრძნობდა, რაცხა ფარცავს შეიხვედრებდა ჩემი გია იქინე. გინებას ქე გადოურჩა, მარა კისერი კილამ მეიტენა. ვინ იცის, ღმერთმა აგრძნობინა, რომე არ შეიძლება მაგათთან დამოყვრებაო...

ასე იყო თუ ისე, გამამ „რეაბილიტირებული“ კისრით მაინც გაიცნო სასიამორო მიხლო, რომელმაც შემოდგომაზე, რთველის მერე დიდი ქორწილი გადაუხადა შვილს. ის მუტრუკაანთ გიგლა პატარძლის მყარიონში გახლდათ, რომელსაც გურიაში ოთხი კაი ყაზილარი მიუჩინეს დასათრობად, მაგრამ – ნურას უკაცრავად...



მადინა სადიკოვას (მარცხნივ) და ირმა ბერიაშვილის გადაღების ნება მოსამართლემ არ დაგვროთ



ოლგა გორელიკი

ოლგა გორელიკი ბავშვების უკანონოდ ყიდვა-გაყიდვას დღემდე უარყოფს

„იმი კალზე პირაშენა და ხალს აიხიოვახ მხაკაჟოლა“ – იჩენენაჟა პიხი აჟოჟაჟი

ოლგა გორელიკი, რომელსაც პროკურატურა ბავშვებით ვაჭრობაში ადანაშაულებს და ვისზეც უკვე ერთი წელია, მთელი საქართველო ლაპარაკობს, მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს განსასჯელია. იგი ბავშვების უკანონოდ ყიდვა-გაყიდვას დღემდე კატეგორიულად უარყოფს. როდესაც ქალაქის პროკურატურის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, ვინმე ზაირა ძევისაშვილის საცხოვრებელ ბინაში, მასთან ოლგა გორელიკის მიერ დროებით დატოვებული ორი ახალშობილი იპოვეს, გორელიკმა თქვა: ეს ბავშვები გასაყიდად კი არ მყავს, არამედ მათ დედებს ძალიან უჭირთ და ახალშობილების გაშვილებაში ვეხმარებიო...

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე ქალაქის პროკურატურაში ვინმე მადინა (ოლგა) სადიკოვას განცხადების საფუძველზე აღიძრა. განცხადებაში სადიკოვა წერდა, რომ მას ოლგა გორელიკმა და მათი მდივანმა, შანტაჟისა და მოტყუების გზით, ახალშობილი ბავშვი გამოართვეს, თან, თანხა შესთავაზეს, რომელიც აღარ გადაუხადეს. სადიკოვა სამართალდამცავებს შვილის დაბრუნებაში დახმარებას სთხოვდა.

დღეს მადინა სადიკოვა ამ განცხადების სისწორეს უარყოფს და აცხადებს, რომ მისი დაწერა მას ქალაქის პროკურატურის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა დააძალეს. პროკურატურა არც გორელიკის, არც სადიკოვას სიტყვებს არ იზიარებს. გამოძიების მასალების მიხედვით, მათ შორის ბინძურ გარიგებას ჰქონდა ადგილი.

სამართალდამცავთა პოზიციას არ ეთანხმება ოლგა გორელიკის ინტერესების

დამცველი ადვოკატი – ამირან მაგმიშვილი, რომელიც ამ ქალბატონის ცხოვრებასა და საქმიანობას ასე წარმოგიდგენს:

„... გათხოვილი არ არის. ორმაგი მოქალაქეობა აქვს – რუსეთისა და კანადის მოქალაქე ვახლავთ. მისი მშობლები და ძმა, ამჟამად კანადაში სახლობენ. თავად, ბოლო წლებში, რუსეთში ცხოვრობდა. არის საერთაშორისო სპორტის ოსტატი მამში... გორელიკი სანქტ-პეტერბურგში გიდად და თარჯიმანდ მუშაობდა. იქ საქართველოდან ჩასულ მსახიობებს, მხატვრებს, ქართული კულტურის წარმომადგენლებს ხვდებოდა. გაიცნო ქართველი მოცეკვავეები – ცოლ-ქმარი ელიკაშვილები, სუნიშვილების ანსამბლის წევრები. გორელიკი ქართველებს იძებნად დაუძებობდა, რომ მათთან სტუმრად ხშირად საქართველოშიც ჩამოდიოდა. ბოლოს აქ 2000 წელს (რიცხვსა და თვეს ზუსტად ვერ იხსენებს) ჩამოვიდა. ჩვენს ქვეყანაში მისი სტუმრობის მიზანი ძირითადად, მეგობრებთან შეხვედრა იყო. იმ პერიოდში გორელიკი საბურთალოზე, ელიკაშვილების ოჯახში ცხოვრობდა. ელიკაშვილებმა დასასვენებლად წყნეთში წასვლა გადაწყვიტეს. მათ გორელიკიც თან გაჰყვა. ერთ საღამოს გაჭირვებასა და ღარიბ ოჯახებზე ჩამოვარდნილა საუბარი. იქ მყოფ ერთ პიროვნებას უთქვამს: „ჩემს სოფელში (კასპის რაიონი, სოფ. თელიანი) ერთი – ბერიაშვილების ოჯახი ცხოვრობს. უკიდურესად გაჭირვებულები არიან. ოჯახში სამი მცირეწლოვანი ბავშვია – სამივე ბიჭი. ბავშვებს ძირითადად, ბებია და ბაბუა უვლიან, თუმცა მათი ნორმალური აღზრდისთვის არანაირი პირობა არა აქვთ, ამიტომაც ხშირად ეჩხუბებიან თავიანთ ქალიშვილს – ირმა ბერიაშვილს – წაიყვანე შენი შვილები, ჩვენ მაგათ საცოდაობას ვეღარ ვუძლებთ, მშვიერ ბავშვებს ვერ

ვუყურებთო. ბავშვების დედა თბილისში ცხოვრობს, მამა კი სადღაც უმისამართოდ არის წასული და სად იმყოფება, არავინ იცის“.

სხვათა შორის, ირმა ბერიაშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ – ილია კაციაშვილმა ცოლად, თავისი ძმის ცოლი წაიყვანა და სამუდამოდ გადაიკარგა. ბერიაშვილების ოჯახში არსებული უკიდურესი გაჭირვება შემდგომში საქმის გამოძიებელმა – მერაბ გოგლიძემაც დაადასტურა ოფიციალურად. იქაური სიტუაცია მან ასე აღწერა: „იქ ვნახე 6 წლის ბავშვი, რომელსაც ყურებიდან ჩირქი სდიოდა და თან გარეთ, ეზოში შემას ჭრიდა. პირდაპირ გული მომიკვდა“.

ამირან მაგმიშვილი:

„გორელიკს იმ საღამოსვე გადაუწყვეტია ბერიაშვილების ოჯახის ნახვა და ელიკაშვილების სტუმრებისთვის უთხოვია – მიმიყვანეთ მათთან და როგორც გამაყვანითო. რამდენიმე ხნის შემდეგ ოლგა გორელიკის ტელეფონის ნომერი სოფელ თელიანის მკვიდრისთვის – თეიმურაზ მაზმიშვილისთვის მიუციათ“.

როგორც აღმოჩნდა, თეიმურაზ მაზმიშვილი ბერიაშვილების მეზობლად ცხოვრობდა. მას ირმა ბერიაშვილთან ბოლო ხანებში რომანიც ჰქონია. მაზმიშვილმა გორელიკს დაურეკა, თავი გააცნო და შეხვედრა თბილისში, მეტროს სადგურ „გოცირიძისთან“ დაუნიშნა. სწორედ იქ გადაწყდა ირმა ბერიაშვილის უმცროსი ვაჟის – 3 წლის გიორგის გაშვილების საკითხი.

ამირან მაგმიშვილი:

„ეს ბავშვი ირმა ბერიაშვილს თეიმურაზ მაზმიშვილისგან ჰყავდა. ამ უკანასკნელმა ბერიაშვილი და გორელიკი

ერთმანეთს შეახვედრა. გორელიკს უთქვამს, ბავშვის შვილად აყვანის მსურველები კანადაში არიანო“.

ირმა ბერიაშვილი გორელიკს დათანხმდა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ კანადაში მხოლოდ ჩვილი ბავშვების აყვანა უნდოდათ და არა მცირეწლოვანის. 3 წლის ბავშვის წაყვანის მსურველები, მალტის მოქალაქეები – პატრიკ და მარია ანასტასიები აღმოჩნდნენ.

ამირან მაზმიშვილი:

„ბერიაშვილს სამივე ბავშვის გაშვილება უნდოდა. ერთ-ერთი ჩვილ ბავშვთა სახლისთვისაც მიუკითხავს, მაგრამ რადგან ათასი საბუთის გაფორმება იყო საჭირო, ბავშვები იქ ვერ მიიყვანა. ბერიაშვილმა გორელიკს სთხოვა, დანარჩენი შვილების გაშვილებაშიც დახმარებოდა. ანასტასიებს სამივეს შვილად აყვანაზე უარი უთქვამთ – ჩვენ მხოლოდ ერთი ბავშვი გვინდაო“.

გორელიკის, ბერიაშვილისა და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების მტკიცებით, ზემოთ აღნიშნული მოლაპარაკების დროს, თანხაზე საუბარი არც ყოფილა. მათი თქმით, ბერიაშვილს შვილების გაყიდვა კი არა, უბრალოდ, გაშვილება უნდოდა, გორელიკი კი მას სრულიად უსასყიდლოდ დაეხმარა.

ამირან მაზმიშვილი:

„თანხა არც საქმის ოფიციალურ მასალებში სახელდება. არც რომელიმე ბრალდებულის, დაზარალებულის ან მოწმის წინასწარი ძიებისთვის მიცემულ ჩვენებებშია ფულზე საუბარი. გამოძიებას გორელიკის დანაშაულებრივი, უკანონო საქმიანობის ერთ-ერთ მამუკაცებელ საბუთად, „ინტერპოლის“ მეშვეობით მოძიებული ცნობა მოჰყავს. გორელიკს რუსეთში ცხოვრების პერიოდში შეუტყვევია აშშ-ში მოქმედი ერთ-ერთი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ბავშვების გაშვილებით ყოფილა დაკავებული. გორელიკს ამ ორგანიზაციისთვის ტელეგრამა გაუგზავნია, რისთვისაც 12 დოლარი გადაუხდია. სწორედ ეს დაფიქსირა „ინტერპოლმა“. გორელიკმა ამ ორგანიზაციას ოფიციალურ დონეზე შესთავაზა დახმარება, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, მის საქმიანობაში მალევე დაეჭვდა და ფირმასთან კავშირი გაწყვიტა.“

გორელიკმა ანასტასიებს ბერიაშვილის უმცროსი ვაჟის სურათი გაუგზავნა. ცოლქმარს ბავშვი მოეწონა, მათ თბილისში ჩამოსვლა გადაწყვიტეს, რათა საჭირო საბუთები წესრიგში მოეყვანათ. დოკუმენტების მომზადებისას კი, გორელიკსა და ბერიაშვილს დაბრკოლება შეხვდათ. საქმე ის იყო, რომ გიორგი, ირმა ბერიაშვილის ქმრის გვარზე – კაციაშვილად იყო გაფორმებული. ილია კაციაშვილი მისი მხოლოდ ფაქტობრივი მამა გახლდათ.

ბავშვის ბიოლოგიური მამა თემურ მაზმიშვილი იყო.“

საგულისხმოა, რომ ამის შესახებ მხოლოდ სასამართლო პროცესზე გახდა ცნობილი. თუ რატომ მალავდა ამ ფაქტს ირმა ბერიაშვილი მანამდე, ადვოკატი ასე გვიხსნის:

„მანამდე ირმა ბერიაშვილს ქმარი ჰყავდა და ვიდრე ოფიციალურად მასთან ერთად ცხოვრობდა, ამ ამბის გამჟღავნებას ერიდებოდა. ბავშვის გაშვილების საკითხში მაზმიშვილიც ძალიან აქტიურობდა, რადგან მას თავად, ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. ყველაფერთან ერთად, მატერიალურად უჭირდა. ამიტომაც სურდა, ეს ბავშვი ნორმალური პატრონის ხელში ენახა“.

ანასტასიებმა გორელიკს სამართლებრივი საკითხების მოგვარება სთხოვეს. მათაც საჭირო დოკუმენტები მოამზადეს, თბილისში ჩამოვიდნენ და ქირით გიორგისთან ერთად, ერთი კვირის განმავლობაში ცხოვრობდნენ. მხარეებს ჯერ განათლების მინისტრისთვის, მერე კი – სასამართლოსთვის უნდა მიემართათ. კანონმდებლობის მიხედვით, გაშვილების თაობაზე საჭირო და სავალდებულო იყო ბავშვის მამის თანხმობა.

ამირან მაზმიშვილი:

„გორელიკს გიორგის მამად (ოფიციალურად და ბიოლოგიურადაც) მაზმიშვილი მიაჩნდა. უფრო მეტიც, მან მისი ნამდვილი გვარი არც იცოდა და იფიქრა, რომ ილია კაციაშვილი სწორედ ის გახლდათ. რაც შეეხება სახელს – თემურს, ჩათვალა, რომ ეს მისი მეორე სახელი იყო. ამიტომაც საბუთში სახელისა და გვარის – ილია კაციაშვილის ზემოთ, თემურ მაზმიშვილის სურათი ჩააგერეს“.

ცხადია, აღნიშნული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გასაკეთებლად, კაციაშვილის სხვა დოკუმენტებიც იქნებოდა საჭირო, რაც გორელიკს გაურკვეველობიდან გამოიყვანდა. თუმცა, ადვოკატმა გვითხრა, რომ ამ დეტალებში ნოტარიუსმა – მირანდა რამიშვილმა (საბუთებს სწორედ ის აწერს ხელს) უნდა გაგვარკვიოს. რამიშვილი კი, ადვოკატის თქმით, სასამართლოს თავს არიდებს.

საქმის მასალებში არსებობს თემურაზ მაზმიშვილის ჩვენება, სადაც ყალბი დოკუმენტის შედგენაში მონაწილე შესამე პიროვნება – რამინ კუჩუბერია დასახელებული. გამოძიების თანახმად, გორელიკმა კუჩუბერიას საბუთის გაყალბებისთვის 150 ლარი გადაუხადა.

რამინ კუჩუბერია აფხაზეთიდან ლტოლვილია. იგი თავის ცოლ-შვილთან ერთად, თბილისში ცხოვრობს. სწორედ მის ოჯახში ცხოვრობდა ქირით ირმა ბერიაშვილი. წინასწარი ძიებისას კუჩუბერიამ პროკურატურის ზემოთ მოყვანი-

ლი ვერსია, ყალბ დოკუმენტთან დაკავშირებით, დაადასტურა, თუმცა სასამართლოში ყველაფერი უარყო. „მაზმიშვილი მაშინებდა, ჩემგან იმის გამოკრებას ითხოვდა, რაც თავად ჩაწერა ჩვენებაში. პროკურატურის თანამშრომლებიც მემუქრებოდნენ და ცრუ ჩვენება გამოძიებას ამიტომაც მივეციო“ – აცხადებს კუჩუბერია.

თემურ მაზმიშვილი სასამართლოში არაერთხელ დაიბარეს, მაგრამ იგი არ გამოცხადდა. უფრო მეტიც, სამართალდამცავებმა მისი ადგილსამყოფელი ვერ დაადგინეს. მაზმიშვილი სასამართლოს დაემალა. ამის გამო მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიდრა და ძებნა გამოცხადდა.

ამირან მაზმიშვილი:

„ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ პროკურატურის მიერ დასახელებული ყალბი დოკუმენტი საქმის მასალებში ფიზიკურად არ არსებობს, ამიტომ იგი რეალურ მტკიცებულებად არ უნდა ჩაითვალოს“.

ოლგა გორელიკთან ერთად ბავშვების ყიდვა-გაყიდვასა და უკანონო გარიგებაში, ყალბი დოკუმენტების შედგენაში პროკურატურა ირმა ბერიაშვილს, რამინ კუჩუბერიასა და თემურაზ მაზმიშვილს სდებს ბრალს. არის კიდევ მეოთხე განსასჯელი – მადინა სადიკოვა. პროკურატურის ინფორმაციით, თავისი შვილი გორელიკს მანაც უკანონოდ მიჰყვია.

2000 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში (ზუსტი დრო დაუდგენელია) გორელიკი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თბილისის №1 სამშობიარო სახლის ჩვილ ბავშვთა განყოფილების გამგეს – მაია მდივანს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს პიროვნება ხუთი წლის წინ განმარტებული ფაქტის – ბავშვის გაშვილების საქმეშიც ფიგურირებდა. პროკურატურაში არსებობს ცოლ-ქმარ – კობერიძეების არაერთი საჩივარი, სადაც ისინი აცხადებენ, რომ მაია მდივანმა შანტაჟის გზით ღელას – მანანა კობერიძეს ახალშობილი სავადმყოფოში დაატოვებინა, მერე უთხრა – ბავშვი დაიღუპაო. კობერიძეების მტკიცებით, მდივანმა სინამდვილეში, ახალშობილი გაყიდა. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე, მტკიცებულებების არარსებობის გამო (როგორც ამას პროკურატურაში ამბობენ) შეწყდა. მაია მდივანმა გორელიკს მადინა სადიკოვა გააცნო. მათ იგი მოტყუებითა და შანტაჟით დაარწმუნეს, რომ რადგან მას საბუთები დაკარგული ჰქონდა, როგორც ღელას, ახალშობილს არავინ მისცემდა. მათ სადიკოვა დაითანხმეს, რომ თავისი შვილი – მარიამ სადიკოვა გორელიკისთვის 500 დოლარად მიეყიდა. გარიგება მათ 2000 წლის 4 სექტემბერს განახორციელეს. იმ დღეს მაია მდივანმა სადიკოვა საავადმყოფოდან ოფი-

ციალურად გაწერა, იქვე იყო ოლგა გორელიცი, რომელმაც ახალშობილი იმავე დღეს წაიყვანა. ბავშვი გორელიკმა დროებით ძიძას – ზაირა ძევისაშვილს მიაბარა. მიუხედავად დაპირებისა, სადიკოვას გორელიკმა, 500 დოლარის ნაცვლად, მხოლოდ 150 დოლარი გადაუხადა.

„პროკურატურის ეს ვერსია საქმის მასალებში ვერ დასტურდება. სადიკოვამ სასამართლოში თქვა: ჩემი შვილი საქონელი არ იყო, რომ გამეყიდაო“, – ამბობს ადვოკატი **ამირან მაგმიშვილი**.

გარდა პატარა გიორგისა და მარიამისა, ოლგა გორელიკს პროკურატურა მესამე ახალშობილის – თბილისელ ლიანა მიკირტიჩიანის ბავშვის გაშვილების მცდელობაშიც სდებს ბრალს. გამოძიების მასალების მიხედვით, 2000 წლის აგვისტოს დასაწყისში ოლგა გორელიკმა თბილისში, რესტორან „მირაჟში“ მეგარდერობედ მომუშავე ლიანა მიკირტიჩიანი გაიცინო. მიკირტიჩიანი იმ დროს ფეხმძიმედ გახლდათ. მან გორელიკს უთხრა, რომ მეუღლესთან გაცილებული იყო და თან მატერიალურად ძალიან უჭირდა. გორელიკმა მას ახალშობილის გაშვილება შესთავაზა, უთხრა – ბავშვს კანონის დაცვით მე ვიშვილებ, თბილისში მეყოლება და როცა მოისურვებ, მამინ განახვებო. ბოლოს და ბოლოს, მიკირტიჩიანი დათანხმდა. 2000 წლის 26 ოქტომბერს, თბილისში, მეტროსადგურ „რუსთაველთან“, სამშობიაროღან რამდენიმე საათის გამოსულ მიკირტიჩიანს გორელიკმა ახალშობილი გამოართვა, არც კი უთქვამს, თუ სად მიჰყავდა ბავშვი – ისე წავიდა და ჩვილი მალულად ძევისაშვილს მიაბარა.

გორელიკი მიკირტიჩიანის „მირაჟში“ გაცნობას კატეგორიულად უარყოფს. იგი ჰყვება, რომ მას ვიღაც ქალმა დაურეკა და უთხრა: ვიცო, რომ ახალშობილი ბიჭი გინდა და ფილარმონიასთან გელოდებიო.

„მივედი. მანქანაში ახალგაზრდა ქალი ჩამიჯდა. მითხრა – ხელი სვლით რუსთაველის მიმართულებით იარეო. წავედიო, მან ვიღაც ქალი დამანახვა. იმ ქალს მოყვითალო ზედა ეცვა და ხელში ჩვილი ბავშვი ეკავა. მანქანა გაეჩერე. უცნობმა იმ ქალს დაუძახა, ახალშობილი გამოართვა და წავედით. მე მიკირტიჩიანის ვინაობა არ ვიცოდი. უცნობი ქალი, რომელიც მანქანაში იჯდა, ბავშვის დედის კოორდინატების მოცემას დამპირდა – მასთან დაგაკავშირებ, როცა ახალშობილის გაშვილების საბუთების გაფორმება დაგჭირდებაო“, – ამბობს ოლგა გორელიკი.

ამირან მაგმიშვილი:

„ჩემთვის დღემდე გაურკვეველი რჩება, რატომ მოითხოვა პროკურატურამ, მხოლოდ ოლგა გორელიკისთვის შეეფარდებინა აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა? დან-

არჩენი განსასჯელები კი, მიუხედავად იმისა, რომ იგივე მუხლები აქვთ მიყენებული, რაც გორელიკს, ციხის გარეთ დატოვეს. ასეთ უცნაურ ლოგიკას გამოძიების მასალებშიც ხშირად ვხვდებით. ყველა ჩვენება შეთხზულია, რადგან გორელიკიც, ბერიაშვილიც, სადიკოვაც და კუნჭუბერიაც სასამართლოში იმას აცხადებენ, რომ მათზე პროკურატურის თანამშრომლებმა მუქარითა და ფიზიკური შეურაცხყოფით იმოქმედეს“.

იბალება კითხვა – რატომ ამოიღო მიზანში პროკურატურამ ოლგა გორელიკი, ან რის საფუძველზე დაინტერესდა მისით, თუკი ამ ქალის შესახებ სამართალდამცავთათვის სადიკოვას არ უცნობებია?

ამირან მაგმიშვილის პასუხი ასეთია:

„როგორც ჩანს, პროკურატურაში ანონიმური ზარი მიიღეს. ვიღაცამ – სავარაუდოდ, მაია მღვიანის პირადად მტერმა, ავისმოსურნემ, რომელმაც გორელიკთან მისი ნაცნობობის შესახებაც იცოდა, პროკურატურაში დარეკა“.

საიდან იცნობდნენ ერთმანეთს მღვიანი და გორელიკი? ადვოკატის თქმით, მათ ერთმანეთი ხუთი წლის წინ გაიცნეს. „თუ რა გარემოებაში და სად, ვერც ერთი ვერ იხსენებს. გორელიკი მღვიანის შვილს რუსულ ენაში ამზადებდა...“ – დასძენს **ამირან მაგმიშვილი**. რაც შეეხება საქართველოში ოლგა გორელიკის საქმიანობას, სწორედ იმ პერიოდში, როცა პროკურატურის ინფორმაციით, ბავშვების ყიდვა-გაყიდვის დანაშაულებრივი ფაქტები ხდებოდა, ადვოკატის თქმით, გორელიკი მხოლოდ მეგობრებთან შეხვედრებით იყო დაკავებული. შეკითხვას – რით ირჩენდა თავს ოლგა გორელიკი და რამ გაუჩინა მას სურვილი – სრულიად უსასყიდლოდ დახმარებოდა უცნობ ადამიანებს ახალშობილი ბავშვების გაშვილებაში? – **ამირან მაგმიშვილმა** უპასუხა:

„ოლგა ძალიან მორწმუნე ქალია, თავისი ბუნებიდან გამოძინარე, იგი ცდილობდა, გაჭირვებულ ხალხს დახმარებოდა, თავს კი, იმ პერიოდში, კანადაში მცხოვრები მშობლებისა და ძმის მიერ გამოგზავნილი ფულით ირჩენდა. მან აღნიშნა, რომ ანგარიში „აბსოლუტბანკში“ ჰქონდა გახსნილი“.

სასამართლო პროცესი კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მომავალ კვირაშიც გაგრძელდება. ადვოკატის თქმით, ლიანა მიკირტიჩიანს მალე დამატებით დაჰკითხავენ. მაია მღვიანის სასამართლოში დაკითხვის საკითხი კი ეჭვქვეშ დგას. როგორც ამბობენ, იგი მძიმედ ავადა და სხდომაზე მისვლა არ შეუძლია. სასამართლოში მღვიანის ავადმყოფობის დამდასტურებული ცნობებიც არის წარმოდგენილი. ■

„მანქანასთან თავიდანვე სამნი მოვიდნენ. ვაზისუბანში ლარ-ნახევრად წაყვანა მომთხოვეს. მთვრალეები იყვნენ და უარი აღარ ვუთხარიო. ნაგიფვანთ, ახალგაზრდები ვართ, ერთმანეთს უნდა გავუგოთ-მეთქი... მათ კი, არ ვიცი, რა მოესმათ, უმიზეზოდ უკერცემა დამინწყეს, მერე კი დანები მირტყეს...“ — ჰყვება 29 წლის პავლე ალმოიანი, რომელიც 2001 წლის 4 აპრილს კერძო ტაქსის სატყესთან იჯდა და ჩვეულებრივ, კლიენტებს ემსახურებოდა. მისი თქმით, სწორედ იმ საღამოს იგი სამმა ახალგაზრდამ დანებით დაჭრა.

მეზო სანავა

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიების თანახმად, ალმოიანს სხეულზე ჭრილობები 18 წლის გიორგი მაჭარაშვილმა, 15 წლის კარლო გალოიანმა და დაუდგენელმა პიროვნებამ მიაყენეს. პოლიციამ მაჭარაშვილი იმავე დღეს, გალოიანი კი, რამდენიმე თვის შემდეგ დააკავა. გიორგი მაჭარაშვილი დანაშაულს აღიარებს, თუმცა აღნიშნავს, რომ პროკურატურამ ფაქტი არასწორად წარმოადგინა. საქმის მასალების მიხედვით, ტაქსის მძღოლს მაჭარაშვილმა მიაყენა შეურაცხყოფა. ეს უკანასკნელი კი ირწმუნება, რომ პირველად იგი ალმოიანმა შეურაცხყო.

გამოძიების თანახმად, 2001 წლის 4 აპრილს 18 წლის გიორგი მაჭარაშვილი საღამოს 9 საათისთვის თავის მეგობართან – 15 წლის კარლო გალოიანთან სახლში მივიდა. კარლო გალოიანი თბილისში, კალაუბნის ქუჩაზე ცხოვრობდა. იმ დღეს დედამისის დაბადების დღე იყო. გალოიანებს სუფრა მეზობლის ავტოფარეხში ჰქონდათ გაშლილი, სადაც ახლობლებთან ერთად ქეიფობდნენ. სუფრასთან მაჭარაშვილმაც და გალოიანმაც დალიეს ღვინო და დათვრნენ. დაახლოებით 11 საათისთვის მათ მოქიფეები მიატოვეს და ავტოფარეხიდან გამოვიდნენ, გავიდნენ კალაუბნის ქუჩაზე, სადაც გაჩერებული წითელი კერძო ტაქსი შეინიშნეს. მანქანიდან ვიღაც მგზავრი ჩამოვიდა და წავიდა. მაჭარაშვილი, გალოიანი და მათთან ერთად მყოფი მესამე, გამოძიებით დაუდგენელი პიროვნება, ტაქსისთან მივიდნენ. მძღოლს შეეკითხნენ – ვაზისუბანში რამდენად წავგიყვანო? ალმოიანმა მათ უპასუხა, რომ ორ ლარად წაიყვანდა.

„საგანი იყვნენ... არაფრის გამო გკლავდნენ“



დამარაღებული პაველ ალმოიანი

— რა, ლარ-ნახევრად არ წახვალ, ბიჭო? — ამრეზით დაუყვირა ერთ-ერთმა მძღოლს. ალმოიანმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო. მოულოდნელად, მაჭარაშვილმა მისი ავტომანქანის წინა, მარჯვენა კარი გამოაღო და მძღოლს გინება დაუწყო, თან უხეშად სთხოვდა მას ვაზისუბანში წასვლას. ალმოიანმა ახალგაზრდებს ამჯერად უარი უთხრა. ასეთი პასუხით გაბრაზებულმა მაჭარაშვილმა ჯიბიდან დანა ამოიღო და მძღოლს გულმკერდის არეში დასარტყმელად მოუქნია. ალმოიანმა სწრაფი მოძრაობით, მარჯვენა ხელით დანის პირის დაჭერა მოახერხა. გამწარებულმა, მაჭარაშვილს დაუყვირა: რატომ მკლავო? მაჭარაშვილმა მძღოლის ხელში მოქცეული დანა ამ უკანასკნელის გულმკერდისკენ მაინც მოიქნია. ამის გამო ალმოიანს თითები გაეჭრა. ამასობაში ავტომანქანის კარი მძღოლის მხარესაც გაიღო, იქ მდგომმა გალოიანმა ალმოიანს დანა გულმკერდის არეში დაარტყა. ძლიერი ტკივილისგან გამწარებული მძღოლი გადმოვიდა მანქანიდან და თავდაშხმელების მისამართით ყვირილი და ღრიალი მორთო: რას მერჩით, რისთვის მკლავო? — ეკითხებოდა მათ. პასუხად კი სამივენი მისცვივდნენ ალმოიანს და მას გამეტებით ცემა დაუწყეს, თან დანებს სხვადასხვა ადგილას ურტყამდნენ.

მძღოლი გულმკერდის, კისრის, წელისა და სახის არეებში დაიჭრა. ექსპერტებმა მის სხეულზე სულ 14 ჭრილობა დათვალეს.

ალმოიანი გამხეცებულ ბიჭებს ემუდარებოდა — არ მოეკლათ, მერე კი, მიყენებული ჭრილობებისგან დასუსტებული, დავარდა. მიუხედავად ამისა, დამნაშავეები წაქცეული მძღოლის ცემასა და მისთვის

ტაქსის მძღოლს დანით 14 ჭრილობა მიაყენეს

ჭრილობების მიყენებას განაგრძობდნენ. ალმოიანი თანდათან გონებას კარგავდა, ბოლოს, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მთელი ხმით დაიყვირა: მიშველეთ, მკლავენო!

ბიჭებს შეეშინდათ, იფიქრეს, ყვირილს ვინმე გაიგონებს, პოლიციას გამოიძახებოდა და იქიდან გაიქცნენ. დამნაშავეების გაქცევის შემდეგ, შემთხვევის ადგილას ხალხი მართლაც მოგროვდა. მიმედ დაჭრილი მძღოლი თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმებმა ალმოიანს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტების თქმით, ჭრილობები სიცოცხლისთვის სახიფათო იყო, ალმოიანი სიკვდილს მაინც გადაურჩა.

პროკურატურა მაჭარაშვილსა და გალოიანს, უმნიშვნელო საბაბის გამოყენებით, დაზარალებულისადმი განსაკუთრებული სისასტიკით, ხულოდნური ქვენაგონობითა და წინასწარი განზრახვით მკვლელობის ჩადენის მცდელობაში ადანაშაულებს.

არასრულწლოვანი განსასჯელი — კარლო გალოიანი დანაშაულს კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, იმ დღეს იგი შემთხვევის ადგილას არ ყოფილა და არც ტაქსის მძღოლს შეხვედრია. გალოიანი ირწმუნება, რომ მომხდარის შესახებ მას დედის დაბადების დღეზე მისული მაჭავარიანი მოუყვა.

გიორგი თევზაძე, კარლო გალოიანის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„გიორგი მაჭარაშვილის დაპატიმრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ისანი-სამგორის რაიონის პოლიციამ კარლო გალოიანიც დააკავა. ბრალად მასაც განზრახ მკვლელობის მცდელობა წაუყენეს, თუმცა საინტერესო ის არის, რომ გალოიანს დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. გამოდის, იგი მხოლოდ იმისთვის დააპატიმრეს, რომ მაჭარაშვილს იცნობდა.“

მაჭარაშვილის თქმით, ტაქსის მძღოლი მხოლოდ მან დაჭრა და იქ სხვა არავინ ყოფილა. დაზარალებული ალმოიანიც თავდაპირველ ჩვენებაში წერს, რომ მას მხოლოდ ერთი ბიჭი ახსოვს. მოწმეებიც დაკითხვისას „ბიჭს“ ახსენებენ და არა

„ბიჭებს“. როგორც ჩანს, პროკურატურის თანამშრომლები მხოლოდით და მრავლობით რიცხვებში კარგად ვერ ერკვევიან.

პროკურატურა გალოიანის წინააღმდეგ ძირითად მტკიცებულებად დაზარალებულის მიერ ამ უკანასკნელის ამოცნობას ასახელებს. ეს საგამომიებო მოქმედება გამომიბიებელმა დანაშაულიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც თავად აღნიშნავს, კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე ჩაატარა. დაზარალებულსაც რატომღაც, ადენი ხნის შემდეგ გაახსენდა, რომ იქ მეორე ბიჭიც იყო და მასში გალოიანი ამოიცნო. ამას სხვა დამადასტურებელი საბუთებიც სჭირდება და ამდენად, ეს მტკიცებულება ეჭვქვეშ უნდა დადგეს. აღსანიშნავია ისიც, რომ კარლო გალოიანის ტანსაცმელზე სათანადო ექსპერტიზა ჩატარდა. ექსპერტებმა კი მასზე სისხლის ბოჭკოები საერთოდ ვერ იპოვეს. გალოიანი შემთხვევის ადგილას რომ ყოფილიყო, სისხლის ერთი წვეთი მაინც აუცილებლად მოხვდებოდა“.

კარლო გალოიანის დედა, თავისი შვილის დაპატიმრებაში დაზარალებულს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ იგი პოლიციასთან „შეკრულია“:

„კარლო რომ დააკავეს, დაზარალებულმა ჩვენს ოჯახს შემოუთვალა: *II* ათასი ლოლარი გადამიხადეთ და მთელ პროკურატურას მე ვავაჩერებო,“ — ამბობს **ხათუნა გალოიანი** (განსასჯელის დედა), თუმცა, მის სიტყვებს დაზარალებული კატეგორიულად უარყოფს.



გიორგი მაჭარაშვილი (მარცხნივ) და კარლო გალოიანი

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრებანი:

1. ქართლში ბელურებს ჭამენ.
2. ალთაის მხარეში 13 000 ტბაა.
3. ფრჩხილების აკვიატებულ კვნეტას ონოქოფაგა ეწოდება.
4. არტურ ფლევენჰეიმი ამერიკელი განგსტერის, ღამ შულციის, ნამდვილი სახელი და გვარია. P.S. იგი ეროვნებით ებრაელი გახლდათ და არა ჰოლანდიელი.
5. ზღვის ლეობარდი მხოლოდ პინგვინებით იკვებება.
6. ფრანც პეტერ შუბერტი მუცლის ტიფით გარდაიცვალა.



7. დელამიწაზე დაბადებულ ყოველ 100 გოგონაზე 105 ბიჭი მოდის. 30 წლისათვის მათი რაოდენობა თანაბრდება. 70 წლის ასაკისთვის ქალები მამაკაცებზე ორჯერ მეტნი არიან.

8. 1755 წელს პრუსიის მეფე — ფრიდრიხ დიდი, საკუთარი სასახლის კარი-

სთვის ფერწერული ტილოების შესაძენად ჰოლანდიაში წავიდა. იგი შიშობდა, რომ თავისი წოდებრივი მდგომარეობის გამო ამ ტილოებში ოთუხბირს გადახედვინებდნენ და ამიტომ გადაწყვიტა, ნიდერლანდებში მოხეტიალე მუსიკოსის სახით ჩასულიყო. P.S. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მეფე ამ მოგზაურობის დროს მართლაც ფლეიტაზე დაკვრით ორჩენდა თავს.

9. საბჭოთა პერიოდში მოდების ჟურნალ „ბურდის“ რუსული ვარიანტი გერმანიაში, 100000-იანი ტირაჟით იბეჭდებოდა. ეს ჟურნალი 5 მანეთი ღირდა და თავისუფალ გაყიდვაში არასოდეს ყოფილა.

10. არგენტინის ფესტივალზე გიორგი დანელიას „არ იდარდო“ ფესტივალის მთავარი პრიზი, „დიდი კონდორი“, აიღო. P.S. ამ ფესტივალზე ამავე ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმი ფრანგებსაც ჰქონდათ ჩატანინი, რომელის ნახვის შემდეგაც ჟიურის წევრებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ფილმების გადაღება ფრანგებმა რუსებისაგან უნდა ისწავლონ.

11. „51 წლის ცივი ზაფხული“ პაპანოვის უკანასკნელი ფილმი იყო. იგი 64 წლის ასაკში გარდაიცვალა.

12. „ჩელინჯერის“ ბორტზე მყოფი ერთი კოსმონავტი ქალი სკოლის მასწავლებელი იყო. მან II ათას კაციან კონკურსში გაიმარჯვა და ისე მოხვდა კოსმოსური ხომალდის ბორტზე.

13. ირანის შაჰის თასის ტურნირზე ლევან თეღიაშვილს წაგებაში მილიონი შესთავაზეს. ქართველმა მოჭიდავემ ეს ტურნირი მოიგო.



თემურ რცხილაძე

უპილს სიმღერას უპრძალავს

ცნობილი ქართველი მომღერალი თემურ რცხილაძე კარგა ხანია რუსეთში მოღვაწეობს. მიუხედავად ამისა, ქართველ მსმენელს ის არ ავიწყდება და თავგანსაც სცემს. ამას მონობს ყველა მისი გამოხვება, რომელსაც ნებისმიერი დარბაზი სიხარულით ეგებება და ის ანშლაგიც, რომელიც მომღერლის სოლო კონცერტზე იყო. საინტერესოა ერთი ნიუანსიც: თუმცა ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი საცეკვაოდ არ არის გამიზნული, მსმენელებმა თავი ვერ შეიკავეს და იმ კონცერტის ბოლო 40 წუთი შეუჩერებლად ცეკვავდნენ. გაზაფხულზე ჩატარებული ეს კონცერტი დღემდე დაუფინყარიბა თემურისთვის, რომელიც ისევ თბილისში იმყოფება.

მაია ბობსაძე

— რუსულ ესტრადას დღეს უამრავი ვარსკვლავი ამშვენებს და ალბათ ძალიან ძნელია მათ გვერდით თავის დამკვიდრება. როგორ მოახერხებ ეს?

— მოსკოვში რომ ჩავედი, პირველად ერთ კლუბში მივედი და შეეთავაზე — უფასოდ ვიმუშავებ-მეთქი. პირველივე საღამოს, იმდენად მოეწონათ ჩემი რეპერტუარი, რომ წე-



ლიწად-ნახევარი იმ კლუბში ემოლვაწეობდი. ფინანსურადაც ჩემმა სიმღერებმა დამაყენა ფეხზე. იქ შეკვეთის მიღება საკმაოდ ძნელია, რადგან კარგ ანაზღაურებას ითვალისწინებს. ჩემი შემოქმედება იმდენად მოეწონათ, რომ აქეთ მომმართეს საინტერესო წინადადებებით. საერთოდ, თუ მოეწონე და მიგიღეს, ძალიან ერთგული ხალხია — ყოველ შემთხვევაში, პირველი 3-4 წლის განმავლობაში მხოლოდ რუსებთან მქონდა კონტაქტი და ძალიან კარგად ვგრობობდი თავს.

— მთელი ზაფხული საქართველოში გაატარეთ და, როგორც ვიცო, ძალიან ნაყოფიერადაც იშრომეთ...

— სიმართლე რომ გითხრა, აქ დასასვენებლად ჩამოვედი, მაგრამ როდესაც ნორმალური წინადადებით მოგმართავენ, რატომ უნდა თქვა უარი? მით უმეტეს, წლის განმავლობაში ძალიან იშვიათად ვხვდები ჩემს ქართველ მსმენელს.

— რა განსხვავებას ხედავთ ქართველ და რუს მსმენელს შორის?

— ძირითადად, რაც ჩემს მსმენელს აერთიანებს — ეს ჩემი სიმღერების სიყვარულია. ერთადერთი, რითაც განსხვავდებიან, ის არის, რომ იქაურები თავიდანვე „შენები“ არიან — უცებ მოგეყვებიან, ემოციების გამოხატვაში ნაკლებკომპლექსიანები არიან. მართალია გითხრათ, ჩემს აქაურ თინეიჯერ მსმენელსაც

ახსიათებს ეს და თავიდანვე ვპოულობთ ხოლმე საერთო ენას. უფროსი თაობის წარმომადგენლები კი, დასაწყისში თავშეკავებულები არიან, მაგრამ ბოლოს, ისინიც „ჩემები“ ხდებიან.

— საქართველოში ყველაზე დიდი სიყვარული და პოპულარობა ცნობილმა პიტმა — Желанная моя-მ მოგიტანათ...

— Желанная моя, უკვე მესამე წელია, პიტა. მაიკო დაუნაშვილმა (მუსიკისმცოდნე. — ავტ.) თქვა: ასეთი რამ საერთოდ არ ხდება, რომ სამი წლის განმავლობაში სიმღერა ზენიტში იყოს... მართალი ვითხრა, ძალიან ვშიშობდი, ხალხს არ მოებზრებოდა, იმიტომ, რომ რადიოშიც და ლამის კლუბებშიც, ლამის ყოველ მესამე ნომრად ამ სიმღერას ატრიალებდნენ. ერთხელ ქორწილში ნეფედლოფალმა მითხრა — ამ სიმღერის წყალობით შეგვიყვარდა ერთმანეთი და ამ სიმღერის წყალობით დავქორწინდით...

— სიმღერებს როგორ წერთ? ამისთვის რაიმე ძლიერი ემოცია ან მუსიკის გჭირდებათ თუ ეს უბრალოდ „გონების კარნახი“ ხდება?

— სიმღერისთვის მართლაც ძლიერი ემოცია საჭირო. ისეთი ვარ, რუსები რომ იტყვიან — ВЛЮБИВШИЙ, შემძილია უეცრად თავი დავკარგო, ემოციებში შევიჭრა — რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოქმედებს. როდესაც სიმღერის დაწერას მიხვდნენ, მე დროს ვერ ვუსახელებ, რადგან შეიძლება, მეორე დღესვე დავწერო, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა სამი თვის განმავლობაში არაფერი გამიკეთებია, ასე რომ, თავს არ ვაძალებ — მუზა თვითონ უნდა მოვიდეს.

— შოუბიზნესის გარდა, კიდევ რაიმე სფეროში ხომ არ მოღვაწეობთ?

— ორი კინოსცენარი დავწერე: ერთი — თუმორისტულ ჟანრში, ხოლო მეორე — სერიოზულად და, ჩემი აზრით, უფრო საინტერესო. მისი თარგმნა და უცხოეთში გაგ-

ზაენა მაქვს განზრახული, რადგან საქართველოს და გნებავთ, რუსეთის პირობებშიც მისი გადაღება ვერ მოხერხდება. მაქვს ძალიან კარგი საკონცერტო, სატელევიზიო შოუპროგრამის პროექტიც. მისი განხორციელების ადგილიც შერჩეული მაქვს. ენახოთ, რა გამოივა.

— ცოტა ხნის წინ საზოგადოებამ თქვენი მომთბლავი ქალიშვილი გაიცნო. რას გვეტყვით თამუნაზე და თქვენი ოჯახის სხვა წევრებზე?

— მყავს ქალიშვილი და ვაჟი, რომლებიც სოფიუმდე მიყვარს. თამუნამ წელს ძალიან გამახარა. წარმატებით ჩააბარა თეატრალური ინსტიტუტის ასალ — ფოტოჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ძალიან უყვარს სურათების გადაღება. მართალი ვითხრაოთ, არც ვიცოდი, სად აბარებდა — გამოცდებამდე თვენახვერით ადრე გავიგე: იმედიც კი არ მქონდა, რადგან 7 წლიდან ჩოგბურთზე დამყავდა და სწავლისთვის დიდად არ იკლავდა თავს: მთელი დღე კორტებზე იყო, ვარჯიშობდა. სხვათა შორის, ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი... ჩემი ბიჭი 13 წლისაა. მამის კვალს მიჰყვება, მაგრამ სულ ცოტა, სამი წელი მაინც არ გამღერებ — იმიტომ, რომ გარდატეხის ასაკშია. ისე, საკმაოდ ჭკვიანი და ინტერესიანი ბავშვია, ენებს კარგად ფლობს.

— მეუღლეზე არაფერი გითქვამთ...

— ჩემი მეუღლე — ოლია, ანსამბლ „ივერიის“ სოლისტის — ლილი ზღვაურის დაა. ახლა დიასახლისობს და რადგან მე თბილისიდან წასული ვარ, შვილებზე მთელი პასუხისმგებლობა მას აქვს აღებული.

— როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?

— 20 ოქტომბერს მოსკოვში მივმგზავრები. უახლოესი კონცერტები ჯერ დამგმბილი არ მაქვს, საახალწლოდ კი, აუცილებლად ჩამოვალ თბილისში და კონცერტს გავმართავ — 7 წელია, საახალწლოდ თბილისში არ ვყოფილვარ...

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკედან:




ტურნირის შემდეგ მან გამარჯვებულის პრივილეგიით ისარგებლა და შაჰს თავისი იქაური მეგობრის გათავისუფლება სთხოვა, რომელსაც 35 წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. შაჰმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა.

14. როკერების გადაკვიდე მოსკოვის მერია ოთხმოცან წლებში იძულებული გახდა ქალაქში მოტოციკლებით ვაგუფურსი სიარული საღამოს 11 საათიდან დილის შვიდ საათამდე აკრძალა. წესრიგის დამრღვევთა სადენად კი საგზაო პოლიციისათვის „BMW-ს“ ფირმის ავტომობილები გამოყვეს.

15. ჰელსინკიდან გამოფრენილმა მატარებულმა მოსკოვამდე სამოცი მეტრის სიმაღლეზე, დაუჯდომლად იფრინა. ვასილევსკის დაღმართს — მისი დაშვების ადგილს — მოსკოველები დღესაც შერემეტიევი საშს ეძახიან.

16. „ორდანის მოსმენისას კათოლიციზმის მიღება მოეინდება,“ — ამბობდა ჩეხოვი.



17. ყველა გველმა იცის ცურვა.

18. კალმარს ცისფერი სისხლი აქვს.

19. „უხინართა მზეს“ თებურ ბაბლუანი სამი წლის განმავლობაში იღებდა. იგი თავად არის ამ ფილმის სცენარისა და მუსიკის ავტორი.

20. მეორე მსოფლიო ომის დროს, ავიაგამანაღვურებულ „T 51“-ს ამერიკელები „ციურ ანგელოზებს“ ეძახდნენ. სწორედ ეს თვითმფრინავები მიეშველნენ რევით რაიანს და მის ნაწილს სტივენ სპილბერგის განმარტებულ ფილმში „რიგითი რაიანის გადასარჩენად.“

21. პრუსიის მეფე ფრიდრიხ ბარბაროსამ ვაჭრებისა და ავადმყოფების გარდა საზღვარგარეთ მოგზაურობა ყველას აუკრძალა. „მოგზაურებს უცხო ქვეყნებიდან უცნაური და სასაცილო ჩვევები შემოაქვთ, პრუსიას კი მაიმუნები არ სჭირდება,“ — ამბობდა სახელგანთქმული მონარქი.

22. ერთხელ ჯაბა იოსელიანს ვიდაც კაცი გადაეკიდა, — ხალხი დაბნეულია, არ ვიცი ვის გავყვეთო. თავიდან რომ ვეღარ მოიშორა, — ტრამვაის გაჰყვეთო, ასწავლა ბატონმა ჯაბამ.

23. 1869 წელს იტალიაში ცნობილმა მეცნიერმა სერჯიმ ჩაატარა შემლილთა სტატისტიკური კვლევა ეროვნების, რასის და რელიგიის მიხედვით და დაადგინა, რომ შემლილია ყოველი 1775-ე კათოლიკე, ყოველი 1725-ე პროტესტანტი და ყოველი 284-ე ებრაელი. P.S. არავინ იცის, როგორ გამოიყურება ანალოგიური სტატისტიკა დღევანდელ დღეს.



ოჯახთან ერთად

ჩვენი დონია – 7,62 მმ კალიბრის დასაყვეკონდახიანი AKMC, „კალაშნიკოვებს“ შორის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მოდელად ითვლება და დიდად ფასობს სპეცდანიშნულების რაზმების მებრძოლებში. იგი 3,3 კგ-ს იწონის და დაკეცილი კონდახით 64 სმ-ს არ აღემატება. მჭიდში მოთავსებული 30 ვაზნით, მიზანში სროლა 1 კმ-ის სიშორეზე შეიძლება. ტყვიის საწყისი სიჩქარე 715 მ/წმ-ს აღწევს.



ლიბინდარული „კალაშნიკოვი“ კონსტრუქციის არ მთქმის

მსოფლიოში ეულად დარჩენილი ზესახ-ელმნიფო — აშშ ბოლომდე ვერ ბედავს, ფართომასშტაბიანი შეტევა მიიტანოს თალიბებზე. თითქოს რა უნდა უშლიდეს ატომური ბომბების, ფრთოსანი რაკეტების, „უხილაგი“ ბომბდამშენებისა და წყალქვეშა

ნაგების მქონე ქვეყანას, რომ ერთი, გადამწყვეტი იერიში მიიტანოს პლანეტის ტერიტორიაზე ბუდედ შერაცხულ ავღანეთზე. ნარმოიდგინეთ, პენტაგონი თალიბების... ნახევარსაუკუნოვან „კალაშნიკოვებს“ უფროსის.

იარაღი ალადაშვილი

ეს ხუმრობა როდი გახლავთ. ომებში დავაჟაკებული თალიბები, „კალაშნიკოვებს“ ისე ხმარობენ, როგორც პელე ფეხბურთის ბურთს. სხვათა შორის, №1 ტერიტორია უსამა ბინ ლადენი თურმე საწოლშიც არ იშორებს თავის საყვარელ „კალაშნიკოს“ – მოკლელულიან AKC-74 -ს, რომელიც მას ავღანეთის ომიდან მოჰყვება – ნადავლად აქვს აღებული საბჭოთა ოფიცრისგან... თალიბებიც და მათი ოპოზიციური „ჩრდილოეთ ალიანსის“ მებრძოლებიც მთელ მსოფლიოში გამალბებით დაეძებენ „კალაშნიკოვების“ გამსაღებლებს – ავტომატების ახალი მარაგის შესავსებად. თუმცა, რაღა შორეულ ავღანეთში წავიდეთ, როდესაც აქვე, ჩვენს ტერიტორიაზე – აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო შეტაკებებში მონაწილე ყველა მხარე სწორედ სხვადასხვა მოდიფიკაციის „კალაშნიკოვის“ ავტომატებით არის შეიარაღებული და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მებრძოლებს „კალაშნიკოვებს“ კრემლის ბრძანებით უნაწილებდნენ და უნაწილებდნენ დღესაც.

მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული იარაღის სახეობას – „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატს მალე 60 წელი შეუსრულდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი კვლავ პლანეტის მთავარ იარაღად რჩება. დღეისათვის მსოფლიოში სულ ცოტა,

50 მლნ „კალაშნიკოვი“ არსებობს და მისი ტყვიებისგან დაღუპული და დაჭრილი ადამიანების რიცხვი ბევრად აღემატება თვით ატომური ბომბის აფეთქების მსხვერპლთა რაოდენობას.

„კალაშნიკოვის“ ისტორია მეორე მსოფლიო ომის შუახანებიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც კონსტრუქტორ გუგო შმაისერის მიერ შექმნილი, გერმანული ავტომატი MP-43-ის საცდელი ნიმუში ფრონტის ხაზიდან ლავრენტი ბერიას „ბიჭებმა“ მოიპარეს.

სტალინის ბრძანებით, გერმანული ავტომატის საკითხი, 1943 წლის 15 ივლისს გატანილ იქნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის საბჭოზე და გადაწყდა: უახლოეს პერიოდში საბჭოთა მეომარიც ასეთივე ავტომატით უნდა შევიარაღოთ! – იოსებ ბესარიონის ძის მოთხოვნა კატეგორიული იყო.

სიმართლე რომ ითქვას, შმაისერის MP-43 ახალ სიტყვას წარმოადგენდა იარაღის საქმეში არა მარტო თვით კონსტრუქციის, არამედ მასში გამოყენებული ვაზნების გამო. მანამდე ფართოდ გავრცელებული პისტოლეტი-ტყვიამფრქვევები ავტომატური ჯერით, მხოლოდ პისტოლეტის მცირე სიმძლავრის ტყვიებს ისროდა, რომლის მომაკვინებელი ძალა მხოლოდ 200-300 მ-მდე აღწევდა. უფრო ძლიერი, შმაისერის ვაზნების გამოყენება, მართალია, მიზნის დაზიანების საშუალებას 1,5 კმ სიშორემდე იძლეოდა, მაგრამ

ავტომატური სროლისას, იარაღის უკუდარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მიზანში ზუსტად მოხვედრაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

და აი, ასეთ დროს გერმანელებმა შექმნეს შუალედური (შაშხანისა და პისტოლეტის) სიმძლავრის ვაზნა ავტომატისთვის. სწორედ გურცის 7,92X33 კალიბრის შემცირებული (შაშხანასთან შედარებით) ვაზნა იქცა იმ საწყის ნაბიჯად, რომლის საფუძველზეც, ნახევარსაუკუნეზე მეტია, იქმნება თანამედროვე ავტომატები.

საბჭოთა კონსტრუქტორებმა ჯერ ვაზნა „გადაიღეს“ გერმანელებისგან და მხოლოდ შემდეგ შეიქმნა „კალაშნიკოვი“, რომელსაც, სხვათა შორის, საკმაოდ ბევრი მსგავსება აქვს შმაისერის „შტურმგევერთან“.

აქ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი, საკმაოდ საინტერესო ფაქტი, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის – ის, რომ საქართველოც, გარკვეულწილად, მონაწილეობდა ლეგენდარული „კალაშნიკოვის“ საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში: 1945 წლის ზაფხულში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპეციალისტები მომავალი „კალაშნიკოვის“ 7,62X39 კალიბრის ვაზნებს სწორედ ჩვენს ტერიტორიაზე ცდიდნენ. სროლები დღევანდელი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, სადაც 50 წლის წინ

სასროლეთი იყო მოწყობილი.

სწორედ ამ ახალი ვაზნისთვის შექმნილი ავტომატების გამოცდა მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს. კონკურსში ახალგაზრდა კონსტრუქტორმა მიხაილ კალაშნიკოვმა გაიმარჯვა: მისი ავტომატიდან, ყოველგვარი პაუზის გარეშე, 15.000 ტყვია იქნა გასროლილი, მათ შორის – მინუს 60 გრადუსს ტემპერატურაზეც. საჯარისო გამოცდებმა 1948 წელს ასევე წარმატებით გაიარა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, „კალაშნიკოვის“ ავტომატი ოფიციალურად იქნა მიღებული საბჭოთა არმიის შეიარაღებაში AK-47-ის ინდექსით.

მიუხედავად იმისა, რომ „კალაშნიკოვის“ გამოშვება რამდენიმე ქარხანაში დიდი სერიებით მიმდინარეობდა, 10 მილიონიანი საბჭოთა შეიარაღებული ძალების სრული გადაიარაღება 60-იანი წლების დასაწყისშიც კი არ იყო დამთავრებული: ბევრ ნაწილში მეზობლებს ისევ ომის დროინდელი ППС პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები ეჭირათ ხელში. „კალაშნიკოვებით“ სამხედრო ნაწილების უზრუნველყოფის პარალელურად, ძველი ცეცხლსასროლი იარაღი სოციალისტურ და სხვ ე.წ. მეგობარ ქვეყნებშიც იგზავნებოდა. თუმცა, ცოტა ხანში, უკვე „კალაშნიკოვიც“ მოხვდა უცხო ქვეყნებში: იგი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებაში იქნა მიღებული, ოღონდ, ერთი შესწორებით – სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა „კალაშნიკოვის“ საკუთარი ვერსიების წარმოება თავადვე დაიწყეს. თუმცა, საუკეთესოდ, მაინც საბჭოთა კავშირის ქარხნების მიერ გამოშვებული ავტომატები იყო მიჩნეული.

სანამ უცხოეთში AK-ს კოპირება ხდებოდა (სხვათა შორის, ყოველგვარი ლიცენზირების გარეშე: კალაშნიკოვმა თავის ავტომატზე საავტორო უფლება მხოლოდ რამდენიმე წლის წინ აიღო), საბჭოთა კავშირი აუმჯობესებდა ამ ავტომატს და სხვადასხვა მოდიფიკაციით უშვებდა. პირველ მერცხალს – AK-47-ს თავდაპირველად, AKC-47 მოჰყვა, რომელსაც დასაკეცი კონდახი ჰქონდა და ტანკისტებისა და მედესანტებისთვის იყო განკუთვნილი. 1959 წელს კი დამზადდა მოდერნიზებული AKM და მისი სადესანტო ვარიანტი – AKMC.

AKMC-ზე მაგრდება ПБС-1 ტიპის მაყუჩი და უხმაურო ლულისქვეშა ყუმბარსატყორცი. ამ დროს, ავტომატიდან სროლა აუცილებლად შემცირებული სიმძლავრის – УС ტიპის ტყვიებით უნდა მოხდეს, რომლის საწყისი სიჩქარე ბევრამდეღია. სწორედ ეს საიარაღო კომპლექტი ათწლეულების გან-



მავლობაში წარმოადგენდა საბჭოთა სამხედრო დაზვერვის, გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს – ГРУ-ს ძირითად იარაღს, რომლითაც მას ბევრი საიდუმლო ოპერაცია ჩაუტარებია, როგორც ავღანეთში, ისე ჩეჩნეთსა და სხვა ლოკალური კონფლიქტების დროს, მათ შორის ცხინვალსა და აფხაზეთის ომშიც. ლაგოდეხიდან, სადაც სწორედ ГРУ-ს სპეცდანიშნულების ბრიგადა იყო თავის დროზე განთავსებული, საქართველოს უშიშროების სამინისტრომ გარკვეული რაოდენობის ასეთი იარაღი მიიღო. მაშინ მათ იგორ გიორგაძე განაგებდა – ჯერ როგორც თავდაცვის სამინისტროს კონტრაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი და შემდეგ, როგორც უშიშროების მინისტრი. 1993 წლის ბოლოს, სამოქალაქო ომის დროს, სენაკის რაიონში ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა დაატყვევეს სამთავრობო ძალების ერთი БТР-80, რომელიც სწორედ ლაგოდეხიდან წამოღებული იარაღით იყო სავსე – მათ შორის მაყუჩიანი „კალაშნიკოვებით“. მას შემდეგ იმ იარაღის ბედი გაურკვეველია...


70-იანი წლების დასაწყისში მიხაილ კალაშნიკოვმა ახალი ავტომატი ჩაუშვა სერიულ წარმოებაში – AK-74, რომელიც ძირითადად მცირე – 5,45 მმ კალიბრით გამოიარჩეოდა. როგორც დღეს თავად რუსი კონსტრუქტორები აღიარებენ – იყო სხვა ავტომატების ნიმუშებიც, რომელიც სჯობდა მცირეკალიბრიან „კალაშნიკოვს“, მაგრამ გამოცდებისას, მაინც AK-74-მა გაიმარჯვა, რაც კალაშნიკოვისა და უსტინოვის მეგობრობით იყო გამოწვეული.

AK-74 მალე მისი სადესანტო ვარიანტი – AKC-74 მოჰყვა. არის კიდევ

ერთი საინტერესო მოდიფიკაცია – AKC-74Y. გარდა იმისა, რომ ის დასაკეცი კონდახით არის აღჭურვილი, ლულაც საკმარისად წაჭრილი აქვს. მოკლელულიანი „კალაშნიკოვებით“ ავღანეთის ომში შეიარაღებული იყვნენ მფრინავები და ტანკისტები, მოგვიანებით კი, მილიციის საწყობებშიც გაჩნდა. თავის მცირე გაბარიტების გამო, AKC-74Y არანაკლებ პოპულარულია დამნაშავეთა სამყაროში, რადგან მოსახერხებელია ქურთუკის ქვეშ მისი მალულად ტარება. ამიტომაც, ამ პატარა ავტომატის ფასი შავ ბაზარზე გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი „კალაშნიკოვისა“.

ბოლო დროს კონსტრუირებულ იქნა „კალაშნიკოვის“ ახალი მოდიფიკაციები – AK-101-დან AK-105-მდე, თვითდამტენი სანადირო „სიაგა“ და სხვ. ამ „კალაშნიკოვების“ ნაწილი NATO-ს სტანდარტის 5,56X45 კალიბრის ტყვიებს ისვრის, რაც კონკურენტუნარიანს ხდის იარაღს მსოფლიო ბაზარზე. მიხაილ კალაშნიკოვის ვაჟიშვილმა, რომელიც ასევე კონსტრუქტორია, ორიგინალური სქემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „ბიზონი“ შეიმუშავა.

ქართული არმია, რომელიც მუდამ იარაღის ნაკლებობას განიცდის, რამდენიმე გზით მარაგდებოდა „კალაშნიკოვებით“: თავდაპირველად, ეს იყო სკოლებიდან და სასწავლებლებიდან გამოტანილი სასწავლო, ლულაგაზვრეტილი ავტომატები, მოგვიანებით, რამდენიმე ათასი ავტომატი რუსმა სამხედროებმა გადმოგვცეს. აფხაზეთის ომის შემდეგ, მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ 10.000-მდე ნახმარი „კალაშნიკოვი“ უზბეკეთში შეისყიდა. ჩვენთან, საქართველოში კი, ვერაფრით მოხერხდა (სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო) „კალაშნიკოვის“ წარმოება.




არჩილ აქიმიძე ქართველი გეოლოგია. ის საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის მიერ გაგზავნილ გეოლოგიურ ექსპედიციებს ხელმძღვანელობდა. მას თითქმის ყველა ეროვნების ადამიანთან უმუშავია და, ცხადია, ყველა ქვეყნის წესჩვეულებები აქვს შესწავლილი.

ბატონი არჩილი თორმეტი წელი ურუბის ექსპედიციაში მონაწილეობდა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში სპილენძის საბადოზე მუშაობდა. იგი 1968 წელს ბორის გუჯეჯიანმა გადმოიყვანა საქართველოში და ჩააბა ქართული გეოლოგიის სამსახურში. მაგრამ ბატონ არჩილს საქართველოში ყოფნა დიდხანს არ არგუნა ბედმა და იგი ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი სუდანში გაუშვეს ექსპედიციის ხელმძღვანელად. აქედან დაიწყო მისი, როგორც გეოლოგის კარიერა საზღვარგარეთ. მან მოზამბიკში მიაგნო რკინა-აპატიტის საბადოს, ხოლო ვიეტნამში აღმოაჩინა და გააფართოვა ოქროს შემცველი კვარცის ძარღვი. იმ უდიდესი შრომისა და დამსახურებისთვის, რომელიც მის სახელს უკავშირდება, საბჭოთა მთავრობისგან... მადლობის სიგელი მიიღო.


ლეკა ჭანკოტაძე

— ბატონო არჩილ, როგორ იყო საბჭოთა გეოლოგისთვის საზღვარგარეთ ცხოვრების პირველი წლები?

— პირველად სუდანში გამიშვეს სამუშაოდ. ეს იყო 1975 წლის 29 დეკემბერი. ჩაფურინდით ქართუმში, საიდანაც გადაგვიყვანეს პატარა ქალაქ — ხანვანში. ექვსი-შვიდი თვის შემდეგ მოხდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რაშიც იქაურმა მთავრობამ საბჭოთა კავშირი დაადანაშაულა. ამის შემდეგ, დაგვაბინავეს სასტუმროში და გვითხრეს, რომ არ გვქონდა ფოტოსუ-



მოზამბიკური ქალები საბჭოთა კომუნისტურ სოხიურ სოხიურ სოხიურ სოხიურ



რათების გადაღების უფლება. სადამოს მე და ჩემი ცოლი მაინც გავედით გარეთ. ძალიან გვინდოდა მეჩეთის ნახვა, რომელიც ულამაზესი და უმდიდრესია მთელ მსოფლიოში. დაგვაკავეს. ვერ გავებდეთ რუსულად დალაპარაკება. ჩემმა ცოლმა რამდენიმე სიტყვა იცოდა მათ ენაზე. ძლივს დავაღწიეთ პოლიციას თავი. ერთმა იქაურმა ქალბატონმა მასთან სტუმრობის დროს გვითხრა: სულ რამდენიმე ხნის წინ, როცა მე სამი სასტუმროს მფლობელი ვიყავი, ჩემი მთავრობისგან მქონდა ასეთი ბრძანება: ყველა მიიღეთ, გარდა საბჭოთა ტურ-

ისტებისაო.

— მაშინ ალბათ საზღვარგარეთ აბორიგენ მოსახლეობას წარმოდგენაც არ ჰქონდა საქართველოს შესახებ?

— რა თქმა უნდა. არავინ იცოდა, რომ არსებობდა დიდი კულტურისა და წარსულის მქონე ქვეყანა — საქართველო. მოზამბიკის დედაქალაქში შემემთხვა ასეთი რამ: შევედი მაღაზიაში, ჩავდექი რიგში, კარტოფილის ყიდვა მინდოდა. ჩემი რიგი რომ მოვიდა, გამყიდველმა — ზანგმა კარტოფილი არ მომცა. აღეშფოთდი. მოვიკითხე მაღაზიის მუპატრონე და სიტუაციის გასარკვევად, მასთან მივედი. მაღაზიის მფლობელი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. წავუყენე ჩემი პრეტენზია. ვინ ბრძანდებით, სადაური ხართ, ბულგარელიო? — მკითხა. არა, ქართველი ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. ვერ მიხვდა, რა ვუთხარი. სტალინი გაგივია? სტალინი სადაც დაიბადა, მეც იქიდან ვარ-მეთქი, ვუთხარი. შეკრთა. არ მოელოდა. გამყიდველს უბრძანა — მიეცი ყველაფერი, რასაც მოითხოვსო...

— სტალინის ავტორიტეტი პრობლემებს არ გიქმნიდათ?

— უფრო ხშირად, კი. მასხოვს, მოზამბიკის დეპარტამენტში მთავარ გეოლოგად მუშაობდა ძალზე კარგი ადამიანი. ჩვენცხრა ქვეყანაში გვიმუშავია ერთად. საერთოდ, უცხოელ გეოლოგებს ყველგან ძალიან მაღალი ხელფასები ჰქონ-

დათ. ხშირად უკითხავთ ერთმანეთ-ისთვის: სად უნდა დავხარჯოთ ამდენი ფული? ჩვენ, საბჭოთა გეოლოგებს, კაპიკებს გვიხდიდნენ. გაჭირვებით გვყოფნიდა ხელფასი. სალამობით ყველა ქვეყნის გეოლოგები ერთად ვიკრიბებოდით, უცხოელებს თუ ფული ჰქონდათ, ჩვენ უფასოდ გვეძლეოდა საუკეთესო ხარისხის პროდუქტები და ამიტომ, მათზე უკეთ მანც ვიკვებოდით. ხშირად ვუმასპინძლებოდით ხოლმე უცხოელებს. მთავარი გეოლოგიც ჩვენს წრეში ტრიალებდა, სიცილით მეუბნებოდა: „იცი, სტალინი როგორი იყო? გადახედავდა ხალხს და ვისაც მაღალი თავი ჰქონდა, იტყოდა: მოსჭერიეთ!“

— ე.ი. უცხოელი გეოლოგები უფრო კარგად ცხოვრობდნენ?

— მათ ჰქონდათ საშუალება, დამლობით ბარებში შესულიყვნენ, განცხრომის საშუალება მიეცათ საკუთარი თავისთვის. საბჭოთა გეოლოგებს 40.000 ემკუდა ჰქონდათ გამოწერილი, მაგრამ აქედან მხოლოდ 12.000-ს ვლებულობდით — დანარჩენი ალბათ ჩვენს სამართველოში ირიცხებოდა. მაგრამ ყველა ქვეყანაში, სადაც ვმუშაობდით, სურსათის მარაგი ვჭონდა და უნდა გითხრათ, რომ იმ დროს ყველაზე კარგი კვების პროდუქტი საბჭოთა კავშირს ჰქონდა: უცხოელებს მოსწონდათ ჩვენი ძეხვი, ყველი, არაყი. მე, როგორც კონტრაქტის ხელმძღვანელი, ცოტა მეტ არაყს ვიღებდი და შემდეგ ყველას ვასმევდი, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა. თუ არაყზე მოვიდოდა ვინმე, შეგეძლო მხოლოდ არახისი გამოგეტანა, თუ არა და, ისეთი სურვა უნდა გაგეწყო — ენით უთქმელი. თავადაც ასე იქცეოდნენ.

— ე.ი. სტუმართმოყვარეობით მხოლოდ ქართველებს არ შეგვიძლია დავიკვინოთ?

— ყველა ქვეყანაში იციან სტუმრის პატივისცემა. ვიეტნამშიც კი, სადაც სამინლად ვერ იტანდნენ საბჭოთა ადამიანებს, ცუდად არავინ გვეპყრობოდა. ვიეტნამში უყვარდათ ამერიკელები და საოცარ მოწიწებასა და პატივისცემას გამოხატავდნენ მათ მიმართ. წეს-ჩვეულებებით ჩვენს ხალხთან ახლოს, ჩემი აზრით, პორტუგალიელები დგანან. საოცარი ხალხია. ისეთი დახმარება იციან, გაგაოცებენ. ერთხელ გამიჭირდა — საწვავი შემომაკლდა და იძულებული გავხდი,

ჭაბურღილი გამეჩერებინა. ერთ-ერთი ქარხნის დირექტორთან მივედი. ავუსხენი მდგომარეობა და 200 ლიტრი საწვავი ნისიად ვთხოვე. უსიტყვოდ გამომატანა. ამას გერმანიაში არ გაგიკეთებენ.

— ყველა ქვეყანაში განსხვავებული სამზარეულო აქვთ. განსაკუთრებით, აზიური სამზარეულოა ქართველისთვის ცოტა მიუღებელი. რაიმე ეგზოტიკური თუ გიჭამიათ?

— ეს ამბავი მოხდა ვიეტნამში. გუბერნატორმა თავის ოჯახში წვეულება გამართა და მეც დამპატიჟა. წავედი თარჯიმანთან ერთად. ისეთი სურვა გაეშალა მასპინძელს, ჩიტის რძეც რომ არ აკლდა. ერთი კერძი განსაკუთრებით მომეწონა. ჩემს თარჯიმანს ხონგი ერქვა. ვკითხე: რისი ხორცია ასეთი გემრიელი-მეთქი? ირემია, ირემიო, — მიპასუხა მხიარულად. ირმის ხორცს ვიცოდი, როგორი გემოც ჰქონდა, ამიტომ მივხვდი — კერძი ირმისა არ იყო, მაგრამ აღარ ჩავეძიე. გავიდა გარკვეული ხანი. ჩავედით საიგონში. გავიარეთ ბაზარში. უამრავი სახეობის ხილი და ძეხვი იყიდებოდა. საოცარი სისუფთავით გამოირჩევა საზღვარგარეთის ბაზრები. მაგალითად, საიგონში დღეში

ორჯერ რეცხავდნენ ბაზარს. ჩემი ყურადღება მიიპყრო ორმომ, რომელშიც ჩაყრილი ჰყავდათ ფეხებშეკრული ძაღლები. დავინტერესდი. ხონგიმ განმიმარტა: კლავენ და ჭამენო. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ძალიან გემრიელი ხორცი აქვს, რამდენიმე დღე სპეციალურ საჭმელს ვაჭმევთ და მერე ვკლავთო, — „იმართლა თავი“ ხონგიმ, თან დაამატა: თქვენ რომ ხორცი მოგეწონათ, ბატონო, სწორედ ძაღლის ხორცი იყო...

— ქვეწარმავლები თუ გიჭამიათ, ბატონო არჩილ?

— კი. ვთვლი, რომ განსაკუთრებით გემრიელად ამზადებენ აზიაში ქვეწარმავლებს და უამრავ რაღაცას, რისი ჭამაც ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. მოხამბიკში მოხდა ასეთი ფაქტი: ერთმა მონადირემ გამოგვიგზავნა თავისი ნაწადირევი. ვნახეთ — გატყავებული, გასუფთავებული, კარგი ხორცი იყო. მოვამზადეთ კერძი. მივირთვით. ძალიან მოგვეწონა. შემდეგ კი აღმოჩნდა — თურმე მაიმუნის ხორცი გვიჭამია.

— იმ ქვეყნებიდან, სადაც გიმუშავიათ, რომელია ყველაზე ჩამორჩენილი, განუვითარებელი?

— სუდანი. საშინლად ღარიბი და

არჩილ აქიმიძე მოზამბიკელ მონადირეებთან ერთად



ჭუჭყიანი ხალხითაა დასახლებული. ძალზე ცუდ შედარებას ვაკეთებ, მაგრამ ისეთი ბინძური და გასვრილი მე ჩვენთან საქონელიც არ მინახავს. გვექონდა ბრძანება, დაგვესაქმებინა მკვიდრი მოსახლეობა, მაგრამ ვერ მუშაობდნენ, შიმშილით ისე იყვნენ დასუსტებულები. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ზოგს 30 აქლემი ჰყავდა, არც გაყიდდა, არც გააქირავებდა, მდიდარი კაცის სახელი ჰქონდა, სინამდვილეში კი, შიმშილით კვდებოდა. რა თქმა უნდა, ისეთი ხალხიც ვნახე იქ, ვინც ვეროპაში მიიღო განათლება და თავის ხალხს გაუსწრო განვითარების დონით. ქართუშშიც არის უნივერსიტეტი. ჩემთან მუშაობდა ერთი კაცი, მაჰმუდი, ქართუშის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული... მასსოვს, დიდი სამზარეულო გვექონდა და ყველანი ერთად ვსადილობდით. მოვითხოვეთ, ჩვენთვის გურჭელი მოეტანათ, საერთო თევზიდან ჭამა არ შეგვეძლო. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, შეგვისრულეს თხოვნა, მაგრამ მაჰმუდი, ნიშნად დიდი პატივისცემისა, ხან ჩემს თევზში ჩაკრავდა ხელს, ხან სხვა უცხოელებისაში...

— ყველაზე ლამაზი ქალები სად იყვნენ, ბატონო არჩილ?

— ულამაზესი ქალები ჰყავთ ვიეტნამში. იქ თუ ქალი მდიდარია და თავს უკლის, სასწაული სანახავია, თუ არა და, ვერც შეხედავ. ასე მგონია, სიღარიბე, ყველაზე მეტად, ვიეტნამელ ქალს ეტყობა. ძალიან კარგი ტანის ქალები ჰყავთ მოზამბიკში. მართალია, შავკანიანები არიან, მაგრამ რომ შეხედავ, თვალს ვერ მოსწევებ. ჩვენი კანის ფერი იმათ არ მოსწონდათ — ჩვენი ბავშვებს აშინებდნენ: დასახლებულ პუნქტებში თუ გამოვჩნდებოდით, ბავშვები ისე დაფეთებოდნენ ხოლმე ჩვენს დანახვაზე, რომ წივილი-კივილით გარბოდნენ აქეთ-იქით. ისე, კანის ფერს ძალზე იოლად ეჩვევა თვალი. გაფრთხილებულები ვიყავით, რომ იქაურ ქალებთან ყველანაირი კონტაქტისაგან თავი უნდა შეგვეკავებინა. თუ ასეთ რამეს ვინმეს შეამჩნევდნენ, მას მაშინვე დააბრუნებდნენ უკან, საბჭოთა კავშირში.

— შიშველი ქალების ცქერა შრომისუნარიანობას აქვეითებდა თუ პირიქით?

— რა თქმა უნდა, ეს ცუდად მოქმედებდა. თავიდან, არანორმალურად გვიჭირდა ყველას: არაჩვეულებრივი ქალები,

რომ იტყვიან, პირდაპირ „გვანტებოდნენ“, ჩვენ კი თავს ვიცავდით — თუნდაც იმიტომ, რომ რეალურად არსებობდა ვენერიულ დაავადებათა საფრთხე. მოზამბიკში მოხდა ასეთი რამ: მუშაობა დამთავრებულ დღეს უნდა დავბრუნებულიყავით მოსკოვში, ამიტომ, ადრე შევედით ჩვენს ბინაში დასაძინებლად. თურმე იქ რომელიღაც ეროვნული დღესასწაული ყოფილა, წელს ზემოთ შიშველი კაცები და ქალები ცეკვავდნენ ყოველ სახლთან და ვისაც რა ჰქონდა, უნდა ეჩუქებინა მათთვის. ჩვენ მივეცით 100 ეშუკა. ძალიან გაუხარდათ. ძლივს დაამთავრეს ცეკვა და სიძღერა. ბოლოს, როგორც იქნა, წავიდნენ. დავწვიეთ ისევ. წამთვლიმა თუ არა, კარიც გაიღო. „სინიორ ინჟინერ, ქალი არ გინდათ?“ — შემოვიდა ვიღაც კაცი და შემოიყვანა ულამაზესი გოგო. ჩემს დამხმარეს დავუძახე და მან განუმარტა, რომ ჩვენთვის სექსი აკრძალული იყო. რომ გენახათ, როგორ იტირა იმ გოგონამ — შეურაცხყოფილად იგრძნო თავი...

— ახლა, ამდენი წლის შემდეგ, არც ერთი იქაური ქალი არ გახსენდებათ?

— მოზამბიკში ვმუშაობდით. როგორც უკვე ვითხარით, აკრძალული გვექონდა ქალებთან ურთიერთობა. საბჭოთა მეცნიერები ყველანაირად ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ მათი ზეწოლისაგან. ხშირად გვეკითხებოდნენ: „არ გინდათ, სინიორ, ლოგინში ცეკვა გასწავლოთ?“ მასსოვს, კუნძულ მოზამბიკიდან ჩამოვიდა ერთი ქალი, რომელიც რატომღაც, ცუდად გახდა. დამიძახეს საშველად. მეც მივედი და მივუტანე წამლები. მორჩა. ამის შემდეგ დაემკვებოდით. გეოლოგები კარვებში ვცხოვრობდით. კარავი ისე იკეტებოდა, შიგ კოლოც კი ვერ შეფრინდებოდა. ის ქალიც, თავის ნათესავთან ერთად, კარავში ცხოვრობდა. მთხოვა: დამით, ყველა რომ დაიძინებს, მოდი ჩემთანო და მეც გადავწვიტე, მივსულიყავი. მართლაც, ყველამ რომ დაიძინა და ხმაური მიწყდა, ქურდით შევიპარე მის კარავში, რომელიც ორი პატარა ოთახისაგან შედგებოდა. წინ თურმე სხვა გოგოს ეძინა. რა თქმა უნდა, ეს არ ვიცოდი და იმ გოგოს პირდაპირ მუცელზე დავადგი ფეხი. ატეხა კივილი. დაფეთებული გამოვკარდი იქიდან, შეგვარდი ჩემს კარავში და დავწვიქი. თავი მოვიძინარე. ატეხეს აქეთ-იქიდან ყვირილი. შემოჰკრეს ნალარა.

დაუწყეს ძებნა იმას, ვინც ქალებთან შესვლა გაბედა. ჩემზე, რა თქმა უნდა, ეჭვი არავის გასჩენია.

— გაჭირვება თუ შეგხვედრიათ საზღვარგარეთ ან რაიმე ეპიდემიის ზონაში თუ მოხვედრილხართ?

— კი. გამუდმებით იყო მალარიის საფრთხე. საბჭოთა ექიმებს უკვე დავიწყებული ჰქონდათ ეს ავადმყოფობა, არაბულ სამყაროში კი მას ვერ უმკლავებოდნენ. მეც შემხვდა მალარია, მაგრამ გადავრჩი.

— რომელ ქვეყანაშია ყველაზე მიმზიდველი და იშვიათი ბუნება?

— მოზამბიკი საყვარელი ქვეყანაა, ვიეტნამი დაუვიწყარია თავისი ჯუნგლებით. ეს არის ძალიან რთული და გაუვალარი რეგიონი... რომ დაღამდება, იწყება ხმაური, გადაძახებ-გადმობახება, ცხოველების ხმები. დღისით სიმშვიდეა. ოცი მეტრი ტყე უნდა გაგვეჭრა, მაგრამ ვერ შევძელით და მოვუარეთ — დაახლოებით 150 კმ. თანაც საშიში ადგილებია — ყოველ ხეზე ქვეწარმავალია კუდით ჩამოკიდებული და თუ აბორიგენი არა ხარ, თვალთ ვერ განასხვავებ ლიანისგან. გაგვიჭირდა ურთიერთობა მაგუას ტომებთან: მათ ჩვენი არ ესმოდათ, ჩვენ — მათი.

— სად გაგიჭირდათ ყველაზე მეტად, კლიმატურ პირობებთან შეგუება?

— სუდანში საშინლად ცხელოდა — ჩრდილში მზის ტემპერატურა 54 გრადუსზე მეტიც კი იყო ზოგჯერ. საერთოდ, იქ მისში ბუზი უკვე ვეღარ ცოცხლობს — სიცხისგან კვდება. წარმოიდგინეთ, ასეთ სიცხეში ჩვენ ანტილოპებზე ვნადირობდით, ხორცი რომ გვექონოდა საჭმელად. ყველა ქვეყანაში სამზარეულოს ტექნიკური პერსონალისთვის, მონადირეები ამარაგებდნენ. მე წესად მქონდა, რომ მონაწილეობა მიმელო ნადირობაში. ზოგჯერ მთელი ღამე გავვიტარებია ნადირობაში... ყველანაირ სიცხეს და დაღლას ვუძლებდი, თუ წყალი მქონდა, რომელიც ყოველთვის ძნელი საშოვნელია ექსპედიციაში.

— იმ ქვეყნებიდან, სადაც გამუშავიათ, რომელი გენატრებათ ყველაზე მეტად?

— მოზამბიკი. ულამაზესი და დაუვიწყარი ქვეყანაა.

ყველა

ქვეყანას ჰყავს თავისი ვამპირები და სისხლისმსმელები, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ყველა დროისა და ხალხის მთავარ სისხლისმწოველს – გრაფ დრაკულას, და ეს იმიტომ, რომ ეს პიროვნება, გადმოცემის მიხედვით, თითქოსდა მართლაც ცხოვრობდა მიწაზე, თანაც სადღაც გაურკვეველ ადგილას კი არა, არამედ რუმინეთში. სინამდვილეს შეეფერება ის, რომ XV საუკუნეში ვალახთა თავადს – ვლადს, ბიჭი შეეძინა, რომელსაც დრაკული დაარქვეს, რაც „დრაკონის ვაჟს“ ნიშნავდა. თურმე რომის იმპერიის იმპერატორმა მამამისი დრაკონის საპატიო რაინდთა ორდენში მიიღო, თურქების წინააღმდეგ ვკვაროსნულ ლაშქრობაში გამოჩენილი საბრძოლო გმირობისთვის. უმცროსი ვლადი, შემდგომში მსხვილი ფეოდალი გახდა და სახელიც გაითქვა, მაგრამ მისი დიდება ცოტათი სხვაგვარი იყო – ის თავისი ქვეყნის ისტორიაში წამების ყველაზე სასტიკი და გაწაფული მეთოდების გამოგონებლის სახელით შევიდა.

მისი საყვარელი ვარიანტი, ცხიბთ გაპოხილ მარგილზე ადამიანების წამოგება იყო. თანამედროვეთა გადმოცემით, მრისხანე თავადის დროინდელი ვალახთა მარგილებით აღმართულ ტყეს ჰგავდა. ამბობენ, რომ ამგვარი მეთოდით ვლადმა დაახლოებით ასი ათასი მტრის განადგურება შეძლო. ალბათ იმიტომ, დრაკულას კომპისკენ მიმავალ ბილიკს დღესაც „წვეტიანი მარგილების ვზას“ უწოდებენ. ამ პათოლოგიური მისწრაფების გამო, ხალხმა ვლადს ცეპეში (წამომტეხელი) უწოდა.

ეს ისტორიაა, მას კი ლეგენდა მოჰყვება, რომელიც ირლანდიელმა მწერალმა ბრემ სტოკერმა შექმნა. სწორედ მან დაწერა 1897 წელს რომანი ვამპირ დრაკულას შესახებ, რომელიც ნამდვილ სენსაციად იქცა. სტოკერმა მოქმედების ადგილი ნაკლებად უღერადი ვალახიდან რომანტიკულ ტრანსილვანიაში გადაიტანა და ვლადი ბრანის კომპში შეასახლა. სინამდვილეში კი, ცეპეში პატარა დასახლება პოენარიში ცხოვრობდა, მაგრამ იქაური ციხე-კომპი არასაკმარისად იმპოზანტურად გამოიყურებოდა, ამიტომ გრაფ დრაკულას მთავარი რეზიდენცია, ბრანის კომპი გახდა. სწორედ იქ ჩაღიან ტურისტები მთელი მსოფლიოდან, პლანეტაზე ყველაზე ცნობილი ვამპირის ბუნების სანახავად. ადგილობრივი ექსკურსიამძღოლები კი მათ არწმუნებენ, რომ ეს „სწორედ ის ადგილია,

ვახშამი მარჯვ დრაკულა



ტრანსილვანიის უტრანი ტყეების შუაგულში მდებარე შიშველ ყლდეზე ბრანის ციხე-კომპია აღმართული. მისი მთავარი გოდოლის ნვეტიანი შილი ცის გარღვევას ლამობს, ხანდახან ამას ახერხებს ყიდეც და მაშინ მიწაზე ყინულოვანი წყლის ნაქალი მოედინება. ცის სამფლობელო თითქოს ჯავრობს, რომ მყედროება დაურღვიეს, ციხე-კომპს ელვის ისრები ეცემა, ტყეებში ხეებს ქარიშხალი გლეჯს, ზრის საპასუხოდ კი ბრანის კომპის საყვამური მიღებიდან მხოლოდ სატანისებური ხარხარი ისმის. კომპის პირქუში ბინადრის – გრაფი დრაკულასგან მხოლოდ გამყინავი სიცილი და კომპის ნესტიან, გრძელ ღერეფებში იშვიათად გაულკებული ბუნდოვანი ჩრდილიღა შემორჩენილა.

სადაც დრაკულა თავის სიბოროტეს სჩადიოდა“.

რუმინეთი ვამპირების სამშობლოა – ეს საეჭვო მტკიცებულება თამამდ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში ტურისტების მოზიდვისთვის გამოხნულ რეკლამად. ბრანის კომპში მოწყობილია სპეციალური შუქისა და მუსიკის შოუ – მოჩვენებების მოულოდნელი გამოჩენით, კუბოებიდან ვამპირების წამოდგომათა და სხვა მისტიკური აბაღუბით. კომპის 56 ოთახიდან ერთ-ერთში დგას ძველებური საწოლი – „სწორედ ის, რომელზეც დრაკულა გოგონებს რყენდა და შემდეგ სისხლს სწოვდა“. ღამურებს, რომლებიც ცას ფარავენ და შავ მგლებს, რომლებიც ციხის კედლებთან დაძრწიან – ოღჭმი ვერ იპოვით. სამაგიეროდ, უამინდობის დროს, კომპის საკვამური

მიღებიდან საზარელი ყბილი ისმის, რომელიც ახალისებს ტურისტებსა და ექსკურსიამძღოლებს.

რუმინეთი ისტორიკოსები ერთხანს უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და იმ გაურკვეველობის აღკვეთას მოითხოვდნენ, რომელიც ამახინჯებს „ქვეყნის ისტორიას და ზიანს აყენებს არქიტექტურის ძეგლს“. მაგრამ მათი მოთხოვნები უპასუხოდ რჩებოდა. ბრანის ციხე-კომპი მართლაც დანგრევის პირასაა, მაგრამ სახელმწიფოს მის აღსადგენად თანხები არ გააჩნია. ტურისტებისგან მიღებულ შემოსავალს კი, სარესტავრაციო სამუშაოების ხარჯის დაფარვა შეუძლია.

ციხე-კომპის მისადგომებთან სუვენირების მრავალი ვიზუური დგას, სადაც დრაკულას გამოსახულებიან მაისურებს, „ვამპირებისგან

კერძე ვასაკრავი ნაჭერი	გეის ხანიკარი ფრინველი	საპარიკმახერო ანუ (...) ხალონი	მღნარე ინდოეთში	მამლის დილის ხმიახრობა	ალიჭური					
ბრეაში	პოლა	სასი	იაშაში	სინ	დნი	ყი	ზი	სი	სი	და
კომპი ანუ...	ბრამილილი ფეხბურთელი თეიორი ბელე	რომელ ქალაქში მოკლეს ჯ. კენელი	მშენებელი გურუა.	ვერცხლისწყალი ანუ ...	ყველგანმკვალი საბჭოთა ავტომობილი	ბუნ				

ყოველ დროში ღმერთი მკვერებელ ერს ქრისტეს სჯულისა და ეროვნულობის გადასარჩენად მოუკლენს ხოლმე გამოჩენილ პიროვნებებს. ამგვარ მამულიშვილად მოიაზრება ერისთავი ნერსე, რომლის კარზეც აღიზარდა გრიგოლ ხანძთელი – საშოთთან დედისათი შეწირული ღმერთისათვის. გრიგოლის „გულისხმებები სწავლისაი განსაკვირვებელ იყო ფრიად“. ნეტარმა ყრმამ სწრაფად შეისწავლა დავითნი, საეკლესიო სწავლანი, მრავალ ენათა მწიგნობრობა და განემზადა კეთილშობილური სასულიერო მისიის აღსასრულებლად.

აღმზრდელებმა და მშობლებმა ნეტარი გრიგოლის მღვდლად კურთხევა იწვეს. გადაწყვეტილების მიღებამდე თავდაპირველად, უკან დაიხია გრიგოლმა: „აწ პატივსა ვხედავ და პატივისაგან მეშინისო“. ეპისკოპოსად კურთხევამ კი ძალზედ შეაკრთო: სასწრაფოდ გაემიჯნა ახლობელთა სურვილს, ტაოკლარჯეთში წავიდა და თან წაიყვანა სამი თანამოსაგრე: დედის დისწული საბა – იშხნის განმანათლებელი, ეპისკოპოსი თეოდორე – ნემვის მამულებელი და ქრისტეფორე – კვირიკეთის მამულებელი. ისინი მივიდნენ ოპიზის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში და ორი წელი იღვაწეს იქაურ მოძღვარ აბბა გიორგისთან. შემდეგ მეუღლბრუნეს, ხუდდისის ეწვია ღირსი გრიგოლი. ხუდდისის წინასწარ ჰქონდა უწყება ღვთისგან, რომ იქ გრიგოლ ხანძთელის ხელით მონასტერი უნდა აშენებულყო. უდაბნოს მთაგორიან ადგილას, გაუსადმის პირობებში მომუშავე ბერებს სამუშაო იარაღებიც არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც არ ეპუებოდნენ სიძნელებს. ბოლოს, გრიგოლმა სიმდიდრითა და სიბრძნით შემკულ აზნაურ გაბრიელ დაფანჩულს სთხოვა დახმარება. გაბრიელმა სიხარულით მისცა წმინდა მამას ყველაფერი ქვიტკირის ეკლესიის ასაშენებლად და კირითხურონიც დაახმარა. ასე აშენდა ხანძთის ეკლესია.

გაბრიელ დაფანჩულმა გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს წარუდგინა. პატივითა და სიყვარულით შეიტკბეს ერთმანეთი წმინდა მეფემ და წმინდა მამამ. არაბთა ბატონობისაგან სისხლდაწურული და სასომხდილ საქართველოში კლარჯეთის უდაბნო ნამდვილი ოაზისი იყო. აქ თავი მოიყარეს ერის საუკეთესო შვილებმა. მონასტრის



უდაბნოთა ქალაქმყოფელი

ტიპიკონი მკაცრი იყო. მამა გრიგოლი „არავის უდებთაგანს შეიწყნარებდა“. მხოლოდ მცირეოდენი აუცილებელი ნივთები ებადათ მონასტრის ძმებს. არ სვამდნენ ღვინოს. მხოლოდ მცირედს იხმევდნენ საკვებად.

გრიგოლი უდიდეს ავტორიტეტად იქცა არა მხოლოდ კლარჯეთის უდაბნოს მამებისათვის, არამედ სრულიად საქართველოსათვის. მან ამერ-იმერის საზღვარზე ააშენა უბისის მონასტერი, ვითარცა ნიშანსვეტი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებისა.

ღირსი გრიგოლის ხელით მრავალ სასწაულს ახდენდა უფალი. ხელაპყრობით ლოცვად დამღვარი წმინდანი, მზესავით ბრწყინავდა და მისი სხეულიდან

ჯვრის სახედ ნათლის ისარნი გამოდიოდნენ. მრავალი კურნება და სასწაული აღესრულებოდა მისი ლოცვით. ამასთან, სარწმუნოებაში ურყევი ბერი არ ეპუებოდა მეფისა თუ თავადის მაღალ მდგომარეობას და პირუთენელად ამხელდა მათ ყველა გადაცდომისათვის. სამწუხაროდ, არც მამულებელ დროში იყო თავისუფალი სამღვდელეობა უღირსი ადამიანებისაგან, რასაც გულწრფელად განიცდიდა გრიგოლი. ანჩის დაქვერებული კათედრა მძლავრებით მიიტაცა ვინმე ცქირმა. ცქირი ახლობელი იყო თბილისის ამირა ჰასაკისა. მრავალ ბოროტებას სჩადიოდა უღირსი მღვდელმთავარი. არ შეისმენდა ცქირი ბერების მკაცრ მხილებას. ამპარტავნებით საღმრთო შიში განაგდო და ღირსი გრიგოლის მოსაკლავად ვიღაც ანჩელი კაცი მოისყიდა. მკვლელმა იხილა, „რამეთუ სვეტი ნათლისაი ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული ჰფარავდა გრიგოლს“. მოულოდნელად, მუხანათურად მისულს მკლავი გაუხმა და მხოლოდ ღირსი გრიგოლის ლოცვით განიკურნა. ანჩში მოწვეულმა კრებამ პატივისაგან განკვეთა ცქირი. თბილისში ჰასაკ ამირასთან წავიდა მღვდელყოფილი. მისი დახმარებით ანჩის საყდარი ხელახლა ჩაიგდო ხელში და დასარბევად ხალხი მიუსია ხანძთის მონასტერს. ცრემლებით ევედრებოდა უფალს მონასტრისა და ძმების დაცვას ღირსი გრიგოლი. მას უფლის ანგელოზისგან ეუწყა, რომ ცქირი დაისჯებოდა. მართლაც, ორი დღის შემდეგ ეს უკანასკნელი მოულოდნელად გარდაიცვალა. ღირს გრიგოლს უფლისგან წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე. მან კლარჯეთის უდაბნოს მონასტრებში სანთლები გაგზავნა და ბერებს შეუთვალა, ელოცათ მისთვის.

ღირსი გრიგოლის მიცვალების დღეს, მასთან პატივის მისაგებად და კურთხევის მისაღებად მივიდნენ მეუდაბნოე მამები. გრიგოლმა აკურთხა მამები, უკანასკნელად დაარიგა და ლოცვით შეჰვედრა სული უფალს.

მაღლით სავსე, სიბრძნით განსრულებული, კეთილად განმგებელი მოღვაწე და უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 102 წლის ასაკში, 861 წლის 5 ოქტომბერს.

წმინდანის ნეშტი, საკუთარი ანდერძისამებრ დაკრძალეს ხანძთის მონასტერში ძმთა საფლავებს შორის.

ნიკო ტარყაშვილი

ელენე სალარიძე

ანტიკური „ტიხე ფორტუნას“ (ბედისა და ბედნიერების ღმერთქალის) გამოსახულება ამშვენებს ვერცხლის თასს არმაზში აღმოჩენილი რიგით მეექვსე მდიდრული სარკოფაგიდან. აქ ნაპოვნ წითელი სარდონის ფიფიტიან ბეჭედზე ამოტვიფრული წარწერით – ZEVAXHC კიდევ ერთხელ ვხვდებით ზევან ერისთავის სახელს. სამარხი, საგარაუდოდ, ზევანის ძალზედ ახლობელ ქალს მიეკუთვნება. ვინ იცის, იქნებ იმ კარპაკს, რომლის მგრძობიარე ამოძახილი – ზევან, სიცოცხლეო ჩემო... – არაერთი პოეტური შთაგონების წყაროდ ქცეულა.

ვერცხლის პინაკის (თასის) დიამეტრი 24,6 სმ-ია, სიმაღლე – 4,7 სმ, იწონის 677 გრამს.

მშვენიერია ღმერთქალის მრგვალი, მცირე ქანდაკება თასის ფსკერზე – ყელმოღერებული, გრძელი, ხშირი თმით, რომლის ბოლოები შიშველ მხრებსა და მკერდის მარცხენა მხარეს უფარავს.

მარჯვენა ძუძუ კი ქალწულბრივი ანდამატი რომ იზიდავს თვალს, ლამის ჩახუტებია „სიუხვის ყანწის“ ბოლოს. ყანწი, რომელიც თლილი თითებით აუტაცია ბუდეშურთვალბიან (ბუდეშური – მკრთალი მწვანე ფერის მოგრძობარცვლიანი ყურძნის ჯიშში. – ავტ.) სევდიან ღმერთქალს, რაღა თქმა უნდა, სიუხვისა – სამსაზი ვაშლით, პურის თავთავით, ყურძნის მტევნითა და ერთი ც გირჩის-მაგვარი ნაყოფით ავსებული...

როცა ორი წლის წინ ლონდონში ღვინის მუზეუმი – ვინობოლისი გაიხსნა, ერთი-ორი წლით ამ თასის გამოფენაც უნდოდათ. ამდენი ხნით ვერ გაიმეტეს... სხვა ქვეყანაში დიდი ხნით გასაგზავნად ვერც იმავე სამაროვანში ნაპოვნი მეორე პინაკი გაიმეტეს. ამ თასის (რომელიც ზომით თითქმის ზემოთ აღნიშნულის იდენტურია) ფსკერზეც ბიუსტია გამოსახული – ამჯერად მამაკაცის, რომლის გამომეტყველებაც ღმერთქალის გარინდულ სიცივეს ეხმებოდა თითქოს.

სამაგიეროდ, გამოფენაზე გაიგზავნა ამ

„ტიხე ფორტუნა“ – ზღვნიერგონ ღვინთხარი არმაზოვან ინფორმაც „არ ათხოვს“

პიტიასშია სამაროვანის უძველესი ყელსაბამი

თასების ფოტოილუსტრაციები, აგრეთვე ხრამის დიდი გორის, არადეთის ორგორის, ტახტისძირისა და შავსაყდრის თიხის საღვინე ჭურჭლის ნიმუშები. გაიგზავნა აგრეთვე ჩვენი მკითხველისთვის უკვე ნაცნობი თრიალეთის უძვირფასესი ოქროსა და ვერცხლის თასების ასლები.

ერთი საყურადღებო დეტალი: ეს ასლები ინგლისურმა მხარემ საკუთარი სახსრებით დაამზადა და თითოეულის სადაზღვევო თანხა... 4.000 ამერიკულ დოლარს შეადგენს...

ამჯერად, აღნიშნული ღვინის მუზეუმის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი **ლევან ჭილაშვილი** გვესაუბრება:

– შემთხვევითი არ არის, რომ ბრიტანელებმა თავიანთ მუზეუმში საქართველოს გამოჩენილი ადგილი დაუთმეს. ანტიკური ხანის ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი

ვერცხლის თასი ბედისა და ბედნიერების ღმერთქალის გამოსახულებით

საქართველოს ღვინის სამშობლოდ მიიჩნევა და იმასაც აღნიშნავდა, რომ ევროპაში ვაზის კულტურა ჩვენგან გავრცელდა. არც ის არის შემთხვევითი, რომ ინგლისელი ჰიუ ჯონსონი – „ღვინის ისტორიის“ ავტორი, ამ ისტორიას ქართული ღვინით იწყებს.

– მაგრამ ეს თასები ხომ ბერძნული წარმოშობისაა...

– ეს ხელს არ უშლის ქართული ხელოვნების სიდიადეს. საბერძნეთში აღმოჩენილია არაერთი და არანაკლები ოსტატობით შესრულებული ძვირფასი ნივთი ქართული წარმოშობისა. ელინთა ქვეყანაში ნაპოვნ ჩვენსავე VI საუკუნით დათარიღებულ დახვეწილ საღვინე ჭურჭელს ასეთი წარწერა აქვს: „კოლხმა, ქართველმა მომხატა“...

– აღნიშნული ხომ ამავდროულად, ელინებთან კოლხებისა და იბერიელთა ურთიერთობაზე მეტყველებს...

– დიახ, ასეა. ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ფესვები, რომ იტყვიან, დასაბამიდან იღებს სათავეს.

არმაზისეულ სარკოფაგში აღმოჩენილ კიდევ ერთ გასაოცარ ყელსაბამთან და მრავალ ოქრო-ვერცხლის ძვირფას ნივთთან ერთად, ვერცხლის აზარფემაც იწონებს თავს, რომელსაც ისევ ღვინოსთან მივყავართ. ამ აზარფემის შესრულების მოტივი – ფარშევანგების, ვაზის ფოთლისა და ვერძისთავიანი გამოსახულებებით ქართულ ტორეტიკაში (ლითონქანდაკებაში) ანტიკური ხანის გვიანდელ პერიოდში ყოფილა დამკვიდრებული.





ალბათ გასაკვირია, რომ ანა ჯურნიკოვა საზღვარგარეთ უფრო მეტად უყვართ, ვიდრე რუსეთში. ევროპასა და ამერიკაში „ჯურნი“ (ასე უძახიან მას ჩოგბურთის გულშემატკივრები) მილიონობით ადამიანის თაყვანისცემის ობიექტია. ანას პოპულარობა საერთოდ არ არის დამოკიდებული მის მიერ ჩატარებული მატჩების შედეგებზე. მაყურებელი უზრალოდ სიამოვნებას განიცდის რუსი ჩოგბურთელის თამაშებზე დასწრებით, ტყუება მისი ჰოლასტიკით, ქერა თმისა და ვნების აღმძვრელი სხეულის ყურებით... „ვიდრე „ჯურნის“ ვნახავდი, რუსეთი მოსაწყენ და პირქუშ ქვეყნად წარმომედგინა, სადაც მხოლოდ ბანდიტები ცხოვრობდნენ. ახლა მე ვიცი: მოსკოვი შესანიშნავი ქალაქია, რომლის ქუჩებიც ანას მსგავსი ნახი, სექსუალური და ნიჭიერი გოგონებითაა სავსე“, – უთქვამს რუსი ღამაზმანის ერთ-ერთ თაყვანისმცემელს.




ჩოგბურთის ღაღიბა რუსეთიდან

სერგეი და ალა ჯურნიკოვებს ძალიან უნდოდათ, რომ მათ ქალიშვილს ბავშვობიდანვე გაეკათუნებინა სხეული, მიეღო მონაწილეობა ბავშვთა სპორტულ პროგრამებსა და შეჯიბრებებში. ამ მიზნის მისაღწევად მშობლებმა ჩოგბურთი აირჩიეს, რომელმაც პატარა ანა თავიდანვე გაიტაცა, თუმცა მისი ღიმილი ჩოგბურთელობაზე, მაშინ არავინ ფიქრობდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი, ანამ სპორტის ამ სახეობისთვის საჭირო იშვიათი მონაცემები გამოავლინა. „ჩოგბურთის თამაში 5 წლის ასაკში დაიწყო. მაშინ კვირაში ორჯერ ვვარჯიშობდი. სერიოზულად 7 წლის ასაკიდან ვვარჯიშობ. როდესაც პატარა ვიყავი, მინიკა სელემისა და შტეფი გრაფის თამაშის ყურება მიყვარდა. მომწონდა მათი თამაშის მანერა და ვცდილობდი, მათი მონაწილეობით ჩატარებული ყველა მატჩისთვის მეყურებინა, რომელსაც ტელევიზიით ვაღმოსცემდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთს ეთამაშებოდნენ“, – იხსენებს ჯურნიკოვა.

დოსია:
დაბადების თარიღი: 1981 წლის 7 ივნისი
დაბადების ადგილი: მოსკოვი
სიმაღლე: 173 სმ
წონა: 55 კგ
თამაშობს: მარჯვენა ხელით, უკანა ხაზზე — ორივე ხელით
საყვარელი ტურნირი ROLAND GARROS
ჰობი: ცურვა, შეიპინგი, მუზეუმებსა და კონცერტებზე სიარული, ტელევიზორი, კითხვა, კულინარია, უცხო ენები.
ფლობს: ინგლისურს, იტალიურს, ესპანურს. სწავლობს ფრანგულს.

ლობა შეჯიბრებაში, ერთი წლის შემდეგ კი, მოსკოვში ჩატარებულ ღია ტურნირში გაიმარჯვა. მას შემდეგ ჯურნიკოვა რეგულარულად მონაწილეობდა არა მარტო რუსეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ბავშვთა ტურნირებში. იტალიაში ჩატარებულ ერთ-ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობისას



10 წლის ჩოგბურთელი პრადენტონის (ფლორიდა) ჩოგბურთის აკადემიამ მიიწვია, რომელსაც ნიკა ბოლუტეკერი ხელმძღვანელობდა. „ანა საუკეთესოა ახალგაზრდა, პერსპექტიული ჩოგბურთელია შორის. ჩვენ გვინახავს ავასი, კურიე, სელემი, მაგრამ ანას თამაში, ჩემში ერთ აუწყერელ ალტაცებას იწვევს“, –



ანას მშობლები ყველა მაგის ესწრებიან

უთქვამს მამინ ნიკა ბოლუტერის. მალე ანა დედასთან ერთად ამერიკაში წავიდა, რათა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელთან ევარჯიშა. „ამერიკაში უბრალოდ, სავარჯიშოდ გავემზავრე. მაიამში ყველა აუცილებელი პირობა საამისოდ: კარგი კორტები, მზე, ვიტამინებით მდიდარი საკვები. ამასთან, მოსკოვი დიდი ქალაქია, მგზავრობაზე დიდი ღრო გენარჯება. იმისთვის, რომ სპორტში სერიოზულ შედეგს მიაღწიო, გარჯიშებზე მაქსიმალური კონცენტრირება საჭირო. ამიტომ, დედაჩემთან ერთად გადავწყვიტე, რომ ამერიკაში ამის გაკეთება უფრო მოსახერხებელი იქნებოდა“, – ამბობს ანა.

14 წლის ანა კურნიკოვამ პროფესიონალი ჩოგბურთელის სტატუსი მიიღო, თუმცა არასრულწლოვანების გამო, WTA-მ (ჩოგბურთის მსოფლიო ასოციაციამ) წელიწადში მხოლოდ რვა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მისცა. ამ ფაქტს ანა კურნიკოვას დედა, ალა, დღესაც უსიამოვნოდ იხსენებს: „მათ ანას ორი წელი წაართვეს, ორი წელი! ის წლები ზომ ანას ეკუთვნოდა და არა მათ“.

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, კურნიკოვა საკუთარი მონაცემების დახვეწას ცდილობდა და ხვდებოდა, რომ ჩოგბურთი იგივე ბიზნესია, რომლის საშუალებითაც ფულის მოზნაც შეიძლება და სიამოვნების მიღებაც.

„შენ მსოფლიოში ყველაზე ღამაზი გოგო ხარ“

იმეათად შეხვდებით დედისა და ქალიშვილის ისეთ პარტნიორულ ურთიერთობას ცხოვრების ყველა სფეროში, როგორც ანასა და დედამისს აქვთ. ხშირად, ერთი შეხვედრით, ძნელიც კია მათი ერთმანეთისგან გარჩევა. „ისინი უფრო დებს ჰგვანან, ვიდრე დედასა და ქალიშვილს“, – უთქვამს ერთ-ერთ ჟურნალისტის ანასა და ალას შესახებ. „როგორ შეიძლება მე მისი და ვიყო. ის ზომ ჩემი შვილია!“ – აღშფოთებულა ალა, რომელსაც ახლაც უამრავი თავყანისმცემელი ჰყავს.

ბევრის აზრით კი, თუ დედა-შვილს შორის ვინმე უმცროსს ანიჭებს უპირატესობას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის მართლა სჯობს დედას... იმასაც ამბობენ, რომ ალა, რომელიც დღესაც სერგეი კურნიკოვის კანონიერი მეუღლეა და მას „მსოფლიოში ყველაზე სიმპათიურ მამაკაცად თვლის“, ქალიშვილის გულ-იდან სრულიად „გამოაძევა“ მამა. რუსეთის ყოფილი ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სერგეი კურნიკოვი დღესაც მოსკოვში ცხოვრობს და ფიზიკური კულტურის სამინისტროში მუშაობს. „ოპ, მე უბრალოდ სამინილი მშობლები მყავს! ალბათ მსოფლიოში არც ერთ გოგონას არ უტარებდნენ იმდენ გაკვეთილს, რამდენსაც მე, – ამბობს ანა კურნიკოვა, – მაგალითად, დედამ შრომა მასწავლა. ჩვენთან, რუსეთში ასეთი გამოთქმა არსებობს: „ღმერთი მისკენა, ვინც დილით ადრე დგება“. ეს ნიშნავს, რომ თუ ბევრს იშრომებ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევ. მამა კი, ყოველთვის ამბობდა, რომ მე მსოფლიოში ყველაზე ღამაზი გოგონა ვარ – მე ზომ მას ვგავარ...“

„მხოლოდ ბურთი უნდა ხტოდეს“

დღეს არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ანა კურნიკოვა მართლაც ნიჭიერი სპორტსმენია, თუმცა მრავლად არიან ჩოგბურთელი გოგონები, რომლებმაც მის ასაკში გაცილებით მეტს მიაღწიეს. ანას თავყანისმცემლები თავიანთი კარბის მთავარ ღირსებად, ხშირად მის ქალურობას, სუპერსექსუალურობასა და სილამაზეს მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, ჩოგბურთელის მრავალმილიონიანი კონტრაქტები არ შეიძლება მხოლოდ მის გარეგნობას მივაწეროთ, რადგან დღეს ქალთა ჩოგბურთში არაერთი მომხიბლავი და ელვანტური გოგონა თამაშობს. თუ კურნიკოვას ბიოგრაფიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ჩოგბურთის მის ცხოვრებაში „მამაკაცთა საოცნებო ქალის“ ბიზნესისათვის დამხმარე ატრიბუტის ფუნქცია უფრო აკისრია, ვიდრე ძირითადი საქმიანობისა. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსი ღამაზმანი (საქვეყნო პოპულარობის მოსაპოვებლად) მხოლოდ თავის სპორტულ წარმატებებს ან მიზიდვლად გარეგნობას როდი იყენებდა. მაგალითისთვის თუნდაც მხოლოდ ის „წვრილმანი“ გამოდგება, თუ როგორ იკრავს ხოლმე ჩოგბურთის სექს-სიმბოლო მატჩის მსვლელობისას სპორტული ფეხსაცმლის ზონარს: ისე-დაც „თავზაანულო“

ფოტორეპორტიორების, ტელევიზორებისა და ტრიბუნებზე მსხლდომი რამდენიმე ათასი მაყურებლის თვალწინ ანა ისე მოურიდებლად იხრება ხოლმე, რომ მილიანად უჩანს ბიკინი. ფეხნაუხრელად, ნელა იხსნის ზონარს, შემდეგ ასევე აუჩქარებლად იკრავს. „ერთი საათის შემდეგ“ (როგორც ყველას ეჩვენება) ანა წელში იმართება, ტრიბუნებისკენ შებრუნდება და გაოგნებულ მაყურებელს ვერ კიდევ ბავშვური სახით უღიძის... ერთხელ, როდესაც ანა ძალიან მოკლე საჩოგბურთო ქვედაბოლოს გამო გააკრიტიკეს, მან უპასუხა: „ქვედაბოლო კი არ არის მოკლე, ფეხები მაქვს მეტისმეტად გრძელი...“ ალა კურნიკოვა და ანას აგენტები ფირმა IMG-დან ამტკიცებენ, რომ სექს-სიმბოლოს სტატუსით სპორტული სამყაროსთვის ანას წარდგენას სულაც არ აპირებდნენ. „ჩვენ მისი გარეგნობის ექსპლუატირება მიზნად არ დავგისანავს, მაგრამ ანამ ADIDAS-თან, ROLEX-თან და YONEX-თან სახარბიელო კონტრაქტების გაფორმება შეძლო. იმედი მაქვს, ის აცნობიერებს იმას, რომ მისივე დონის სხვა ჩოგბურთელებს მსგავსი ინტერესი არ აღუძრავთ“, – ამბობს კურნიკოვას აგენტი.

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი წამყვანი ფრანგი ჩოგბურთელი ნატალი ტოზია მისი წიგნის გამოცემის შემდეგ, ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობიდან გარიცხეს. წიგნს „ქალთა ჩოგბურთის თეორიული“ ერქვა და მასში დიდი ადგილი ეკავა ანა კურნიკოვას ლანძღვას. „მანეკენის სხეული – აი, რამ შეუწყო ხელი, უმნიშვნელო სპორტული შედეგების მიუხედავად, მის მიერ მოპოვებულ შემოსავლებს. მხოლოდ ანას შეეძლო შთაგონებინა ტელეჟურნალისტებისთვის, შეექმნათ ტელეპროგრამა იმის შესახებ, თუ როგორ უჭირთ მსაჯებს თავიანთ საქმეზე კონცენტრირება, როდესაც ის თამაშობს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველა გამუდმებით, ახალ-ახალ გვემს იფონებს მისი, როგორც „სრულყოფილი ფიგურის მქონე ლოლიტას“ იმიჯის გასაძლიერებლად. WTA-სთვის ანა ფულის შოვნის მძლავრი მანქანა“, – წერს ნატალი ტოზია.

ანას ერთ-ერთმა სარეკლამო კამპანიამ დიდად აღაშფოთა ბრედფორდში მცხოვრები



ინგლისელი მუსლიმანებიც: მათ საღებავით დაფარეს სარეკლამო დაფა, რომელზეც ნახევრად შიმშელი ანა კურნიკოვა იყო გამოსახული. მაშინ რუსი ლამაზმანი ფირმა BERLEI-ს ბიუსტპალტერს უკეთებდა რეკლამას. სურათზე ასეთი წარწერა იყო: „ONLY THE BALL SHOULD BOUNCE“ („მხოლოდ ბურთი უნდა ხტოდეს“).

სწორედ ამ ფრაზის გამო გაცხარებულიან ბრედფორდელი მუსლიმანები. „როდესაც ვიცი, რომ საუკეთესო სპორტული ტანისამოსი მაცვია, ეს მხოლოდ თამაშზე კონცენტრირებაში მენხმარება. ამგვარად, კარგი ბიუსტპალტერი უბრალოდ შეუფასებელია ჩემთვის. განა ეს გასაგები არ არის? ჩვენ ქალთა ჩოგბურთის წარმოვადგენთ, სადაც სპორტსმენები ქვედაბოლოებს ატარებენ. ალბათ ჩვენც ქალურად უნდა გამოვიყურებოდეთ“, – აღნიშნა ამ სარეკლამო კამპანიის შესახებ ანამ.

დაუპატიებელი სტრიპტიზიორი

კურიოზები რომ სპორტული ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, ყველამ იცის, მაგრამ იმ შემთხვევაში, რომელიც უიმბლდონის ტურნირზე ანა კურნიკოვას ასპარეზობისას მოხდა, მართლაც ყველა გააოგნა. მაშინ, წყვილთა ტურნირის შესამე წარუშინა ანა კურნიკოვა ნატალია ზვერევასთან ერთად, ემი ფრეიზერისა და კატია შლუკებერის წყვილს ხვდებოდა. შუახნის მამაკაცმა, რომელსაც ალბათ თავისი ქმედებით ანას მომხიბვლელობის დაჩრდილვა სურდა, მაყურებელთა ბარიერი გადალახა და უცნაურად გადიმბულმა, ცეკვა დაიწყო, თანაც ისე, რომ თვალს არ ამორებდა რუს ჩოგბურთელს. ექსცენტრიკულ ფანატს კისერზე მუყაოს ფირფიტა ეკიდა, რომელზეც უკვე ყველასთვის კარგად ნაცნობი ფრაზა – „ONLY THE BALL SHOULD BOUNCE“ ეწერა. პოლიციამ დაუპატიებელი სტრიპტიზიორი მხოლოდ მას შემდეგ დააკავა, როდესაც მან ტრიბუნებიდან გამამხინველებელი შეძახილებისა და აპოლოდისმენტების თანხლებით, ტანზე ყველაფერი შემოიძარცვა და გვარიანად გამხიარულდა. პოლიციელებმა მიშველი „მოცეკვავე“ კორტიდან გაიყვანეს და მატჩიც გაგრძელდა. ასეთ უჩვეულო წარ-



მოდგენას კი, კურნიკოვა-ზვერევას ტანდემისთვის ხელი არ შეუშლია, მატჩი მოეგო და მეოთხედფინალში გასულიყო. როგორც შემდგომ გაირკვა, სტრიპტიზიორი მამაკაცი მალევე გაუთავისუფლებიათ, როგორც საზოგადოებისთვის უვნებელი ქმედების ჩამდენი. თავად ანა კურნიკოვამ კი, ამ ფაქტის შესახებ აღნიშნა: „აღრე მსგავსი არაფერი გადამხდენია. მე თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული და ამ ყველაფერს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ იმ მომენტში უბრალოდ, შესვენება იყო და მე თავზე პირსახოც შემოხვეული ვიჯექი“.

რომანი

ამჟამად ანა დედასთან ერთად კვლავ ამერიკაში ცხოვრობს. მიმდინარე წლის თებერვლიდან, გართულებული ტრავმის გამო, ის ვეღარ გამოდიოდა ტურნირებზე და მხოლოდ ოქტომბრის დასაწყისში, „კრემლის თასის“ გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. საერთოდ, თანამემამულენი ანას ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ ის იშვიათად სტუმრობს რუსეთს, ზოგიერთი კი, მას რუსად არც მიიჩნევს. „მე ყველაფერი საუკეთესო შევითვისე, რაც ორივე ქვეყნას აქვს. ამერიკაში უბრალო ცხოვრება ვისწავლე: გინდა? – დარეკავ და პიცას შინ მოგიტანენ! რუსეთში, კულტურული ცხოვრების (ისტორია, წიგნები, მუზეუმები) გარდა, არასოდეს არაფერი გაქვს. ეს რეინისებური ხასიათს გამოვითმუშავებს, თუ, რა თქმა უნდა, ესურს, რომ ცხოვრებაში რაიმეს მაღაწვიო. მე კი, სწორედ მათ შორის ვარ, ვისაც ამის გაკეთე-



ბა სურს! ბავშვობიდანვე გავაცნობიერე, რომ ხასიათის, ნებისყოფის გარეშე ვერაფერს მი-აღწევ“.

რამდენიმე წლის წინ გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ანას რომანი ჰქონდა ცნობილ რუს პოეისტთან, პაველ ბურესთან. შემდგომში ბურე ხშირად აცხადებდა, რომ ცნობები მათი სიყვარულის თაობაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო. „სიყვარული ჩემთვის არა რაღაც გარეგნული, არამედ შინაგანი გრძობაა“, – ამბობდა ამ ჭორების გაგონებისას ანა, რომლის სიყვარულის ამბავი, პოეის კიდევ ერთ ვარსკვლავთან – RED WINGS-ის მოთამაშე სერგეი ფეოდოროვთან სიმართლე აღმოჩნდა. კურნიკოვასა და ფეოდოროვს ხშირად ხედავდნენ ერთად ხან RED WINGS-ის გამარჯვების აღსანიშნავად მოწყობილ ზეიმზე და ხანაც უიმბლდონისა თუ US OPEN-ზე (აშშ-ის ღია ჩემპიონატზე ჩოგბურთში). როდესაც მათ რომანი გააბეს, ანა ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო. ერთხელ, ნიუ-იორკის პროკურატურის ერთ-ერთ მოხელეს რეპორტირებისთვის განუცხადებია, რომ ქალაქის კანონებით, ოცდაერთ წელზე უფროსსა და ჩვიდმეტ წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის სექსი, ხშირად გაუპატიურებად ითვლება, ამიტომ ბატონ ფეოდოროვს ყოველი თავისი ნაბიჯის გაკონტროლება მოუწევს...

ამბობენ, ამ შენიშვნის შემდეგ, ფეოდოროვი ანას ტურნირებზე აღარ დაჰყვებოდა, თუმცა, ისინი ხშირად აცხადებდნენ, რომ „უბრალოდ, მეგობრები“ არიან. ცოტა ხნის წინ, მიჯნურთა დაქორწინების შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია, თუმცა, როგორც თავად „ჩოგბურთის დედოფალმა“ განაცხადა, ეს მხოლოდ მორიგი „სარეკლამო ტრიუქი“ ყოფილა.

ანას თავყენისმცემლებს ხშირად აინტერესებთ, როგორ ინარჩუნებს მათი კერპი საუცხოო გარეგნობას. თავად ჩოგბურთის ვარსკვლავი არ მალავს, რომ მას არავითარი დიეტის დაცვა არ სჭირდება: „იცი, მე საკმაოდ ბევრს ვვარჯიშობ იმისთვის, რომ დიეტაზე არ ვიფიქრო, თუმცა, რა თქმა უნდა, სამწაირ ღესერტს ერთდროულად არ მივირთმე. მაქვს ერთი ძალიან სერიოზული სისუსტე: ვგიჟდები შოკოლადზე, განსაკუთრებით – რუსულზე!“

კურნიკოვას საყვარელ საქმიანობად ჯერჯერობით, კვლავ ჩოგბურთი რჩება, თუმცა მომავალში ის პოდიუმზეც შეიძლება ვიხილოთ. „ოჰ, ეს ძალიან საინტერესოა, – ამბობს ჩოგბურთის სექს-სიმბოლო, – მაგრამ როდესაც მე კორტზე გამოვლას დავამთავრებ, ოცდაათი წლის ვიქნები, ერთობ ხნიერი... ხოლო გარშემო ამდენი მშვენიერი გოგონა იქნება... მაგრამ, თუ ამ შემთხვევაშიც ჩემით რომელიმე მოდელიერი დაინტერესდება... ვინ იცის...“



ბინალური მატარებლისა და ბაის გამოსათხიფთავებ მატჩში ითამაშებს

10 ნოემბერს ბუენოს-აირესში დიეგო მარადონას ფეხბურთთან გამოსათხოვარი მატჩი ჩატარდება. არგენტინელი ვარსკვლავი ამჟამად კუბაში, თავის მეგობარ ფიდელ კასტროსთან იმყოფება და ამ შეხვედრისთვის ემზადება. აღსანიშნავია, რომ დიეგოს გამოსათხოვარ მატჩზე, რომელშიც ერთმანეთს არგენტინისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრები გუნდები შეხვდებიან, 100-დე ცნობილი პიროვნება მიწვეული, მათ შორის, რა თქმა უნდა, ფიდელ კასტროც. მატჩზე


დასწრების სურვილი უკვე გამოთქვა პოპ-ვარსკვლავმა რიკი მარტინმა. დიეგო მარადონას სურს, ყველას უჩვენოს, რომ ფეხბურთის კარგად თამაში 40 წლის ასაკშიც შესაძლებელია.

ფეხბურთთან გამოსათხოვარი მატჩის გამართვას აპირებს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი რაიცი. რაის ყოფილი კლუბი „პარი სენ-ჟერმენი“ ამ ამხანაგურ მატჩში ბრაზილიელი ვარსკვლავების ნაკრებს შეხვდება. რაი საფრანგეთში 1993-98 წლებში თამაშობდა და თავის გამოსათხოვარ შეხვედრაში „პსჟ“-ს შემადგენლობაში ჯორჯ ვეას, ალენ როშის, იური ჯორკაეფისა და ბერნარ ლამას გვერდით ითამაშებს. პელე მოამზადებს ვარსკვლავთა ნაკრებს, რომელშიც კლაუდიო ტაფარელი, კაფუ, ედმილსონი, სონი ანდერსონი და სხვა ცნობილი ფეხბურთელები ითამაშებენ. მატჩის მთელი შემოსავალი გადაირიცხება ფონდ GOT DE LETRA-ში, რომელიც 1999 წელს ბრაზილიელი ბავშვებისათვის სწავლისა და პროფესიული განათლების საქმეში დახმარების მიზნით რაიმ და ლეონარდომ დააარსეს.

მილანის „ინტერის“ ფორვარდი რონალდო მონაწილეობას მიიღებს, როგორც მარადონას, ასევე რაის გამოსათხოვარ ამხანაგურ მატჩებში. შეგახსენებთ, რომ ტრავმებით გაწამებული რონალდო ახლახან დაუბრუნდა ფეხბურთს. რაც შეეხება ბრაზილიელი ვარსკვლავის პირად ცხოვრებას, რონალდო აცხადებს, რომ ათასგვარი ჭორის მიუხედავად, მას მეუღლესთან ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს და ისინი შვილების ყოლა-საც აპირებენ.

ლადი ჯონსონი კალათბურთიდან წავიდა

NBA-ში გატარებული 10 წლის შემდეგ, „ნიუ-იორკ ნიკსის“ ფორვარდი ლარი ჯონსონი კალათბურთიდან მიდის. ბოლო წლებში ჯონსონს ზურგის ტრავმა აწუხებდა. შეგახსენებთ, რომ ჯონსონი NBA-ის „დრაფტის“ პირველი ნომერი იყო 1991 წელს. „შარლოტ ჰორნეტს“-ის რიგებში, სადებიუტო სეზონში ლარი საშუალოდ, ყოველ მატჩში 19,2 ქულას აგროვებდა. სწორედ ამან მისცა საბაბი „შარლოტ ჰორნეტს“-ს, რომ ჯონსონთან 12 წლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა. ფორვარდმა ორჯერ NBA-ის ყველა ვარსკვლავის მატჩში მიიღო მონაწილეობა. 1999 წელს ჯონსონი „ნიუ-იორკ ნიკსის“ წამყვანი ფიგურა იყო „სან ანტონიოს“ წინააღმდეგ გამართული ფინალური სერიის დროს. მაშინ ლარის დიდად საპასუხისმგებლო დავალება მისცეს; მას ტიმ დანკანი უნდა შეეჩერებინა. ჯონსონმა შეძლო, რომ დანკანს მატჩში საშუალოდ 16 ქულაზე მეტი ვერ მოეგროვებინა.



დე ლა სტია დაცემბრინდა

რამდენიმე დღის წინ პუერტორიკოს ქალაქ სან-ხუანში მსოფლიო ჩემპიონმა, ხუთ წონით კატეგორიაში, ცნობილმა მოკრივემ ოსკარ დე ლა სტიამ მომღერალ მილი კორეტზე იქორწინა. საზეიმო ცერემონიაზე, რომელიც ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში გაიმართა, საერთოდ არ იყვნენ ფოტორეპორტიორები. ცნობილია, რომ კორეტზე და დე ლა სტია უკვე გასული წლის ოქტომბრიდან არიან ერთად. ამავე დროს, გავრცელდა ხმები, პატარბლის ფეხმძიმობის შესახებ. ასე რომ, დე ლა სტია, რომელიც ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქალებში, ალბათ მალე მამაც გახდება.

ბტყეცვიმ ჯთბჯ მუში შყაქდ

ცნობილი პოკეისტი უეინ გრეტცი მიიჩნევს, რომ ტერორისტული აქტების საშიშროების გამო, სოლტ-ლეიკ-სითის ოლიმპიური თამაშები არ უნდა გადაიდოს. „პრეზიდენტი ბუში შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა, რომელშიც მართებულად აღნიშნა: „ჩვენ არ უნდა ვცხოვრობდეთ მუდმივი შიშის ქვეშ“. მე აბსოლუტურად ვენდობი პრეზიდენტს, – ამბობს გრეტცი. – და თუ ამერიკელები გამოაცხადებენ, რომ უსაფრთხოების ყველა აუცილებელი ზომა იქნება მიღებული, ოლიმპიადაზე დაუფიქრებლად წავალ“.

რუბრიკის მასალები მოამზადა
ალექსი რეხვიანიშვილი



სომხეთში ჩსმსხილი, ქანაძი და სხვათა მოგზაობა

ამერიკელ ჯონის ჯი ტარნაქით „განსხვავებული“ დავალები

კომერციული საქმიანობა სასურველ შედეგს არ მძლევდა და გულს იმით ვიმშვიდებდი, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მოვხვდი. და მაინც, 1998 წლის შემოდგომაზე საქმე იმდენად ამენუნა, რომ დიდი ვალები დამიგროვდა. საქართველოში ამხელა თანხის გასტუმრებას ალბათ ათი წელი მაინც მოვუნდებოდი. იმ პერიოდში მთელი საქართველო სამუშაოდ ამერიკაში მიდიოდა და მეც გადავწყვიტე, მეცადა ბედი — თუნდაც, შავი მუშის ადგილი მეშოვა...

საერთო ჯამში, ამერიკაში ორი წელიწადი და ხუთი თვე ვიცხოვრე და იმდენი რამ გადავხედე, რომ მოსათხრობად, მთელი წიგნიც არ იკმარებს... არანაირ სამსახურს არ ვთაკილობდი, ყველაფერს ვკიდებდი ხელს, რასაც ნავაწყდებოდი. ბოლოს, მძლოლის მართვის უფლების მისაღებად ჩავაბარე გამოცდები და ტვირთის გადაზიდვის კომპანიაში მოვეწყვე. ამის წყალობით, თითქმის მთელი ამერიკა შემოვიარე და სწორად, კანადასა და მექსიკაშიც გადავდიოდი.

აკაკი გეგენავა

ქანადა

ქანადა ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა მსოფლიოში. ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე 5000 კმ-ზეა გადაჭიმული, დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე კი, 6000-ს აღწევს. მისი ტერიტორია აერთიანებს სტეპებსა და გაუვალ ტყეებს, ტუნდრასა და არქტიკულ ყინულოვან ზონებს. ქვეყნის ნახევარზე მეტი, დაუსახლებელია. ქალაქები და დასახლებული პუნქტები ძირითადად, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე სულ 30 მლნ ადამიანი ცხოვრობს.

ინგლისელი მეზღვაური ჯონ კაბოტი პირველი ევროპელი იყო, ვინც, კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის ხუთი წლის შემდეგ, 1497 წელს, დაადგა ფეხი ამ მიწაზე. მას სიკვდილამდე სჯეროდა, რომ ჩრდილო აღმოსავლეთ ჩინეთში მოხვდა და მხოლოდ 1534 წელს, როდესაც ფრანგმა მკვლევარმა ჟაკ კარტიემ გამოიკვლია წმინდა ლავრენტის სახელობის მდინარე, საბოლოოდ დაადგინეს, რომ ეს ადგილები ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს ეკუთვნოდა. ასე წლის შემდეგ, მდინარის გასწვრივ, პირველმა ფრანგმა კოლონიზატორებმა დაიწყეს იქ დასახლება. მათვე დაარსეს კვებეკი და სახელად „ახალი საფრანგეთი“ უწოდეს.

XVII საუკუნეში საფრანგეთიდან და ინგლისიდან მასობრივი ემიგრაცია დაიწყო. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ფრანგებსა და ინგლისელებს შორის სასტიკი ბრძოლები იმართებოდა, რაც ათეული წლები გრძელდებოდა. 1763 წელს კვებეკთან ინგლისელებმა ფრანგები დაამარცხეს და მთელი კანადის ტერიტორია ინგლისის იმპერიას დაექვემდებარა. 1867 წელს კანადის მოსახლეობა ინგლისის აუჯანყდა და ამ ბრძოლაში წარმატებასაც მიაღწია: კანადა დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.

ავტომობილიდან დანახული ქვეყანა

ამერიკაში ყოფნისას, ნიუ-იორკში ვცხოვრობდი. კომპანია, სადაც ვმუშაობდი, ძირითადად, ავეჯის გადაზიდვით იყო დაკავებული. ზოგჯერ, ნიუ-იორკიდან რომ გავიდოდი, 2-3 თვე აღარ ვბრუნდებოდი: ქალაქიდან ქალაქში დავდიოდი, ვმუშაობდი და მანქანაშივე ვგვძინა. მივლინების დროს, მანქანას, ორი მძღოლი მივყვებოდი ზღომე-ბუნებრივია, ამერიკელები ასეთ სამსახურს თავს არიდებენ...

შეერთებულ შტატებსა და კანადას ბევრი საავტომობილო გზა აკავშირებს. მათ შორის განსაკუთრებული ის გზატკეცილია, რომელიც ნიაგარის ჩანჩქერთან კვეთს საზღვარს. ეს ჩანჩქერი ორივე ქვეყანას

ეკუთვნის და მის დასათვალიერებლად, ორივე მხრიდან უამრავი ტურისტი მოდის ბუნების ამ საოცრების სანახაოდ. სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად ნიაგარას 15 მლნ ადამიანი ნახულობს...

პარადოქსია: თითქოს აშშ და კანადა ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ თვალში საცემია, რომ ამერიკელები სულ სადაც ჩქარობენ და გამუდმებით დარბიან, კანადაში კი, საპირისპირო სურათია. კანადელებსაც უყვართ შრომა და ფულიც აინტერესებთ, მაგრამ საამისოდ, იქ გიჟივით არაყინ დარბის...

მასსოვს ერთხელ, მონრეალში ჯონისთან (ამერიკელი მძღოლი და ჩემი მეწყვილე) ერთად, საწყობში 2 საათზე უნდა მივსულიყავით, მაგრამ გზაში შევფერხდით და მხოლოდ 4 საათისთვის ვახერხებდით მისვლას; უნდა გენახათ, როგორ იკლავდა თავს ჯონი: საწყობში სამუშაოს დრო მთავრდება, კანადელი ზედმეტად, ერთ წუთსაც არ გაჩერდება, საქმეს ზვალისთვის გადალესს და მომდევნო შეკვეთას დაგეგმავთ...

ეს მონრეალში მოხდა და გამიხარდა, რომ იძულებითი მოცდენის გამო, კანადის სიდიდით მეორე ქალაქის დათვალიერების საშუალება მომეცა.

მონრეალი ქვეყნის ინდუსტრიული ცენტრია. ეს უდიდესი ნავსადგურია, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის

სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს. ამერიკული ქალაქების მსგავსად, მონრეალში უამრავ ცათამბჯენს ნახავთ. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში უამრავი ავტომობილია, გარშემო იდეალური სიწყნარე სუფევს. ქუჩაში მოსეირნეთა სიმცირით თუ იმსჯელებთ, პროვინციულ ქალაქში გეგონებათ თავი.

ქვეყნის მოსახლეობის 90%-ს საკუთარი ავტომობილი ჰყავს. საჭესთან 80-ს მიტანებულ ადამიანებსაც შეხვდებით. თავიდან, მანქანებით მოჯირითე ბებიებსა და ბაბუებს რომ ეხედავდი, მიკვირდა, მაგრამ დროთა განმავლობაში შევეჩვიე. თუმცა, ერთხელ, მაინც შევესწარი სცენას, რომელმაც გამაოცა. ჩვენი ტრაილერი იტვირთებოდა და ჯონისთან ერთად, კაფეში შევედი. კუთხეში, ასე, 90 წელს მიტანებული ქალბატონი იჯდა, საუზნობდა და თავის შავკანიან მომვლელს ესაუბრებოდა. ყურადღებას არ მივაქცევდი, მათ ვერადით, ინვალიდთა ეტლი რომ არ დამენახა... საუზმეს რომ მორჩა, მომვლელმა ქალი ეტლით მანქანასთან მიიყვანა, მერე საჭესთან გადასვა, თვითონ კი გვერდზე მოუჯდა... თვალებს არ ვუჯერებდი: „ბებოშ“ ავტომობილი დაქოქა და ადგილიდან „მოწყვტილა“.

კანადელებს უავტომობილოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. სერიოზულ საქმეებსაც მანქანაშივე აგვარებენ. შეყვარებულებიც უმეტესს დროს ავტომობილში ატარებენ.

ავტოსტრადებზე უამრავი კაფე შეგხვდებათ. საინტერესოა, რომ შენობებში არც მაგიდები დგას და არც სკამები: ეს მძღოლებისთვის განკუთვნილი სპეციალური კაფეებია: მიაღებენ ავტომობილით ფანჯარას და შეუკვეთ სასურველ კერძს, ხუთი კილომეტრის შემდეგ მდებარე კაფეში კი, გამზადებული საჭმელი დაგხვდება...

კანადაში განსაკუთრებული პოპულარ-



ობით სარგებლობს გოლფი. ქვეყანა მოყვანილია გოლფის მოყვანებით და დიდძალი პატარიანად, ყველა თამაშობს. კანადელი კაზინოში არ შევა, მაგრამ გოლფში შეიძლება მთელი ქონება წააგოს ან მოიგოს. ერთხელ მეც მოვსინჯე გოლფის თამაში, ადვილი მომეჩვენა, მაგრამ შევეცი: ის ნერვების დიდ დამაბვასა და ნებისყოფას მოითხოვს. ისე შევედი აზარტში, რომ რაც ჯიბეში მქონდა, ყველაფერი „ჩაგუშვი“...

ტორონტო

ოფიციალურად, ტორონტო კანადის ბიზნესის ცენტრად ითვლება. ამასთან, ტორონტო ძალიან სუფთა, უსაფრთხო და ერთ-ერთი ყველაზე მწვანე ქალაქია მსოფლიოში.

ტორონტოს გახსენებისას, მუდამ სევდა მომეძალება ხოლმე — იმ შეხვედრის გამო, რომელიც ამ ქალაქში მქონდა. თბილისელი ნაცნობი დამიკავშირდა და მთხოვა — თუ ტორონტოში მოხვდები, ჩემს ნათესავს მიაკითხე, რომელიც იქ 1994 წლიდან ცხოვრობს.

დაუეკავშირდი თუ არა, შინ მიმიწვია და იმ საღამოსვე, ჯონისთან ერთად, კანადელ ქართველს ბადრი ბერაძეს ვეწვიეთ. ბადრის კანადელი ცოლი ჰყავს, რომელმაც დიდებული სუფრა გაგვიშალა. ამერიკაში იმდენი ჰამბურგერი მქონდა ნაჭაბი, რომ დასანახად ვეღარ ვიტანდი და როდესაც სუფრაზე ჩახოხბილი, ელარჯი, საცივი და შავი ღვინო დავინახე, აღფრთოვანებისგან შევეყვირე:

— ვა, ბადრი, ეს საიდან? საქართველოში მგონია თავი...

— შარშან დედაჩემი იყო ჩამოსული და იმან შეასწავლა სანდრას ქართული სამზარეულო... — სიამაყით მიპასუხა ბადრმა.

— მაშინ, ძმაო, გაუმარჯოს საქართველოს და მის რძალს — სანდრას, რომელმაც ქართული სუფრის ემზი შორეულ კანადაში გააცოცხლა და საქართველოდან

დროებით გადაკარგული შვილები გაახარა!.. — ვთქვი, ფეხზე ავდექი და ყანწი მოვითხოვე. ყანწი არ ჰქონდათ და მის სანაცვლოდ, ბადრმა დიდი ლარნაკი მომწვოდა. ჯონი გაშტერებული მიყურებდა — ვერ ხვდებოდა, რას ვაკეთებდი. შემებრალა ჩემი ამერიკელი მეგობარი და სანდრას ვთხოვე:

— შენ ხომ იცი ჩვენი ტრადიციები? აუხსენი ამ ყმაწვილს, თან ასწავლე, როგორ უნდა მიირთვას ელარჯი...

— ნოუ ფრობლემ... — მიპასუხა სანდრამ... იმ საღამოს სასიამოვნო დრო გავატარეთ, თუმცა, მზიარეულების მიუხედავად, ბადრის თვალებიდან სევდა არ გამქრალა. ჩავეძიე და მთელი თავისი თავგადასავალი მიაბზო.


...ჩამოყალიბდა თუ არა ქართული ეროვნული გვარდია, ბადრიც დაუყოვნებლივ მეტროლოთა რიგებში ჩამდგარა. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. სჯეროდა საქართველოს მომავლის და თავს არ ზოგავდა. სოხუმის დატეხვის შემდეგ, პარტიზანებთან ერთად დარჩა... დრო გადიოდა და ბადრის იმედი უტრუვდებოდა: დასახინრებული მეომრები მათხოვრებდა აქციეს, ზოგი მათგანი ყანადად და ბანდიტად გამოაცხადეს... ბევრი ფიქრის შემდეგ, ბადრმა სამშობლო დატოვა და ბოლოს, კანადაში აღმოჩნდა.

— უკან დაბრუნებას არ აპირებ?

— ეეჰ... კვირა არ გავა, თბილისი რომ არ დამესიზმროს, მაგრამ სად წავიდე? რა ვაკეთო იქ?... აქედან ბიჭებს და ნათესავებს მაინც ვეზმარები... ზოგჯერ ისე ამომივა ხოლმე ყელში ყველაფერი, ვფიქრობ — მივატოვებ ყველაფერს და დაბრუნდები-მეთქი, მაგრამ არ გამოდის...

იმ დღეს ჯონი ისე დათვრა, დილით ძლივს ავაყენე. შემდგომში, როდესაც ქართველებთან შეხვედრის შანსი გვიჩნდებოდა, პირველი ჯონი ვარბოდა... რომ ვკითხე — რით მოსწონდა „ქართულად“ ქეფი, მპასუხობდა: რაღაცნაირად თბილები ხართ და თქვენთან ყოფნას არაფერი სჯობს...

1999 წელი



ნიუ-იორკი გრაგვიდამდე ლაღი ქალაქი იყო...

პარსკვლავი

როცა 1999 წელს, „ოსკარების“ გადაცემის ცერემონიაზე პენელოპა კრუსი ანტონიო ბანდერასთან ხელკავით ავიდა სცენაზე წლის საუკეთესო უცხოური ფილმისთვის – „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“ – ჯილდოს მისაღებად. ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ სულ ცოტა ხანში, ესპანელი ლამაზმანი სოფი ლორენის შემდეგ ამერიკაში ყველაზე ცნობილი ევროპელი მსახიობი გახდებოდა და ერთიმეორის მიყოლებით, ჰოლივუდის პოპულარულ მამაკაცებს მოხიბლავდა.



პენელოპა კრუსი

სოლჯის რისხვა

ამ დროს პენელოპასთვის „ოსკარი“ უცხო ხილი აღარ იყო: თავისი ერთ-ერთი პირველი სახე მან ფილმში – „მშვენიერი ეპოქა“ შექმნა, რომელმაც ჯერ პრემია „გოიას“ („ოსკარის“ ესპანური ანალოგი) ცხრა ნომინაციაში გაიმარჯვა, შემდეგ კი – 1994 წელს – „ოსკარით“ დაჯილდოვდა, როგორც წლის საუკეთესო უცხოური ფილმი. პენელოპამ მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა, მაგრამ სწორედ ამ სურათმა მიიღო ესპანური კინემატოგრაფის ისტორიაში პირველი „ოსკარი“.

პენელოპა კრუსი 1974 წლის 28

აპრილს ესპანეთში, მადრიდელ პროლეტარტა ოჯახში დაიბადა. მამამისი ავტომექანიკოსი იყო, დედა კი – პარიკმახერი. გოგონას არ ხიბლავდა ესპანელი დიასახლისის ადვილად მისაწვდომი, მაგრამ მძიმე ხვედრი. პატარა პე (ასე ეძახდნენ მას ნათესავები) განსაკუთრებულ სამსახიობო მონაცემებს არ ამჟღავნებდა, მაგრამ ყველა ამჩნევდა მის პლასტიკურობას. როგორც შემდგომში კრუსის ერთ-ერთმა ამერიკელმა თაყვანისმცემელმა – ნიკოლას კეიჯმა აღნიშნა, „მისი გრაცია ცეცხლის ალში ხვევს ყველაფერს, რასაც კი მოძრაობა ძალუძს“...

ბავშვობიდანვე გამორჩეული პლასტიკის წყალობით, პენელოპა საბალეტო სკოლაში მიაბარეს, სადაც ის 10 წელი ეუფლებოდა კლასიკურ და თანამედროვე ბალეტს. ამის მიუხედავად, მოცეკვავის კარიერას მაინც მსახიობობა ამჯობინა. ჯერ კიდევ 15 წლისამ მიიღო მონაწილეობა კონკურსში, რომელშიც ერთ ადგილზე 350 გოგონა აცხადებდა პრეტენზიას. ბუნებრივია, მას გამარჯვებისთანავე მიაქციეს ყურადღება და 1991 წლიდან, დიდ კინოში მოსულ პენელოპას უკვე გზა ხსნილი ჰქონდა: სწორედ კინოში გამოაღვა ცეკვის 10 წლიანი გამოცდილება.

ლამაზმანმა პირველი როლიდანვე მიიქცია ყურადღება და დებიუტიდან სულ 2 წელიწადში – 1991 წელს მშობლიურ ესპანეთში უკვე უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. პოპულარობამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა ერთ-ერთ ესპანურ ფილმში კრუსი შიმშველი გადაიღეს: 17 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა სილამაზითა და მიმზიდველი პლასტიკით გადარია ესპანეთი. ინტიმურ სცენებს პენელოპა მუდამ ერიდებოდა, დიდხანს ვერ გაბედა კამერის წინ კოცნის წარმოდგენა, ლოგინის სცენის უფლება კი თავს სულ ცოტა ხნის წინ მისცა – მანამდე ყველაფერ ამას ტაბუ ჰქონდა დადებული. 15 ესპანურ ფილმში გადაღების შემდეგ, მას ესპანელ ჯულია რობერტოს ეძახდნენ, მას პოპულარობით ვერც ერთი თანამემამულე მსახიობი ვერ შეედრებოდა. მას შემდეგ კი, რაც პენელოპა კრუსით, ცნობილი ესპანელი რეჟისორი პედრო ალმოდოვარი დაინტერესდა, მსახიობი ევროპელმა ესთეტიკებმაც აღიარეს.

და მაინც, ესპანეთი პენელოპას ვეღარ აკმაყოფილებდა: მან აქტიურად მოჰკიდა ხელი ინგლისური ენის შესწავლას, აგენტებმა კი, ჰოლივუდში მის გამგზავრებაზე ზრუნვა დაიწყეს.

პენელოპა სულ უფრო ხშირად ჩადიოდა ამერიკაში ფილმის – „მთელი სამეფო ამალა“ – გადაღებებზე. ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დაეჯერებინა ჰოლივუდი, რომ განუმეორებელი იყო...

ჰოლივუდში ფეხის მოკიდებისთანავე, პენელოპა კრუსმა ბუნდოანი

წყვილებისა და ოჯახების დამაქცევარის იმიჯი შეიძინა. სულ ცოტა ხანში ის ნიკოლას კეიჯისა და პატრისია არკეტის, ასევე ტომ კრუზის და ნიკოლ კიდმანის გაყრაში დაადანაშაულეს.

პენელოპა სულ უფრო ხშირად ჩადიოდა ამერიკაში. ფილმის – „მთელი სამეფო ამაღლა“ გადაღებებზე მან ყველა თავისი ღირსების წარმოჩენა მოახერხა პოლივუდის წინაშე. ფილმში მისი პარტნიორის – მეთ დეიმონისა და მეთის მეგობარი გოგონას, ასევე ცნობილი მსახიობის – უაინონა რაიდერის მანამდე მყარი ურთიერთობა, პენელოპას გამოჩენისთანავე უკვალოდ გაქრა. „ჩვენ ძალიან დაეუახლოვდით ერთმანეთს“ – წამოსცდა ერთხელ პეს ჟურნალ TV GUIDE-თან ინტერვიუში, რის შემდეგაც მათი ურთიერთობა უკვე საქვეყნოდ განსაზღვრეს.

დრო გადიოდა, პენელოპა თავის ინგლისურს ხვეწდა. ამასთან, მკვე-

თრად მატულობდა მის ფერხით დაჩოქილ თაყვანისმცემელთა რიცხვი, რაც სავესებით გასაგებიც არის: პენელოპა არ ჰგავს ფემინიზმით გატაცებულ ამერიკელ ქალებს – ის მიჯაჭვულია ოჯახს და საოცრად კეთილია: 90-იან წლებში მსახიობი კალკუტაში – დედა ტერეზას ჰოსპიტალში მუშაობდა და ბევრი ისეთი რამ გადახდა, რომ ესპანეთში დაბრუნებულმა, სერიოზული ფსიქოლოგიური კრიზისიც კი გადაიტანა. თავისი პირველი ინგლისურენოვანი ფილმის – „პაი-ლოს ქვეყნის“ ჰონორარი მან სწორედ ინდოეთის იმ ჰოსპიტლის ანგარიშზე გადარიცხა და ამით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

„კაპიტან კორელის მანდოლინის“ გადაღებებზე პენელოპა ბედმა ნიკოლას კეიჯს შეახვედრა. მაშინ ნიკოლასი ჯერ კიდევ პატრისია არკეტის ქმარი იყო. მაგრამ მალე

კეიჯმა ცოლი მიატოვა, კრუსთან ხანმოკლე რომანი გააჩაღა, რომელსაც რეგულარულად აშუქებდა პრესა. ფილმში გათამაშებული შთაბეჭდავი სასიყვარულო სცენის შესასრულებლად „როლში შესასვლელად“ მსახიობებს ბევრი დრო არ დასჭირვებიათ... მაგრამ სულ მალე კრუსმა კეიჯიც მიატოვა და კვლავ მარტო დარჩა. თუმცა, ახლა პენელოპას უკვე ბევრად უფრო დიდ ჰონორარს უხდიდნენ და პოლივუდის პირველი ეშელონის მსახიობის სტატუსიც ჰქონდა. „კაპიტან კორელის მანდოლინის“ პრემიერაზე განაწყენებული კეიჯი ყოფილ სატრფოზე ჯავრის ამოყრის მიზნით, ახალ მეგობარ ქალთან – ლაიზა მარია პრესლისთან ერთად გამოცხადდა. და რაოდენ დიდი იყო ნიკოლასის და პრემიერაზე მისული ჟურნალისტების გაცოცხება, როცა დაინახეს, რომ არც პენელოპა იყო მარტო – მას ტომ კრუზი ახლდა... პენელოპამ ყოველგვარ კომენტარს თავი აარიდა და ტომთან დაკავშირებულ შეკითხვებს ასე პასუხობდა: „ამაზე საუბარი არ მსურს: ვიცი,



როგორ შეიძლება ეს გამოიყენონ“. მასმედიის წარმომადგენლები არ ცხრებოდნენ: „ხვდებით ერთმანეთს თუ არა?“ ამის პასუხად, მსახიობმა, თანხმობის ნიშნად, მხოლოდ თავი დაუქნია.

წყვილმა ერთმანეთი ფილმის – „ვანილის ცა“ – გადაღებებზე გაიცნო. პოლივუდელ ქალბატონებს კი სერიოზული საფიქრალი გაუჩნდათ: გაუშვან თუ არა ქმრები ამ ესპანელ მსახიობთან ერთად გადაღებებზე?! ჯონი დეპი, რომელთანაც პენელოპა ცოტა ხნის წინ შექმნილ ფილმში – „კოკაინში“ თამაშობს, მხოლოდ იმან „ისნა“, რომ ტომ კრუზი ქალს მასზე ცოტა ხნით ადრე გადაეყარა.

ტომ კრუზი მულტიმილიონერია, პოლივუდში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანად ითვლება და საკმაოდ მიმზიდველი მამაკაცია. ყველა თვლის, რომ პენელოპას ნამდვილად გაუმართლა. ისევე, როგორც 10 წლის წინ ნიკოლ კიდმანისთვის, ახლა ფზიანი პესთვის ყველა კარილია – უპირველესად, ის, რომელიც მას მრავალმილიონიან ჰონორარებამდე მიიყვანს. ტომ კრუზს ჯერჯერ-





კრუსი კრუმამდე (ბრედ პიტთან)...



და კრუმთან ერთად

ობით სულ არ გასჭირვებია პენელოპას ჩართვა ოლივერ სტოუნის ახალ პროექტში, რომლის სიუჟეტიც რეალურ ფაქტებზეა აგებული და ინდოეთის ქალაქ ბჰოპალში მომხდარ ქიმიურ კატასტროფას ასახავს. ამ ფილმში პენელოპასთან ერთად, „ინგლისის ყველაზე მომხიბლავ მამაკაც-

ად“ ცნობილი ჯერემი აირონსი იქნება დაკავებული.

ვნახოთ, შემდგომში როგორ წარიმართება პენელოპას პოლივუდური ცხოვრება. ჯერჯერობით კი, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ პოპულარობა კრუსმა თავისი თანამემამულე რეჟისორების – ზოსე ზუან

ბიგას-ლუნასა და პედრო ალმოდოვარის წყალობით მოიპოვა: ბიგას-ლუნამ პენელოპა „შიშველ მანაში“ გადაიღო, რომელმაც 2000 წელს ოთხი „გოია“ მიიღო, ალმოდოვარის ფილმს – „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“ კი, „ოსკარი“ ზვდა წილად და იმ დღიდან პენელოპა კრუსი პოპულარული პოლივუდელი მსახიობის რანგში აიყვანა. პენელოპა კრუსი ლამაზი, ტემპერამენტიანი და მრავალმხრივი ნიჭის მქონე მსახიობია, ამიტომაც ესპანელი მზეთუნახავის მიერ პოლივუდის დაპყრობის რეალური პერსპექტივა აღარავის უკვირს.

«შროშანის» თმის მოვლის ინსტიტუტი


თმის გვენიხ შეჩერება და გახშირება

10-დღიანი გამაჯანსაღებელი მასაჟის კურსი, თავის კანის მკვებავი კრემები, ლოსიონი და მცენარეული შამპუნი; ჯანსაღდება თმის ძირები; იკურნება კანის ქავილი, დაჭიმულობა, ძვრტილი. აბრეშოვ ბთავაზობთ:

1. ჭარბთიანოზისგან განკურნება უახლესი საფირმო საშუალებებით: კრემი, რკე.
2. უნივერსალური ღღისა და ღამის კრემები, სახის გამწვანელი რკე.
3. ზილის და ნიღების მოსაყილაელი მცენარეული ლოსიონი.
4. გახდომა უღიბოდ, მხოლოდ სამკურნალო მცენარეების საშუალებით.
5. ღრძილების სამკურნალო სავლები (ანთება, დანევა, მტკივნეული და სისხლმდანი ღრძილები).
6. ბუნაილის სამკურნალო მალამო და ლოსიონი.
7. სველების ნეოთები (აქლიერებს ფილბვებს, ასუფთავებს ბრონქებს).

მეუზაობთ ყოველდღე 10-18 სთ-მდე კვირის გარდა მის: ჭავჭავაძის 5, ვაკის ლეჩკოვინატი „მეშენიერების ცენტრი“ – „შროშანის“ კაბინეტი.

☎ 25 00 74



დასაწყისი იხ. გზა №38-40

იგორს სახლში ნამტირალევი, თვალეზღაწითლებული ია დახვდა.

- რა მოხდა? - შეშფოთებული შეეკითხა დას.

- არაფერი, - მოკლედ მიუგო და ავეჯიდან მტკრის გადაწმენდა დაიწყო.

- მითხარი სიმართლე, რა მოხდა? რამე ხომ არ გაწუხებს! - არ ეშვებოდა იგორი.

- არაფერი... - ცრემლები წამოუვიდა იას, თავი ვეღარ შეიკავა, ხმაძალდა ატირდა და სახე ხელებში ჩარგო.

იგორი მიუახლოვდა, თავი მალა ააწვეინა.

- მითხარი, რა ხდება, თორემ გავგიჟდები!

- რა უნდა ხდებოდეს... უპატრონო... არავის უნდა... - ქვითინებდა გულამომჯდარი.

- ვერაფერი გაკვივ. მოდი, დამშვიდდი და დალაგებულად მომიყვი, - იგორი სამზარეულოში გავიდა და ჭიქით წყალი მოიტანა.

- დალიე, - მიაწოდა დას, - დაწინარდი და მომიყვი დაწვრილებით, - არ ეშვებოდა იგორი.

- მე და გეგას, ერთმანეთი გვიყვარს. გეგას ჩემი ცოლად მოყვანა უნდა. მშობლები კი წინააღმდეგები არიან. გეგა არ დაემორჩილა მათ. ბინის დაქირავებას აპირებს... მე ვუარობ. სხვისი ცხოვრების დანგრევა არ მინდა. ჩემი მოყვანით მშობლებს დაკარგავს...

- გიცნობენ ბიჭის მშობლები?

- კი, რამდენჯერმე ვიყავი მათთან სახლში, ამხანაგებთან ერთად... როდესაც შეამჩნიეს, მე და გეგას ერთმანეთისადმი როგორი დამოკიდებულება გვქონდა, გამომკითხეს, ვინ არიან შენი მშობლები, სად ცხოვრობო... სინამდვილე დაუმალე და ვუთხარი, რომ ობლები ვართ... რომ მე და შენ ვარკეთილში, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ... დედამისმა ტუჩი აიბზუა. ოთახიდან გავიდა და აღარც შემოუხედავს. გეგა ლამის გადაიროია.

- სად ცხოვრობენ? - ყრუდ იკითხა იგორმა.

- ვაკეში, ნაფარეულის ქუჩის ბოლოს, წითელი აგურის სამსართულიან სახლში.

- რა გვარია გეგა?



თინა დალაქიშვილი

ლადო ნაპირელი

ზვანოცი

- ნემსაძე.

- კარგი, ნუ ტირი - არც ისეა საქმე, როგორც შენ გგონია. ყველაფერი კარგად იქნება, - ჩაფიქრებულმა იგორმა სამზარეულოს მიამართა.

ჩაიდანს ხელი მიაღო - ცხელი იყო თუ არა. ჭიქა გადმოიღო და ჩაი დაისხა.

კარგა ხანს იჯდა გარინდებული. ფიქრებში ჩაძირული ნელ-ნელა სვამდა ჩაის.

„ანზორს ვკითხავ, როგორ მოვიქცე. ახლობელი სხვა არავინ მყავს. იქნებ მან დამარიგოს, როგორ დავეხმარო იას!“

ჭიქა მაგიდაზე დადგა. ოთახში შევიდა. საკიდრიდან ტანსაცმელი ჩამოსხსნა.

- სად მიდიხარ? - შეეკითხა ია.

- ამხანაგს უნდა შევხვდე, საქმე მაქვს.

სწრაფად გავიდა ბინიდან, მობილურზე ნომერი აკრიბა.

- გამარჯობათ, ბატონო ანზორ, როგორ გიკითხოთ?.. თქვენი ნახვა მინდა... გმადლობთ, ახლავე მოვიდევარ.

მობილური ქამარზე დაკიდულ ბუდეში ჩაღო და კიბეზე სწრაფად დაეშვა.

ანზორი დათქმულ დროს მივიდა. ექვს საათზე მისი მანქანა გამოჩნდა. იგორი კარგა ხანია ელოდებოდა, სახლში ვეღარ გაჩერდა და ერთი საათით ადრე მივიდა დანიშნულ ადგილზე.

- როგორი მადლობელი ვართ თქვენი, ბატონო ანზორ, როგორ... - ენა დაება იგორს.

- კარგი, კარგი! ადამიანი იმით ფასობს, როცა სხვას გაჭირვებაში გვერდით უდგას. ვიცი, დის მეტი ამ ქვეყანაზე ახლობელი არავინ გყავს... რომელ სართულზე ცხოვრობენ?

- მეორეზე.

- ბიჭი ინსტიტუტში იქნება, არა?

- კი, - დაუდასტურა იგორმა.

- შენ მანქანაში დამელოდე. თუ საჭირო იქნება, დაგიძახებ.

იგორი მანქანაში ჩაჯდა. ანზორი შენობისკენ წავიდა და კიბეს ნელა აუყვია. ხის მიმე კარზე პატარა სპილენძის ტრაფარეტი ეკიდა, რომელზეც ეწერა: ნემსაძე ნ.ტ.

ანზორმა ხარის დილაკს თითი დააჭირა. ჩიტის ჭიკჭიკის მსგავსი ხმები გაისმა. ფეხის ხმა მოახლოვდა. საეკეტმა გაიჩხაკუნა და კარი გაიღო. ანზორის წინ „ბიგულებიანი“ ქალი იდგა.

- ვინ გნებავთ? - შეეკითხა სახლის პატრონი.

- მე... თქვენი სახელი, ქალბატონო?

- თამარი, - დაბნეული მიაჩერდა მოსულს.

- ქალბატონო თამარ, თქვენთან და თქვენს მეუღლესთან დალაპარაკება მსურს. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შემოვალ...

ქალი გაოცებული უცქერდა ანზორს. გაკვირვებისაგან წვრილად ამოქნილი წარბები მალდა ახიდა.

- ნოდარ! - უსიამო წვრილი ხმით დაიძახა, - მოდი ერთი წუთით. კარში მალალი, წარმოსადგევი მამაკაცი გამოჩნდა.

- რაშია საქმე? - იკითხა მან.

- ჩვენთან საუბარი სურს ამ მამაკაცს, - მეუღლეს გაკვირვებული თვალეზღებით გადახედა.

- მობრძანდით, მობრძანდით... - შეიპატიჟა დაუპატიჟებელი სტუმარი ნოდარმა, - დაბრძანდით - დივანზე მიუთითა და იქვე მდგარ სავარძელში ჩაეშვა. - რაზე გსურთ საუბარი?

– გეგას და იას თაობაზე...
– აჰ, თქვენ იას ნათესავი ბრძანდებით?

– არა... ოჯახის მეგობარი ვარ. იას მშობლები ადრე დაეღუპა და და-ძმის მეურვეობა მე ვიკისრე. მართალია, ძალიან ხშირად ვერ ვაკითხავდი... რუსეთში ვმუშაობდი, – დაუმატა, – მაგრამ უყურადღებოდ არ მიმიტოვებია...

– მე ამ საკითხზე საუბარი არ მსურს, – გაწიწმამდა ქალბატონი თამარი, – არ გეწყინოთ, ბატონო, მაგრამ ობოლს, ცარიელ-ტარიელს ოჯახში ვერ შემოვუშვებ. ჩემი გეგა კარგი ოჯახის შვილის ღირსია...

ანზორმა თვალი მოავლო ავეჯით და ჭურჭლით გადაჭედებულ ბინას, დაფარული ირონიით ჩაიღიმა და თამარს მიუტრიალდა:

– რა იცით, რომ ია ცუდი ოჯახის შვილია?!

– არა, ბატონო! ამდენი ხანი მართლ ცხოვრობდა და-ძმა და რა ვიცი... ზოგიერთები წესიერ ოჯახებში იზრდებიან და მაინც ცუდ გზას ადგებიან, უპატრონოდ გაზრდილს რა მოეკითხება...

– დაწყნარდი, თამარ, ნუ ნერვიულობ, – ამშვიდებდა ნოდარი მეუღლეს.

– ქალბატონო თამარ, უპატრონო და ცარიელ-ტარიელი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, არ გეგონოთ ია. ძმა მშვენივრად პატრონობს. იასთვის ბინის ფულიც აქვს მოგროვილი. მერეც არაფერს მოაკლებს დას. ათი ათასი დოლარი მისთვისა აქვს ნაგროვები. ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაც მთავარია, ის გვაეციწყლება: ახალგაზრდებს ერთმანეთი ძალიან უყვართ. რატომ უნდა დაუნერვიოთ ბედნიერება, ვინ მოგვცა ამის უფლება?! ჰო, როგორც გითხარით, იას არც მერე მოაკლდება რამე. იგორს ერთადერთი და ჰყავს და მასზეა გადამკვდარი. აი, ეს საჩუქარიც მან გამოგიზავნათ.

ბიჯაკის ჯიბიდან წითელი ხავერდის კოლოფი ამოიღო და თავსახური ახადა. ხავერდზე ბრილიანტის ბეჭდები და საყურეები აბრჭყვიალდა.

ქალბატონ თამარს განცვიფრებისგან სახე მოედრიცა. ხელები გაშალა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

– ეს... ეს... – დაიბნა ქალი, – მე?..

– დიას, თქვენ. ძალზედ დაგამშვენებთ, – ქათინაური ესროლა ანზორმა.

ქალმა კოლოფი გამოართვა და

კარგა ხანს ატრიალა ხელში. ძვირფასი თვლების ციალმა დაატყვევა.

– რა ვქნათ, თამარ? – ძლივს ამოილაპარაკა ნოდარმა.

– ჯერ ვნახოთ, გეგა რას იტყვის...

– ქალო, ნუ გამაგიჟე! გეგამ რა უნდა თქვას – ის იას მოყვანას ჩვენი თანხმობის გარეშეც აპირებს!

– გეგა აპირებს მოყვანას, მაგრამ ია თქვენი თანხმობის გარეშე, უარზეა, – ნიშნის მოვებით თქვა ანზორმა.

– ჭკვიანი გოგონა ყოფილა – გაპრანჭული ხმით ჩაილაპარაკა ქალბატონმა თამარმა, – არა, ჩვენ განა უარზე ვიყავით. უბრალოდ, სანამ გეგა მას მოიყვანდა, გვინდოდა, უფრო ახლოს გაგვეცნო...

ანზორი აღარ უსმენდა. იგი მიხვდა, რომ ნემსაძეები „დააბა“. „ყველას თავის ენაზე უნდა ელაპარაკო, – ფიქრობდა, – ფული და ბრილიანტი... ჰმ, რამხელა ძალა აქვს... ოღონდ გააჩნია, ვისთვის“ – დააყოლა გულში ანზორმა, ღიმილით დაემშვიდობა მასპინძლებს და მანქანისკენ გაემშურა, სადაც მოუთმენლად ელოდა იგორი.

შუალამისას ზარის ხმა გაისმა. იგორმა თვალები გაახილა, საწოლიდან სწრაფად წამოდგა და სკამიდან მობილური აიღო. „ვინ უნდა იყოს ამ შუალამისას?“ – დაფიქსირებულ ნომერს დააკვირდა. უცნობი აღმოჩნდა.

– გისმენთ! – ჩუმად იკითხა, ფეხები ფლოსტებში წაყო და სამზარეულოსკენ წავიდა. მობილური გაითიშა. საკუთარ თავზე გაეცინა: ვერაფრით მიეჩვია მარტოობას. ახლაც, ია აქ ეგონა და ჩუმად ლაპარაკობდა.

ისევ გაისმა ზარის ხმა. იგორმა დილაკს თითი დააჭირა.

– გისმენთ, – ხმაში მოუთმენლობა შეერია.

– ნარკოლოგიური დისპანსერიდან გირეკავთ, თუ შეგიძლიათ, მობრძანდით. დედათქვენი შეუძლოდა. – რა მოუვიდა?

– ადგილზე გაივებთ.

– ახლავე მოვივარ, – გონებაში უამრავი კითხვა აერია. „რა მოუვიდა? ახლახან ვნახე, კარგად გამოიყურებოდა...“

სწრაფად ჩაიცვა ტანსაცმელი, ქურთუკს ხელი წამოავლო. ჩაბნელებული სადარბაზოს კიბეზე ხელის ცეცებით დაეშვა. ქუჩაში გავიდა. ირგვლივ სიბნელე იყო. ღრუბლებს მიფარებული მთვარე ოდნავ ანათებდა.

და.

ტაქსების სადგომისაკენ გაიქცა. გზადაგზა იცვამდა ქურთუკს. სიცივისგან ჟრუანტელმა დაუარა.

ბედად ერთი ტაქსი დახვდა. მობილურზე საათს დახვდა. ოთხი ხდებოდა.

– თავისუფალი ხართ? – მიუახლოვდა ტაქსის მძღოლს.

– კი, ბატონო, დაბრძანდით, – კარი გაუღო იგორს, – საით მივდივართ? იგორმა მისამართი უთხრა.

– ო, შორია... ცოტა ძვირი ეღირება...

– ფასზე მოვრიგდებით, – გააწყვეტინა იგორმა, – ტემპში უნდა მიმიყვანო...

როდესაც მძღოლს ყოყმანი შეატყო, ანზორის ნაჩუქარი საფულიდან ათდოლარიანი ამოიღო და მუხლებზე დაუგდო.

მანქანის პატრონმა აუჩქარებლად აიღო ფული და ჯიბეში ჩაიციურა.

– წავედით, – თქვა და გასაღები გადაატრიალა.

ცარიელ ქუჩებში მანქანა დიდი სიჩქარით მიქროდა. 15 წუთში დისპანსერთან იყვნენ.

იგორი მძღოლს დაემშვიდობა და ნარკოლოგიურის რკინის ჭიშკარს მიუახლოვდა. დაკეტილი დახვდა. მაგრად დააბრაუნა.

ჯიხურიდან ნამძინარევი დარაჯი გამოვიდა.

– კარი გააღე! ექიმმა გამომიძახა...

– თქვენი გვარი?

– სტრელცოვი.

დარაჯი ჯიხურში შევიდა, საკანცელარიო ჟურნალში ჩაიხედა. შემდეგ მძიმე რკინის კარი გააღო და იგორს უთხრა:

– შემოდი, პირდაპირ იარე – მიმდები. იქ აგიხსნიან, სად უნდა წახვიდე.

იგორი სწრაფი ნაბიჯებით წავიდა შენობისაკენ.

– თქვენ გლუშკოვას ახლობელი ხართ? – შეეკითხა მიმდებში ჭადარათმიანი ქალი.

– კი.

– მე-14 ოთახში შებრძანდით, ექიმი გელოდება.

– რა ხდება, ხომ არ იცით? – შეეკითხა იგორი.

– არ ვიცი... ბატონი ოთარი გეტყვით ყველაფერს. პირდაპირ, ბოლო ოთახი.

იგორი მკრთალად განათებულ დერეფანს მიუყვებოდა. ორი სიტყვა ბურღივით უტრიალებდა თავში: „რა

მონდა? რა მონდა...“

კაბინეტს მიუახლოვდა. კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით, — მოისმა შიშნადან. — შეიძლება? — კარი შეაღო იგორმა.

— თქვენ გლუშკოვას შვილი ხართ, არა?

— დიახ!

ლაფერი ჰალუცინაციების ბრალია?

— კი, სწორად გამოვეთ...

— შეიძლება ვცდები, მაგრამ მე მგონია, რომ დედაჩემმა შეგნებულად მოიკლა თავი...

— ნაკლებად დასაშვებია... — გაუბედავად ჩაილაპარაკა ექიმმა.

იგორი წამოღგა.

ყელში, თითქოს, რაღაცა წაუჭირეს, ჩაგუბებული ტირილი ახრჩობდა.

— მაპატიე, დედა, — ცრემლი ღვარად წამოუვიდა და ქვითინი აუვარდა. — მაპატიე, რომ მიგატოვე... მაპატიე, რომ შენი ტკივილი ვერ ვიგრძენი, მარტო დაგტოვე... მაგრამ იასაც ხომ მიხედეა უნდოდა. ცოლო იყო...

კარგა ხანს იღგა ასე და ჩუმად მოთქვამდა.

ზარის ხმა გაისმა. იგორი კარის გასაღებად გაემართა. ია იქნება, — გაიფიქრა, — რა მალე მოვიდა.

სამზერში გაიხედა. დის შეშფოთებული სახე დაინახა. კარი გააღო. ნაძალადევად გაიღიმა. ია შეშფოთებული უცქერდა მძას.

— რა ხდება? რატომ დამიბარე ასე დილაადრიანად? — ჰკითხა იგორს.

— ია... შემოდი... გაიხადე ლაბადა... — სევდიანი თვალებით უმზერდა დას, — დედა აღარ არის...

— როგორ? — დაიბნა ია, — საიღან, ვინ გითხრა?

— ნარკოლოგიური დისპანსერიდან შემატყობინეს. სულ ცოტა ხანია, იქიდან დავბრუნდი... მესამე სართულის ფანჯრიდან გადახტა...

— ვინ?.. შენ მიიყვანე სამკურნალოდ? — მძას ხელები შემოხვია და აქვითინდა, — შენ სულ სხვა გულის პატრონი ხარ... შენ... შენ... არ მიატოვე დედა... — სიტყვა ველარ დაამთავრა, ქვითინი წასკდა.

— დაწყნარდი, დაწყნარდი, — თავზე ხელს უსვამდა იგორი.

— მე როგორ უნდა მოვისვენო?! მთელი ცხოვრება მიმიე ჯვარი უნდა ვზიდო... ქვის გული მქონია... როგორი აუტანელი იქნებოდა მისთვის ჩემი... ღალატი...

— დაწყნარდი. მე და შენ უნდა გავაცილოთ უკანასკნელ გზაზე... გეგას... არაფერს ეტყვი ალბათ, — უთხრა იას, — მან ხომ არაფერი იცის მის შესახებ...

იამ დამნაშავესავით ჩაღუნა თავი. — იგორ, მე წავალ: გეგა მძინარე დაგტოვე. წერილიც კი არ დამიტოვებია. სადა ვარ, არ იცის. სათანახევარში შევხვდეთ, — თქვა და მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: ბოლო გზაზე მაინც აღარ მივატოვებ დედას...

— მობრძანდით, დაბრძანდით, — სავარძელზე მიუთითა და პაუზის შემდეგ უთხრა: ცული ამბავი უნდა გაუწყოთ...

იგორს სახე დაეძაბა. ხელები სავარძლის სახელურებს მაგრად ჩასჭიდდა.

— დედათქვენი ღამის ორ საათზე პალატიდან გამოიპარა, მესამე სართულზე, ერთ-ერთი ექიმის კაბინეტში შევიდა, ისარგებლა იმით, რომ ოთახში არავინ დახვდა, ფანჯარა გააღო და... გადახტა... — ექიმმა გაუბედავად შეხედა იგორის გაქვავებულ სახეს...

— ალკოჰოლის სისტემატურად მიღებამ დაუზიანა ნერვული სისტემა, რამაც, თავის მხრივ, ავადმყოფის ფსიქიკური დეგრადაცია გამოიწვია. ავადმყოფობის ამ სტადიაში მხედველობის, სმენის, ყნოსვის ფუნქციები ირღვევა... კარგავენ რეალობის აღქმის უნარს... შესაძლებელია, რომ ამან გამოიწვია ასეთი ქმედება... ნახევარი საათი იცოცხლა. მრავალი მოტეხილობა, თავის ქალის მძიმე ტრავმები აღენიშნებოდა. სამწუხაროდ, ცოცხალს ვერ მოუსწარიტ... — ხელები გაშალა ექიმმა.

— ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, ყვე-

— სად შეიძლება მისი ნახვა? — პალატაშია... მიგაცილებთ, — წამოღგა ბატონი ოთარი.

— მაღლობთ.

ექიანიკურად მოძრაობდა. ექიმს უკან მიჰყვებოდა. სხეული საოცრად დამძიმებოდა. ფეხებს ძლივს ადგამდა. ექიმმა პალატის თეთრად შეღებილი კარი შეაღო.

— აქეთ მობრძანდით, — უთხრა და თვითონ გვერდზე გადაგა, — აქ დაგელოდოთ?

უარის ნიშნად იგორმა თავი გააქნია. მძიმედ შევიდა პალატაში. საწოლზე დედამისი იწვა, მოკლე, რუხი ღამის პერანგი ეცვა. საოცრად გამზღარი, დაპატარავებული მოეჩვენა. საფეთქელთან და ყვრიმალთან დიდი ლურჯი ლაქა ჰქონდა. ფეხებიც სისხლჩაქცევებით აჭრელებოდა.

იგორს თვალები ცრემლით ავესო. „მიმატოვე და წახვედი. არა — გამექეცი! როგორ გთხოვდი, ერთად ვყოფილიყავით... შენ კი არ მონილომე... ვერ გაუძელი სიცოცხლეს, რომელიც წამებად გექცა. ნახვამდის, ალბათ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს... იქ...“

დაიხარა და ხელზე მოეფერა.

დასასრული შემდეგ ნომერში

გვინეტ პლეტრუხ კბრქსპბრდრნფტბმჲ სრქს

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობ გვინეტ პლეტრუხს ჰოლივუდში ძალიან კარგი იმიჯი აქვს, ის თურმე გამუდმებით სხვაგვარ ცხოვრებაზე ფიქრობს, სახელდობრ – სამხედრო კორესპონდენტობა იზიდავს...

„შეყვარებული შექსპირის“ ვარსკვლავი ამბობს, – სხვა პროფესიის არჩევის საშუალება რომ მქონოდა, მაშინვე დიდი სიამოვნებით გავუცვლიდი ადგილს კრისტინ ამანპურს – CNN-ის გამოცდილ სამხედრო კორესპონდენტსო.

ჯერ კიდევ 11 სექტემბრის ტერაქტამდე 29 წლის პლეტრუხ CNN-ის ჟურნალისტით აღფრთოვანებული იყო და მას „ბრწყინვალეს და სექსუალურს“ უწოდებდა.

ამჟამად ამანპური პაკისტანში იმყოფება და CNN-ის მკვრებლებს იქიდან აწვდის ინფორმაციას ავღანელ თალიბებთან აშშ-ის ბრძოლის შესახებ.



თელ კლინგბმჲ სმრნჲ დჲჲბტგჲ



ბრიტანელი მომღერლის ფილ კლინგზის მუსიკალური კარიერა დასასრულს უახლოვდება. ამის მიზეზი მარცხენა ყურის დამბლა გახდა. 11 თვის წინ ლოს-ანჯელესში საქმიანი შეხვედრის დროს მომღერალი მოულოდნელად დაყრუვდა. „ეს ნამდვილი შოკი იყო ჩემთვის, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ექიმებმა ამას „ყურის დამბლა“ უწოდეს. ეს ძალიან იშვიათი დაავადებაა“ – აღნიშნა ფილმა.

ექიმებმა დღეისთვისაც ვერ შეძლეს ზუსტი დიაგნოზის დასმა და უეცარი დაყრუების მიზეზის დადგენა. საბედნიეროდ, აღნიშნული შემთხვევიდან რამდენიმე თვეში კლინგზს სმენა ნაწილობრივ დაუბრუნდა, მაგრამ მუსიკასთან გამოთხოვება მას ალბათ მაინც მოუწევს. ჯანმრთელობასთან

დაკავშირებით გაჩენილმა პრობლემებმა მომღერალი აიძულა, თავისი ცხოვრებისთვის გადაეხედა. ამჟამად ის მეტ დროს ატარებს ოჯახთან ერთად, რაშიც ისიც უწყობს ხელს, რომ მას ექვსი თვის ვაჟი – ნიკოლასი ჰყავს: წლეულს აპრილში ფილი მეოთხე შვილის მამა გახდა.

ჯრბი ჰბლირქლმჲ ინგლისელი ჯჲბისჯჲცქმის მზჲდყბთრნჲ შჲჲმბრქმჲ

ომანში გამართული კონცერტის დროს, ჯერი ჰოლიუელმა პირადად შეამოწმა ბრიტანელი სამხედროების ფიზიკური მომზადების დონე. მისი გამოსვლის დროს ერთ-ერთმა მოსამსახურემ თავისი ფიზიკური მონაცემების მომღერლისთვის ორიგინალური ფორმით დემონსტრირება სცადა: აჭიმვისას, ზურგზე ჯერი ჰყავდა შემოსმული. კონცერტის ორგანიზატორთა გადმოცემით, ჯერის კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა და ჯარისკაცთა საბრძოლო განწყობა გააძლიერა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ომანში ყოფნისას, ჰოლიუელმა არმიის ჩინოსნები თავისი პრეტენზიულობით გააოცა...



მიბტკი ლბრდბრნის სჲმეოტბ ბპქბჲში იბლქბქმს

ისლანდიელმა მომღერალმა ბიორკმა დაადასტურა ინფორმაცია – რომ ლონდონის სამეფო ოპერაში აპირებს გამოსვლას. ის პირველი პოპ-შემსრულებელი იქნება, რომელსაც საოპერო ხელოვნების წმიდათაწმიდა ადგილას სიმღერის ნება დართეს. კონცერტის გამართვა 16 დეკემბრისთვის არის დაგეგმილი.

ცოტა ხნის წინ ბიორკმა ორი კონცერტი გამართა ლონდონში: 29 აგვისტოს ის ST JOHN`S SMITH SQUARE-ში გამოვიდა, 23 სექტემბერს კი – თეატრში THE COLISEUM. მომღერალმა დიდი დრო დაუთმო გასტროლებს, რომლის მიზანი, ახალი ალბომის – VES-



PERTINE-ის რეკლამირება იყო. შოუს გასამართავად იგი უჩვეულო ადგილებს – ტაძრებსა და თეატრების დარბაზებს ირჩევდა. სამეფო ოპერაში ბიორკის შესაძლო გამოსვლის შესახებ ცნობები პრესაში ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გავრცელდა. დეტალურად მომავალი კონცერტის შესახებ ჯერ ბევრი რამ არ არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ლონდონის სამეფო ოპერის დარბაზი, ხანგრძლივი რემონტის შემდეგ, 1999 წლის დეკემბერში გაიხსნა. საინტერესოა ისიც, რომ მისი განახლება 200 მლნ გირვანქა სტერლინგი დაჯდა.

ფხანჯფუხის ჰემიეხები

„ავტომობილის სიბლი“ — ასეთი იყო ყოველწლიური ტრადიციული ავტოშოუს — ფრანკფურტის საავტომობილო გამოფენის ლოზუნგი, რომელზეც, სპეციალისტთა აზრით, ევროპელთა პოტენციური „ნებიერები“ — ახალთახალი FORD FIESTA და VW POLO ბრწყინავდა.

ბუნებრივია, რომ ფრანკფურტში „პირველი ვილინოს“ პარტიას გერმანული კონცერნები ასრულებენ. ეს მათი საგამოფენო პავილიონების უზარმაზარ ფართობებშიც ვლინდება და იმ ავტოსიახლეთა რაოდენობაშიც, რომელთა შორისაც, მწარმოებლებმა არაერთი სერიული მოდელიც წარმოადგინეს.

პრაქტიკოს ევროპელ კლიენტს, რომელიც ხარისხიან ნაწარმს არის ჩვეული, „ფოლკსვაგენი“ ორ პოტენციურ ბესტსელერს — VW POLO-სა და SKODA SUPERB-ს სთავაზობენ. ეს ავტომობილები გამოირჩევა სალონის მოპირკეთებისთვის გამოყენებული ძვირფასი მასალით, კონსტრუქციების სისადავით, გაზრდილი უსაფრთხოებითა და ე.წ. პროპორციული, სხვადასხვა გემოვნების კლიენტისთვის მისაღები, „საშუალებლო“ დიზაინით.

თუმცა, ბევრს მიაჩნია, რომ სტანდარტული სილამაზით აღფრთოვანება მაინც შეუძლებელია, ამიტომ სხვა კომპანიების სტილისტები, რომლებიც წინათ სწორედ „ფოლკს-



ვაგენს“ ბაძვდნენ, ახლა ცდილობენ, მეტად მიმზიდველი ავტომობილები შექმნან.

მათ რიგშია ახალი FORD FIESTA, რომლის სარეკლამო კლიპის ბედნიერი პერსონაჟები მღერიან: „ჩვენ ექსტრაორდინარულები ვართ!“ თუმცა, ეს უფრო მეტად, მაინც სარეკლამო ტრიუკია, ვიდრე სინამდვილე: „ფიესტა“ ზომ ჩვეულებრივი, „სწორპროპორციიანი“ ხუთკარიანი ჰენბეკია და ამის მიზეზად, ექსპერტები იმას მიიჩნევენ, რომ კომპანია თვითონვე ცოტა შეაშინა თავისმა მართლაც ექსტრაეაგანტურმა FOCUS-მა. „ფიესტას“ გაწონასწორებული დიზაინი იმ ევროპელებისთვის არის გამიზნუ-

ლი, ვინც „ჯიბით ფიქრობს“ და არჩევანი „ფიესტასა“ და „პოლოს“ შორის უნდა გააკეთოს. ამ წყვილის გვერდით კიდევ ერთი მანქანა — იტალიური FIAT STILO-ც დგას.

და მაინც, წლებანდელ ავტოშოუზე წარმოდგენილ მოდელთა შემქმნელებს მომხმარებელთა გაცემაზე ფიქრი არ დაევიწყნათ. მაგალითად, ძალზედ საინტერესო მეტამორფოზები განიცადა RENAULT-NISSAN-მა. როგორც ჩანს, ფრანგულმა კომპანიამ საბოლოოდ აირჩია დიზაინის მიმართულება, რომელსაც უახლოესი წლების მანძილზე უნდა გააჰყვოს. მართალია, მომავალ „რენოს“ მშვენიერს ვერ უწოდებ, მაგრამ მიმზიდველი ნამდვილად არის. ფრანკფურტში წარმოდგენილი RENAULT VEL SATIS-ი, პრაქტიკულად, SKODA SUPERB-ის „თანაკლასელია“, მაგრამ მისგან განსხვავებით, არატრადიციულ გადაწყვეტათა ფეიერვერკს წარმოადგენს.

ლუქსის კლასის მანქანებს შორის გამოირჩევა უახლესი CADILLAC CTS, რომელიც ექსტრაეაგანტურობისგან თავისუფალ, ულტრამოდურ მოდელს წარმოადგენს. მართალია, ამ პატარა „კადილაკის“ სერიულ გამოშვებამდე ჯერჯერობით დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ დადგება თუ არა კონვეიერზე, უმალ აუარებელ მომხმარებელს მიიზიდავს და, ექსპერტთა მტკიცებით, VEL SATIS-საც დაჯაბნის და



SUPERB-საც.

ამბობენ, ახალი „შვიდიანის“ შექმნისას, BMW-მ კოლოსალური ხარჯები გასწია, მაგრამ ეს ამაღ ღირდა: მიუნხენელ ავტომწარმოებელთა ფლაგმანი გარეგნულადაც შთაბეჭდავია და უახლესი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებითაც, რის გამოც, „მერსედესის“ ერთგულ თაყვანისმცემლებსაც მოაჯადოებს.

სპეციალისტთა აზრით, ე.წ. ოქროს შუალედს მაინც AUDI-ს დიზაინერებმა მიაგნეს. ბოლო 5 წლის მანძილზე, კონცერნ „ფოლკსვაგენის“ თოფ-მარკა, პრაქტიკული და

ორდინარული მანქანიდან, ჭეშმარიტად პრესტიჟულ „ვარსკვლავად“ იქცა, რომელსაც საკუთარი, სრულიად გამორჩეული სტილი აქვს.

ბუნებრივია, ფრანკფურტში წარმოდგენილი ავტოსიახლეები დიდი ხნის განმავლობაში იქნება საავტომობილო გამოცემათა მსჯელობის ობიექტი და ჩვენც დაუბრუნდებით ცალკეულ, ყველაზე საინტერესო მოდელებს.



FORD FIESTA



CADILLAC CTS



SKODA SUPERB

ერთგული პკითხველი

ოქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე გავიჭირდებით პასუხის გაცემა...

1. სახელგანთქმული მომადრაკის ნანა ალექსანდრიას შვილია საზომადროებისთვის ცნობილი პიროვნება:



- ა) გია ბარამიძე;
- ბ) მიხეილ სააკაშვილი;
- გ) გიგა ბოკერია.

2. კლინტონების ოჯახი წარმომოგვით:



- ა) ეგვიპტურია;
- ბ) სომხურია;
- გ) ირლანდიურია.

3. რომელი თეატრის მსახიობია თაზო თოლორაია?



- ა) პანტომიმის;
- ბ) თოჯინების;
- გ) კინომსახიობთა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ზოონოზური ინფექციები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი

ბრუცელოზი

ზოონოზური ისეთ ინფექციას ეწოდება, რომელიც ადამიანს ცხოველებისგან გადაეცემა. ბრუცელოზი სწორედ ასეთ ინფექციათა რიგს ეკუთვნის. იგი ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარდა ინფექციური პროცესისთვის დამახასიათებელი ინტოქსიკაციის მოვლენებისა, მას ახასიათებს რეაქციულ-ალერგიული ცვლილებებიც ორგანიზმში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ბრუცელოზის ქრონიკულ, ტალღისებრ მიმდინარეობას.

დაავადების გამომწვევია ბრუცელების გვარის ბაქტერიები, რომელიც კარგად იტანს დაბალ ტემპერატურას, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე და სადღეზინფექციო ხსნარების მოქმედებით, სწრაფად იღუპება.

ბრუცელოზი გვხვდება ყველგან, სადაც მეცხოველეობას მისდევენ. ინფექციის წყარო შეიძლება იყოს ძროხა, ღორი, ცხენი, ვირი, ძაღლი, ირემი, აქლემი და მრავალი სხვა ცხოველი, რაც ბრუცელოზის გლობალურ გავრცელებას განაპირობებს. ცხოველებში ბრუცელოზი აბორტს იწვევს.

ინფექცია გადადის 3 გზით:

- 1) ალიმენტური გზა – ამ დროს ადამიანი ავადდება დაავადებული ცხოველის თერმულად არასაკმარისად დამუშავებული რძისა და ხორცის პროდუქტების მიღებისას.
- 2) კონტაქტური გზა – გამომწვევი შეიჭრება დაზიანებული კანიდან და ლორწოვანიდან დაავადებული ცხოველის სისხლთან, შარდთან და განავალთან შეხების შემთხვევაში (დოლის დროს). კონტაქტური გზით დაავადების შემთხვევებია აგრეთვე ზოოპიკინური და სანიტარული პირობების დარღვევის დროს ტყავზე, მატყლზე მომუშავეთა და მონადირეთა შორის.
- 3) ასპირაციული გზა – როცა ავადმყოფი შეისუნთქავს ბრუცელოზის გამომწვევს.


ბრუცელოზი „სუფთა“ ზოონოზია. ავადმყოფი ადამიანისგან ადამიანი არ ავადდება. ამიტომ ავადმყოფის მოვლა სრულიად უსაფრთხოა.

ბრუცელოზს ძალზედ მრავალფეროვანი კლინიკური სურათი ახასიათებს. მიმდინარეობისა და ხანგრძლივობის მიხედვით განასხვავებენ ბრუცელოზის სხვადასხვა კლინიკურ ფორმებს.

ფარული ანუ ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 3 კვირას გრძელდება. ინკუბაციური პერიოდის შემდეგ იწყება დაავადება, რომელსაც ახასიათებს ტალღისებრი მიმდინარეობა, გამწვავებისა და ჩაწყნარების ფაზების მონაცვლეობა. ზოგჯერ გამოხატულია პროდრომული (წინაკლინიკური) ნიშნები: სისუსტე, უმადობა, უხალისობა და დაბალი ტემპერატურა.

დაავადების დასაწყისში გამოვლინდება სამი დამახასიათებელი ნიშანი: მაღალი ტემპერატურა, შემცივნება და ოფლიანობა. ტემპერატურა 39-40 გრადუსს აღწევს. მაღალი სიცხის მიუხედავად, ავადმყოფის საერთო მდგომარეობა (ნორმალური) შენარჩუნებულია, მას არ სჯერა თავისი სიცხიანი მდგომარეობის და განაგრძობს მუშაობას. მაღალი ტემპერატურული ცხელება 5-8 დღიდან რამდენიმე კვირამდე გრძელდება, შემდეგ ტემპერატურა თანდათან ნორმას უბრუნდება და მყარდება რემისია (ჩაწყნარება). უსიცხო პერიოდმა შესაძლოა, გასტანოს 1 კვირიდან 1,5 თვემდე და შემდეგ ისევ განახლდება ცხელება (ტემპერატურის მომატება). ასეთი განმეორებითი შეტევები 3-5-ჯერ, იშვიათად – მეტჯერაც შეიძლება განმეორდეს. ცხელებასთან ერთად, ტალღისებრი მიმდინარეობა ახასიათებს თვით დაავადებასაც.

ტემპერატურის მომატებასთან ერთად, ავადმყოფთა უმრავლესობას ეწყება შემცივნება, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე საათს გრძელდება. ბრუცელოზის ადრეული ნიშანია ოფლიანობა (ავადმყოფი „ოფლში ცურავს“), რომელიც მთელი დაავადების პერიოდში ნარჩუნ-



დება. ამ სიმპტომების გარდა, ავადმყოფს აღენიშნება კუნთების ტკივილი, სახსრების ტკივილი და ანთება, ლიმფური კვანძების გადიდება; წნევა ქვეითდება, აგრეთვე დაქვეითებულია კუჭის სეკრეცია და გადიდება ღვიძლი. ბრუცელოზი აზიანებს თავის ტვინის სისხლძარღვებს. ნერვული სისტემის მხრივ, გამოხატულია თავის ტკივილი, აგზნებადობა, უძილობა. მძიმე შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს ბრუცელოზური მენინგოენცეფალიტი.

ბრუცელოზი ადამიანებში სიკვდილიანობას არ იწვევს, იგი პრაქტიკულად გამოჯანმრთელებით მთავრდება, მაგრამ უმკურნალებელ შემთხვევაში, ინფექცია შესაძლოა, ისევ გააქტიურდეს.

დიაგნოზს ადასტურებს სისხლის სეროლოგიური რეაქციები – სისხლიდან ბრუცელების ამოთესვა.

სამკურნალოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები (ლევომიცეტინი, ტეტრაციკლინი, ოლეტეტრინი, რიფამპინი), ბრუცელოზის საწინააღმდეგო პოლივალენტური ვაქცინა.

ადამიანის ბრუცელოზის პროფილაქტიკის რადიკალური საშუალებაა ცხოველებში ამ დაავადების აღმოფხვრა.

თაფლი

თირკმლის დაავადებები

სამედიცინო ლიტერატურაში სულ უფრო ხშირად გვხვდება ცნობები თირკმლის დაავადებების სამკურნალოდ თაფლის გამოყენების დადებითი შედეგების შესახებ. ამ დაავადებათა დროს თაფლის ეფექტურობა განპირობებულია მასში ცილის ძალიან დაბალი შემცველობით, ან არარსებობით და გამოყოფი სისტემისათვის მნიშვნელოვანი სამკურნალო ნივთიერებებით. თაფლში შემავალ ვიტამინებს, უმთავრესად C-ს და P-ს, დიდი მნიშვნელობა აქვს თირკმლის მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების სამკურნალოდ. თაფლის ანტიბაქტერიული ნივთიერებები ახდენს მადეზინფიცირებელ მოქმედებას პათოგენურ ფლორაზე. თირკმლების დაავადებების დროს დარღვეულია ნორმალური დიურეზი (შარდის გამოყოფა) და ორგანიზმის ცხოველქმედების პროდუქტების — ტოქსიკური ნივთიერებების გამოყოფაც ქვეითდება. თაფლის რთული შემადგენლობა და, უპირველეს ყოვლისა, მასში შემავალი გლუკოზა და ვიტამინები, განპირობებს დიურეზის გაუმჯობესებას და შხამების გამოყოფას ორგანიზმიდან. გლუკოზა ადვილად ათვისებადია და არეგულირებს სისხლსა და ქსოვილებში ოსმოსურ წნევას, რომელიც დარღვეულია მწვავე ნეფრიტების დროს.

თირკმლის დაავადებების დროს რეკომენდებულია თაფლის, როგორც სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალების მიღება 80-120 გ დოზით დღეში. ზოგი ექიმი გვირჩევს მის მიღებას ლიმონის, ასკილის წვეთთან ერთად. თირკმლების სამკურნალოდ ყველაზე ეფექ-



ტურია წაბლისა და მინდვრის ყვავილების თაფლი.

მაგალითი: ავადმყოფი ი. ჭკადუა, 42 წლის. გასული წლის აგვისტოში იავადმყოფა გრიპით, რომელიც გაურთულდა მწვავე ნეფრიტით. იმკურნალა საავადმყოფოში ერთი თვის განმავლობაში, მაგრამ უშედეგოდ. დაკარგა მადა, ჰქონდა უძილობა, გრძობდა ტკივილს გულის არეში და სისუსტეს. უჭირდა მოძრაობა. საავადმყოფოდან გამოეწერა და აგრძელებდა მკურნალობას შინ.

ავადმყოფმა ისურვა თაფლოთერაპიის ჩატარება. მას დაენიშნა 30 გ თაფლი 5-ჯერ დღეში ლიმონის, სტაფილოს, ხილის წვენებთან ან ასკილის ნაყენთან ერთად.

ორი თვის შემდეგ ავადმყოფი წერდა: „მეორე თვეა, რაც ვიღებ 30 გ თაფლს 5-ჯერ დღეში, დილა-საღამოს ლიმონის, ხოლო შუადღისას სტაფილოს წვენთან ერთად. სხვა წამლებს არ ვსვამ. ალბუმინი შემცირდა შარდში 1%-მდე, ერთროციტები და ლეიკოციტები გაქრა, შარდი ახლა გამჭვირვალეა. თავს კარგად ვგრძნობ. რა საშინელი დღეები გამოვიარე, რამდენი ანტიბიოტიკი მივიღე უშედეგოდ. ღამეები არ მეძინა, გულის ფრიალი მიშლიდა ლოგინში დაწოლასაც კი. მომიდუნდა კუნთები, კანი — თითქოს 80 წლის ბებერი ვიყავი. ამჟამად ისევ გამოვცოცხლდი, პულსი დამირეგულირდა, ძილი მომიწესრიგდა. ყველას, ვინც მნახულობს ახლა და ნანახი ვყავდი 4 თვის წინ, უკვირს, როგორ გამოვიცვალე ასე სწრაფად“.

განუხებთ თუ არა თირკმლები

ტესტი

1. დილით ადგომისას ხართ თუ არა შეშუპებული, განსაკუთრებით სახეზე?
2. გაქვთ თუ არა პერიოდულად ტკივილი წელის არეში?
3. გაქვთ თუ არა შარდის გამოყოფა შეცვლილი რაოდენობით (მომატებული — 2 ლ-ზე მეტი, ან შემცირებული — 0,5 ლ-ზე ნაკლები)?
4. გაქვთ თუ არა შეცვლილი შარდის გამოყოფის სიხშირე (ცახშირებული)?

5. გაქვთ თუ არა წვა შარდვის დროს?
6. განუხებთ თუ არა წნევა?
7. გაქვთ თუ არა მაღალი ქვედა ანუ გულის წნევა (დიასტოლური) — 100-ზე მეტი?
8. შეცვლილია თუ არა შარდის გამჭვირვალობა (მღვრიე შარდი)?
9. დარღვეულია თუ არა შარდვის რიტმი (ღამით შარდვა — ნიქტურია)?
10. გაქვთ თუ არა ენაზე ყავისფერი ნადებები?
11. გაქვთ თუ არა გაძლიერებული წყურვილის გრძნობა?

შეაჯამეთ ქულაზი

9-11 ქულა — თქვენ ნამდვილად განუხებთ თირკმლები. გამორიცხული არ არის თირკმლის უკმარისობაც. ასე რომ, დროზე მოაქციეთ ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობას.

6-8 ქულა — თქვენ გაქვთ თირკმლის ქრონიკული პათოლოგია.

3-5 ქულა — თქვენი თირკმლების ფუნქციის მოშლა ჯერ არც ისე მძიმეა, მაგრამ, უყურადღებობის შემთხვევაში, მდგომარეობა შეიძლება გართულდეს.

0-2 ქულა — ყოველი შემთხვევისათვის, მაინც ჩაიტარეთ შარდის პროფილაქტიკური გამოკვლევა. ■

პასუხისათვის „ღიას“ — 1 ქულა, „არა“ — 0 ქულა.

სამკურნალო მცენარეები

მოცვი

მოცვი ველურად მზარდი 15-40 სმ სიმაღლის ბუჩქია. გვხვდება ტყიან ზონებში, სადაც ზოგჯერ უზარმაზარ მასივებს ქმნის; აქვს გლუვი ღეროები, მოკლეყუნწიანი, თხელი და პრი-ალაზღვადპირიანი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, მცენარეზე ერთდროულად შეიძლება შეგხვდეთ პატარა მოვარდისფრო ყვავილები, უმწიფარი, მწვანე და მწიფე – მოშავო-მოლურჯო ნაყოფი. მცენარე მასში ყვავილობს, ხოლო ნაყოფს სექტემბრიდან იძლევა.

ნაყოფი ვაშლის ფორმისაა, პატარა და წვნიანი, მოკრეფისას სიფრთხილვა საჭირო, რომ არ დაიჭვლიტოს და აიზილოს ერთმანეთში. მოკრეფისთანავე გააშრეთ მზეზე, ჩრდილში ან ღუმელში. შეინახეთ ქაღალდის და ქსოვილის პარკში ან ხის ყუთში მშრალ ადგილას. ასე შენახული 2 წელი ძლებს და ჭია არ უჩნდება.

მოცვის ნაყოფი შეიცავს მთრიმლაკ (შემკვრელ) ნივთიერებებს, შაქრებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს, რკინას, C ვიტამინს. ის მსუბუქად შემკვრელი და დიეტური საშუალებაა. ეფექტურია მოცვის გამოყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ჰიპოკრომული ანემიის (სისხლნაკლებობა დაბალი ჰემოგლობინით და ფერადობის მაჩვენებლის დაბალი დონით) დროს.

ორგანული მჟავების მოქმედებით უმჯობესდება ნაწლავური ფლორა, პექტონური ნივთიერებები ახდენს ნაწლავური ტოქსინების აღსორცას (შთანქმას), მთრიმლაკი ნივთიერებები მოქმედებს ნაწლავის ლორწოვანი გარსის ზედაპირულ შრეზე.



იცავს მას გამღიზიანებლებისაგან, ამცირებს სეკრეციას, ანელებს პერისტალტიკას და აუბჯობესებს შეწოვის პროცესს. ამ თვისებების გამო, მოცვი გამოიყენება საჭმლის მონელების მწვავე და ქრონიკული დარღვევების, ფალარათის (კუჭის აშლა), დუდილის და ლპობითი დისპეფსიების, ენტეროკოლიტების (ნაწლავების ანთება), კუჭისა და თორმეტკვავას წყლულოვანი დაავადების, გასტრიტების (კუჭის ლორწოვანის ანთების) დროს.

მოცვის მიღებისას გვერდითი მოქმედებები არ აღინიშნება, მაგრამ ზოგიერთი ავტორის აზრით, მისი ბოროტად გამოყენება არ შეიძლება ნაწლავთა ატონიის (მოდუნების), სანადვლე გზების დისკინეზიების (ფუნქციური დარღვევების) დროს.

მოცვის წვენი ანტისეპტიკური და ანტიანთებითი თვისებები გამოიყენება პირის ღრუს და ხახის ანთებითი დაავადებების დროს ბავშვებში. მათ მოცვის წვენს ავლებენ პირში, ხახაში.

ნაყოფის ნახარში მზადდება შემდეგნაირად: 1-2 ჩაის კოვზ მოცვის ნაყოფს დაასხით 1 ჭიქა მღუღარე წყალი და მოხარშეთ.

იმავე პროპორციით მზადდება კისელი და ინიშნება კუჭის აშლილობის დროს, როგორც შემკვრელი. განსაკუთრებით ეფექტურია ბავშვებში.

სამკურნალო დანიშნულება აქვს მოცვის ფოთოლსაც, რომლის ნაყენი ან ნახარში რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტისას, რადგან მას ინსულინის მსგავსი მოქმედება ახასიათებს.



ერთი საღამოს სუფრა ხაჭაპური

მასალა ცომისათვის: 5 ჩაის ჭიქა ფქვილი, 1 ქილა მაწონი, 1 ქილა არაჟანი, 1 ჩაის კოვზი სოდა და ნახევარი ჩაის კოვზი ლიმონმჟავა, 2 სუფრის კოვზი ზეთი.

ყველის დამუშავება: 1 კილოგრამი

უმარილო ყველი გარეცხეთ. კარგად გაწურეთ, დაამატეთ 30 გრამი კარაქი და 5-6 კვერცხი (ცილიან-გულიანად), დაჭყლიტეთ, კარგად შეაზილეთ კარაქი და კვერცხი და გაყავით 5 ტოლ ნაწილად. ცომის მომზადება:

მაწონი და არაჟანი მოათავსეთ თასზე, ჩაყარეთ შიგ ლიმონმჟავა, აურიეთ და შემდეგ დაუმატეთ სოდა (თუ ლიმონმჟავა არ გაქვთ, მაშინ ძმარში გახსნილი სოდა) და 2 სუფრის კოვზი ზეთი, შეაზილეთ ფქვილი და დადგით თბილ ადგილზე 2 საათის განმავლობაში. გაფუებული ცომი დააგუნდავით, გაყავით ზეთ ნაწილად, გააბრტყელეთ, ჩაღეთ ყველი, მოუკარით ცომს თავი და გამოაცხვეთ ჰაერლუმელში. გამოღებისთანავე გადაუსვით კარაქი და მოათავსეთ ხის ფიცარზე. ცხელ ხაჭაპურებს ერთმანეთზე ნუ დააწყობთ.

ყექსი დარიჩინით

2-3 კვერცხი და 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი კარგად ათქვიფეთ თასში, შეუ-

რით 150 გრამი შერბილებული კარაქი, ჩაის ჭიქის მესამედი თაფლი, ჭიქანახევარი ცივი, ანადუღარი რძე, 1 ჩაის კოვზი გაცხილი დარიჩინი, 1 ჩაის კოვზი სოდა, ნახევარი ჩაის კოვზი ლიმონმჟავა ან 1 სუფრის კოვზი ძმარი. აურიეთ კარგად და შეაზილეთ 3 ჩაის ჭიქა გაცხილი ფქვილი. მიღებული ცომი მოათავსეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ ყალიბში და შედგით ჰაერლუმელში ნელ ცეცხლზე – 20-30 წუთის განმავლობაში. კექსს გაცივების შემდეგ მოაფრქვიეთ შაქრის პულერით.

ყავა ნაყინით

5 ჩაის კოვზი უნაღებო ყავა, 10 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი გახსენით 5 ჩაის ჭიქა წყალში და წამოაღლეთ. რომ შეგრილდება, შედგით მაცივარში. სუფრაზე მიტანის წინ ყოველ ფინჯანში მოათავსეთ 2 სუფრის კოვზი ნაყინი და შემდეგ დაასხით ყავა. ასეთი ყავა სასიამოვნო სასმელია კოქტეილის საწარუბით.



კითხვა: ვარ 45 წლის. შარშან დამეწყო ჩხვლეტები გულის არეში. ახლასან გადავიღე კარდიოგრამა და მითხრეს, რომ მაქვს სტენოკარდია. დამინიშნეს წამლები. მაინტერესებს, შეიძლება ჩემთვის ფიზიკური დატვირთვა, თუ სულ უმოძრაოდ უნდა ვიყო? (ძალიან მძიმე დატვირთვის დროს მეწყება ტკივილი, ხოლო მცირე დატვირთვისას ვერაფერს ვგრძნობ).

პასუხი: სტენოკარდიის შესახებ ჩვენს ერთ-ერთ წინა ნომერში ვისაუბრეთ. კონკრეტულ შეკითხვაზე კი გიპასუხებთ, რომ თქვენ, არამც და არამც, არ უნდა იყოთ უმოძრაოდ. მიიღეთ ექიმის მიერ დანიშნული წამლები რეგულარულად და ნუ მოერიდებით მსუბუქ ფიზიკურ დატვირთვას. მაგრამ, ამავე დროს, თავი აარიდეთ ისეთ დატვირთვას, რომელიც გამოიწვევს სტენოკარდიულ შეტევას. ეცადეთ, შეტევები რაც შეიძლება იშვიათი გახდეს, ხოლო თუ მაინც იგრძენით ტკივილი გულის არეში, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ყოველგვარი დატვირთვა და მიიღეთ ნიტროგლიცერინი, ვალიდოლი.

კითხვა: რა საშუალებები არსებობს ღრძილების ანთების სამკურნალოდ, გარდა ინიექციისა?

პასუხი: ღრძილების ანთება – გინგივიტი არ წარმოადგენს ადგილობრივ პროცესს. უზმირესად, იგი დაკავშირებულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან და ზოგად სისხლძარღვოვან პათოლოგიასთან. ამას ადასტურებს ისიც, რომ გინგივიტის დროს ინტენსიურად ლავება კბილებში ქვეები (ქვეების და მარილების წარმოქმნა ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგია) ღრძილებიდან გაძლიერებული სისხლდენა არ არის შედეგი მხოლოდ ანთებითი პროცესისა, არამედ იგი ზოგად ანგიოპათიურ პროცესთანაა დაკავშირებული. ამიტომაც, ადგილობრივი მკურნალობის ჩატარების შემდეგ, სულ მცირე დროში, ვითარდება დაავადების რეციდივი (განმეორება).

ორგანიზმის ზოგად დარღვევებს თან ერთვის ადგილობრივი ინფექცია და ანთება. საჭიროა მის წინააღმდეგ გარკვეული ზომების მიღება.

მკურნალობის დაწყების წინ აუცილებელია, გაიწმინდოთ კბილები ქვეებისაგან სტომატოლოგთან, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ანთებასთან ბრძოლა. ამის შემდეგ წესად უნდა აქციოთ, როგორც საჭმლის ჭამა, ყოველდღიურად პირის ღრუს სანაცია შემდეგი მცენარეების ნაყენით: მუხის ქერქი, ევკალიპტი, გვირილა, კრაზანა (მათ აქვთ ანტიანთებითი მოქმედება).

არ გაიჩეროთ კარიესიანი კბილები. ჩაიტარეთ შემდეგი პროცედურები:

ყოველ დღიას, უზმოზე ჩაიფრებთ პირში 1 სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი და წუწნეთ იგი 15-20 წთ-ის განმავლობაში (არ გადაგველაპოთ). ზეთი გახდება თეთრი – რძისფერი. ზეთს გამოაქვს ბაქტერიები და ტოქსინები თქვენი ორგანიზმიდან. ყოველდღიური პროცედურები აუცილებლად გააუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას.

ამის შემდეგ, გამოივლეთ პირში წყალი და 1 კოვზი თაფლი ნელ-ნელა დაიგემოვნეთ.

ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას ხელს უწყობს მინერ-

ალური წყლების (საირმე, ბორჯომი, ნაბეღლაი) რეგულარული მიღება.

თუ გაწუხებთ რაიმე ქრონიკული პროცესი, აუცილებლად ჩაიტარეთ გამოკვლევა და სათანადო მკურნალობა.

კითხვა: ვარ 55 წლის ქალი. რამდენიმე წელია მაწუხებს წნევა. გულის წნევა ყოველთვის მაღალია – აღწევს 120-130-ს. ზედა წნევა 190-200-ს. წამლების მიღებიდან 1-2 სთ-ში წნევა ისევ მაღლა მიწევს. ახალგაზრდობიდან, პერიოდულად მაქვს ტკივილი წნევის არეში. ამჟამად შარდის რაოდენობა მომატებულია – დამით ვიღვიძებ 5-6-ჯერ მოსაშარდად, მაგრამ შარდის ანალიზში ცვლილებები არ აღმომჩნდა. რა გზას დავადგე?

პასუხი: არტერიული ჰიპერტენზია დღეს მრავალთა გადაუჭრელ პრობლემად რჩება, მაგრამ განსაკუთრებით რთულდება მდგომარეობა, როცა ავადმყოფმა არ იცის, რომ მისი წნევა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. დღეისათვის საკმაოდ გახშირდა მეორადი არტერიული ჰიპერტენზიების ერთ-ერთი ფორმა – რენული ანუ თირკმლისმიერი ჰიპერტენზია; უბრალო სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს წნევას, რომელიც გამოწვეულია თირკმლის დაავადებებით. თირკმლის ქრონიკული პათოლოგიების გახშირების მიზეზი კი, ისევ და ისევ, ექიმის დეფიციტითაა განპირობებული, რადგანაც თავის დროზე უმკურნალებელი მწვავე ანთებითი პროცესი, თითქმის ყოველთვის რთულდება და გადადის ქრონიკულში. თირკმლისმიერი ჰიპერტენზიისთვის დამახასიათებელია მაღალი დიასტოლური (ე.წ. გულის ანუ ქვედა) წნევა და წნევის მომატების სიმყარე, რაზეც ჰიპოტენზიური საშუალებები ნაკლებ გავლენას ახდენს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ასეთი მონაცემები გვაქვს. თირკმლის პათოლოგიაზე მიგვანიშნებს ტკივილი წნევის არეში პერიოდულად, დამით ხშირი შარდვა (ნიქტურია) და შარდის საერთო რაოდენობის მომატება (პოლიურია). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი ანუ ესენციური ჰიპერტენზია, თავის მხრივ, იწვევს ხოლმე თირკმლის სტრუქტურის დაზიანებას და ამ შემთხვევაში, რენული ცვლილებები არის ჰიპერტენზიის გართულება და არა პირიქით. მაშ, როგორ უნდა გავარკვიოთ, წნევამ გამოიწვია თირკმლის დაზიანება, თუ თირკმლის პათოლოგიამ გამოიწვია წნევა (ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ტაქტიკისათვის)? თუ წნევის მაღალი ციფრების აღმოჩენისთანავე, ან უფრო ადრეც, ავადმყოფს აღენიშნება შარდში ცვლილებები: ცილა, ლეიკოციტები, ერითროციტები. მაშასადამე, არტერიული ჰიპერტენზია გამოიწვია თირკმლის პათოლოგიამ, ხოლო თუ შარდში აღნიშნული ცვლილებები გაჩნდება წნევის მომატებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ეს ნიშნავს, რომ თირკმლის პათოლოგია გამოიწვია არტერიულმა ჰიპერტენზიამ.

რატომ არ აქვს ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში პაციენტს შარდში აღნიშნული ცვლილებები? როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, ამჟამად თირკმლის უკმარისობის პოლიურიის (შარდის სიჭარბის) ფაზა, როცა შარდი დიდი რაოდენობით გამოიყოფა. ამ დროს ხდება შარდის ნალექის ძლიერი განზავება და, შესაძლებელია, პათოლოგიური ცვლილებები ვერც კი დაფიქსირდეს, მაგრამ თირკმლის ფუნქციის გამოკვლევისთვის არსებობს სხვა მეთოდებიც. ამდენად, ჩვენს პაციენტს ვურჩევდით, რომ მიმართოს უროლოგს კონსულტაციისათვის. მას აქვს თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, პოლიურიის ფაზა, რენული ჰიპერტენზია.

ყველას, ვისაც
„ელექტრონული“ კულტურისა
და თანამედროვე მასმედიის
პრობლემები აინტერესებს,
ცხადია, გაუგონია
„გუტენბერგის გალაქტიკისა“
და „გლობალური სოფლის“
შესახებ და ლოზუნგს THE
MEDIUM IS THE MESSAGE-საც
(„ცნობის გადაცემის
საშუალება თავად
წარმოადგენს ცნობას“)
იცნობს, რომელიც ყველას
თავისებურად ესმის. XX
საუკუნის ტექნიკონში
მყარად შესული ამ
აფორიზმების ავტორის,
კანადელ სოციოლოგ
მარშალ მაკლუენს წელს 90
წელი შეუსრულდება.



მარშალ მაკლუენი

— ელექტრონული კულტურის გუნი

ელემენტონელი გური

„ელექტრონული ერის ორაკული“, როგორც ჰერბერტ მარშალ მაკლუენს ამერიკულმა ჟურნალმა LIFE-მა უწოდა, 1911 წელს კანადის ქალაქ ედმონტონში დაიბადა. უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლის დამლევისთვის, გამოსაშვები კურსის სტუდენტმა მოულოდნელად შეიცვალა მისწრაფებები და ფილოლოგიისა და რიტორიკის ლექციებზე დაიწყო სიარული. უფრო საფუძვლიანად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შესწავლას მან ინგლისში, კემბრიჯში მიჰყო ხელი, დროდადრო კი, საპატიო მიზეზებით, წყვეტდა მეცადინეობებს: აშშ-ში ფულის საშოვნელად მიემგზავრებოდა (იქაურ კოლეჯებში დიპლომანი ინჟინერი ლიტერატურის ისტორიას ასწავლიდა), დაქორწინდა, რელიგიის საკითხებით დაინტერესდა და მის შესწავლასაც მოაწოდო გარკვეული პერიოდი (რომლის დროსაც, პროტესტანტულ ოჯახში აღზრდილი, კათოლიკე გახდა).

1939 წელს მაკლუენმა ჯერ სამაგისტრო, სამი წლის შემდეგ კი – სადოქტორო დისერტაცია დაიცვა კემბრიჯში. 1940 წლიდან დაიწყო მისი, როგორც უნივერსიტეტის მასწავლებლისა და დიდი ოჯახის თავის, გაწონასწორებული ცხოვრება: მაკლუენი ექვსი შვილის, მათ შორის – ტყუპი გოგოს მამა იყო. თითქმის შემდგომი 40 წელი ის ლექციებს კითხულობდა ინგლისის, აშშ-ისა და კანადის სხვადასხვა უნივერსიტეტში, 1952

წლიდან კი, ტორონტოს უნივერსიტეტის წმ. მიხეილის კოლეჯის პროფესორი იყო. ამ კოლეჯში მისვლიდან 11 წლის შემდეგ, ის სათავეში ჩაუდგა (და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა) უნივერსიტეტთან შექმნილ კულტურისა და ტექნოლოგიის ცენტრს, რომელშიც იკვლევდა ადამიანის ფსიქიკასა და მთლიანად საზოგადოებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მასმედიის გავლენას. 1960-იანი წლების დასაწყისში კანადელი პროფესორის სახელი მხოლოდ მისი კოლეგების ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი. იმ დროიდან, ერთიმეორის მიყოლებით, გამოიცა მისი წიგნები და სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა.

ამერიკული საუნივერსიტეტო მეცნიერების სპეციფიკა (კანადური კი მისგან ბევრად არ განსხვავდება) იმაში მდგომარეობს, რომ პროფესორები საკონტრაქტო პირობების შესაბამისად, მხოლოდ ლექციებს კითხულობენ და სემინარებს ატარებენ, სამეცნიერო სტატიები და, მით უმეტეს, წიგნები, მათ ე.წ. ტენურის – ე.ი. იმ მყარი განაკვეთის მისაღებად სჭირდებათ, რომელიც მათ, საშუალო ხარისხის მიუხედავად, პენსიამდე მიეცემათ, მაგრამ ტენურას მხოლოდ მასწავლებელთა 10-15 % იღებს – ისინი, ვინც განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი სამეცნიერო ასპარეზზე (ამაში იგულისხმება პუბლიკაციები პრესტიჟულ ჟურნალებში, გამოსვლები კონფერენციებზე, მონოგრაფიები და სხვა ამგვარი). პროფესორები წიგნებს

მხოლოდ რამდენიმე ათეულით, მაქსიმუმ – სამდე სპეციალისტი კოლეგისთვის წერენ და, წესისამებრ, მხოლოდ საუნივერსიტეტო გამოცემლობათა ხარჯით უშვებენ. ამ წიგნებს მათი ავტორებისთვის მხოლოდ სამეცნიერო წრეში მოპოვებულ პრესტიჟი, ტენურას მიღწევის გზაზე დაგროვილი ქულები მოაქვს და არა ფული.

მაკლუენს მისმა წიგნებმა – უმთავრესად, „გუტენბერგის გალაქტიკა“ (1962), „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წვდომა“ (1964), „ომი და მშვიდობა გლობალურ სოფელში“ (1967) – არა მარტო აკადემიური წრეებისთვის გაუგონარი სიმდიდრე და სახელი მოუტანა, არამედ ათასობით მიმდევრისა და მისი მაქებარი მასმედიისთვის ეს წიგნები ელექტრონული ერის თავისებურ ალთქმად იქცა. ძალზედ შთამბეჭდავად, ხისტად, პარადოქსული, დღეს მოდური – „კლიპური“ სტილით დაწერილი, აფორიზმებით გამდიდრებული ეს თხზულებები არაფრით მოგაგონებთ მეცნიერთა „მძიმეწონიან“ მონოგრაფიებს. ამიტომაც იყო, რომ გამოსვლისთანავე, ამ წიგნებს ციტირებისთვის ათასობით ავტორი იშველიებდა.

ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევდნენ კანადელ გურუს, რადგან მისი ყოველი სიტყვა, პრესაში იქნებოდა ეს თუ ეკრანზე, მკითხველთა და მაყურებელთა ყურადღების ცენტრში ექცეოდა. მასზე სტატიის დასაწერად, საკმარისი

იყო, „ამოგეგლიჯათ“ რამდენიმე ციტატა მეცნიერის წიგნიდან ისე, რომ არც წაგეკითხათ მთელი ნაწარმოები...

„რაც უფრო მეტი მონაცემი ჩნდება ჩვენზე სხვადასხვაგვარ საინფორმაციო ბანკში, მით უფრო ნაკლებად რეალური ხდება ჩვენივე არსებობა“. „ნაღდი ფული – ლატაკია საკრედიტო ბარათია“. „ერთ დღეს შეიძლება გაირკვეს, რომ შიზოფრენია განსწავლულობის გარდაუვალი შედეგია“. „ჩვენ ფორმას ვაძლევთ სამუშაო იარაღებს, ისინი კი, თავის მხრივ, ჩვენ გვაყალიბებენ“ – ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ აფორიზმებისა, რომელიც მაკლუენს სატელევიზიო თოქშოუს, საგანზეთო და საჟურნალო ფურცლების სასურველ სტუმრად აქცევდა.

სამაგიეროდ, აკადემიური წრეების წარმომადგენლები მის იდეებს, პირიქით, თავშეკავებულად და ცივად კი ხვდებოდნენ. მათი შეფასებების დიაპაზონი საკმაოდ ფართო იყო: ერთ მხარეს – „ჭკვიანი კაცი, რომელსაც რატომღაც მოსწონს, შარლატანად მოაჩვენოს თავი“ (ისტორიკოსი არტურ შლეზინგერი), მეორე მხარეს – „ორი მესამედით, საზოგადოებისა და კულტურის აბსოლუტურად შეუდარებელი ანალიტიკოსი და ერთი მესამედით, შეშლილი“ (კულტუროლოგი და კრიტიკოსი ლესლი ფიდლერი).

მაკლუენს სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანების პროვოცირება, შეგნებული სიყალბის ჩადენა, თავის აფორიზმებში ისეთი დაფარული ნაღმების ჩადება, რომელიც აფეთქებისას, ინტერპრეტაციების მიერ აგებულ რთულ კონსტრუქციებს ანგრევდა.

ყველაზე საინტერესო მაგალითი, მაკლუენს ლენონი, ვუდი ალენი და ენი უორპოლი ძალიან გატაცებულნი იყვნენ კანადელი გურუს იდეებით, შემდგომ კი თავად იქნენ გურუებად

ლუენის მთავარ აფორიზმთან დაკავშირებული გაუგებრობაა. THE MEDIUM IS THE MESSAGE – „ცნობის გადაცემის საშუალება თავად წარმოადგენს ცნობას“. ზოგჯერ მას დამახინჯებულად იმეორებენ: THE MEDIA IS THE MESSAGE – „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავად წარმოადგენს ინფორმაციას“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რა ინფორმაციას გვაწვდის, არამედ ის, თუ ვინ, როდის და სად გვაწვდის ინფორმაციას.

მაგრამ 1967 წელს წიგნის „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წვდომა“ ახალი გამოცემა ახალი სახელწოდებით – THE MEDIUM IS THE MESSAGE გამოვიდა, რაც ბევრს უბრალო მექანიკური შეცდომა ეგონა. არადა, ავტორმა უბრალოდ, იანგლა – ერთი ასობგერის შეცვლით, თავის ცნობილ აფორიზმს სულ ცოტა, ორი ახალი შინაარსი შემატა: ეს ფრაზა შეიძლება გაიგოს, როგორც „ინფორმაციის საშუალება, მასაჟი“ ან „ინფორმაციის საშუალება, მასების საუკუნეა“.

მაკლუენის გალაქტიკა


კანადელი მეცნიერის შეხედულებათა სისტემაში შეღწევა ამ მონათხრობის სამეცნიერო რეფერატად გადაქცევის საშუალებას შეიცავს, მაგრამ მაკლუენის ვერსიით, ცივილიზაციის განვითარების ზოგადი სქემა ასე გამოიყურება:

თუ მარქსის მიხედვით, ისტორიის მამოძრავებელი მხოლოდ კლასობრივი ბრძოლა იყო, მაკლუენმა სულ სხვა „ძრავა“ დაინახა: ეს არის ტექნოლოგიების ცვლა,

რომელსაც თავის მხრივ, კომუნიკაციის საშუალებათა ცვლა იწვევს. როგორც ჩანს, კანადელი მეცნიერი ერთ-ერთი პირველი იყო, ვისაც აზრად მოუვიდა: საზოგადოების ტიპს მნიშვნელოვანწილად, მასში გაბატონებული კომუნიკაციის ტიპი, ადამიანის აღქმას კი – ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე განსაზღვრავს.

დამწერლობის გაჩენამდე, ადამიანი მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით იყო გარემოცული. სამყარო, რომელიც ამ „აუდიო ქვეყნიერების“ მიღმა იყო, მხოლოდ ინტუიციურად შეეძლო შეეცნო. ანბანის გამოგონებამ აღქმის ცენტრი სმენიდან მხედველობაზე გადაიტანა – კაცობრიობა მექანიკურ ეპოქაში შევიდა, რომელიც დღემდე გრძელდება. მაკლუენის მიხედვით, „ტექნოლოგიათა აფეთქების“ დეტონატორად უბრალო ბატის ფრთის კალამი, აფეთქების ეპიცენტრად კი, გუტენბერგის მიერ საბეჭდი დაზვის გამოგონება იქცა. იმ დროიდან დაიწყო საზოგადოების ფრაგმენტაციისა და ადამიანის გაუცხოების პროცესები: ბეჭდვითმა სიტყვამ მას საშუალება მისცა, ინდივიდუალურად, ტომის კოლექტიური გონის დაუხმარებლად, შეეცნო სამყარო. გარდა ამისა, წიგნი, პირველ სტანდარტულ კვლავწარმოებად ნაწარმად – ე.ი. მასობრივი წარმოების პირველ პროდუქტად იქცა.

დაბოლოს, XX საუკუნეში ახალი გადატრიალება მოხდა, რომელიც ელექტრობასთან არის დაკავშირებული: „ელექტროჯაჭვმა დრო და სივრცე დაამხო და თითოეული ჩვენგანი სხვა ადამიანთა საზრუნავის ოკეანეში მოგვაქცია. მან აღადგინა გლობალური მასშტაბის საყოველთაო დიალოგი. მთავარი





ინტერნეტის თაობამ მარშალ მაკლუენი ახალ მესიად გამოაცხადა: მისი კიბერ-წინასწარმეტყველებანი დიდი მოთხოვნით სარგებლობს კიბერ-სივრცეში.

ცნობა კი, რომელიც მან ადამიანებს აუწყა, ეს იყო ცნობა საყოველთაო ცვლილების შესახებ“.

ქვეყნის „ტომური“ აღქმისაკენ ახალ ეტაპზე მიბრუნება, მაკლუენის მიხედვით, – ეს უდავო სიკეთეა, რადგან ამგვარად, ადამიანები კვლავ იგრძნობენ თავიანთ ერთიანობას, გააცნობიერებენ, რომ წარმოადგენენ კოლექტივს, რომლისთვისაც უცხო უნდა იყოს იზოლაცია, ინდივიდუალიზმი და უმცირესობათა დათრგუნვა – ყველაფერ იმას, რაც „ვიზუალური აღქმის ტირანიის“ შედეგს წარმოადგენს. „ახალ ელექტრონულ-საინფორმაციო გარემოში, არც ერთი სოციალური უმცირესობა არ იქნება უგულვებელყოფილი უმრავლესობის წარმომადგენლების მიერ, რადგანაც ამიერიდან ძალზედ ბევრმა ადამიანმა მეტისმეტად ბევრი რამ იცის ერთურობის შესახებ“.

ახალი რევოლუციის მამოძრავებელ ძალას ელექტრონული მასმედია და უპირველესად, ტელევიზია წარმოადგენს. მაკლუენი ჯაზის სამყაროს დაესესხა

კომუნიკაციის საშუალებათა დაყოფას, „ცხელს“ (HOT) და „ცივ“ (COOL) ჯგუფებად. პირველ ჯგუფს – ინფორმაციულად დატვირთულს, რომელიც ვაზრებასა და შესწავლას მოითხოვს, მაგალითად, ბეჭდვითი სიტყვა განეკუთვნება; მეორეს – რომელიც ინფორმაციის ნაკლებობას, თანაგანცდის აქტში მომხმარებლის ჩართვით ავსებს – ტელევიზია წარმოადგენს.

მაკლუენის აზრით, სწორედ ტელევიზიამ მისცა კაცობრიობას დამწერლობამდელი ტომისკენ, გლობალური სოფლისკენ დაბრუნების საშუალება, სადაც ინფორმაცია ერთდროულად ყველასთვის არის ხელმისაწვდომი და პრაქტიკულად, უმაღლეს შეიძლება მიიღოს. უწყვეტი ჰეპენინგის სამყაროში ადამიანს აღარ ძალუძს უწინდებურად – ნაბიჯ-ნაბიჯ, აგურ-აგურ აშენოს თავისი მსოფლალქმა: ის იძულებულია, ერთდროულად გაითვალისწინოს ყველა ფაქტორი და რადგან ანალიზისთვის საჭირო დრო აღარ რჩება, დაეყრდნოს ინტუიციას მაშინ, როცა გაშტერებულად უშვებს მოციმციმე ყუთს („ტომის კოცონს“).

ამრიგად, ასწლეულების მანძილზე გაფართოების პროცესში მყოფი „გუტენბერგის გალაქტიკა“, შეკუმშვის ფაზაში შევიდა. „მექანიზაციის საუკუნეების მანძილზე ჩვენ ვაფართოებდით ჩვენი სხეულის შესაძლებლობებს სივრცეში. დღეს, ელექტრონული ტექნოლოგიების საუკუნეში, საშუალება მოგვეცა მთელ პლანეტაზე განვაგრძოთ ჩვენი ცენტრალური ნერვული სისტემა, რაც აუქმებს ისეთ ცნებებს, როგორცაა სივრცე და დრო. ახლა ამ „ადამიანური ფაქტორის გავრცელების“ საფინანსო სტადიას ვუახლოვდებით – გონების ტექნოლოგიურ იმიტაციას, როცა შემეცნების შემოქმედებითი პროცესი აღარ

იქნება ინდივიდის საუფლო და კოლექტიურ პროცესად იქცევა“.

მაკლუენს მხოლოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა ღმერთთან სუპერგონის შეწყობის დასკვნის მიღებამდე, მაგრამ მტკიცე კათოლიკემ დროულად დაამუხრუჭა.

თუმცა მეცნიერი არ შეუშინდა სხვა დასკვნის გამოტანას, რომელმაც მწვავე პოლემიკა გამოიწვია. ძნელი არ არის მისი განცხრება, თუ ისევ ასტროფიზიკას გავიხსენებთ: „გალაქტიკის“ შეკუმშვის პროცესის შედეგი, კოლაფსია. ელექტრონული კომუნიკაციების ხელოვნური ნერვული სისტემით დაფარულ სამყაროში გარდაუვალია, რომ სივრცე და დრო (არსებითად, იგივე ინფორმაცია) ერთ წერტილში მოექცეს. ამის შემდეგ რეალობის შეცნობა ზედმიწევნით ინტუიციური გახდება – ამ პროცესში გონება აღარ მიიღებს მონაწილეობას.

ნუთუ ლაპარაკია ქვეყნიერების დასასრულზე? სულაც არა – პასუხობს წინასწარმეტყველების ექსტაზში ჩადირული პროფესორი, პირიქით – ნანატრი ოქროს საუკუნე დადგება: ადამიანი, რომელიც „კომუნიკაციური ელექტრონიკის“ მეშვეობით განიკურნება, მექანიზტიკური ეპოქის „მხედველობის“ დაავადებისგან (რა დროსაც მის გონებას დაუსრულებელი კატაკლიზმები და რევოლუციები ფიტავდა) და კვლავ დაუბრუნდება დაკარგულ სამოთხეს, სადაც კოლექტიური აზროვნება შერწყმულია რეალობასთან, გონი კი, მის ყველა ნაკლთან ერთად, ზედმეტი გახდება. ეს არის „გლობალური სოფელის“ ახალი უტოპია, რომელიც იდიოტის ბედნიერი ღმბილით ჩაშტერებია ტელეეკრანს და გარშემორტყმულია ელექტრონული ქსელით, რომელსაც საყოველთაო ჰარმონია მოაქვს.

წმინდა მარშალი – ქსელების ოსტატა მფარველი

1967 წელს 56 წლის მეცნიერს ტვინიდან თრომბი ამოჰკვეთეს. სხვათა შორის, ეს ამერიკული ნეიროქირურგიის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ოპერაცია იყო: პაციენტი მაგიდაზე 22 საათი იწვა. მაშინ მას დაუბრუნეს სიცოცხლე, მაგრამ 13 წლის შემდეგ, მაკლუენი ახალი დარტყმის მსხვერპლი გახდა, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. 1980 წლის უკანასკნელ დღეს ბესტსელერების ავტორი, კანადის სამეც-

ფო საზოგადოების საპატიო დოქტორი, სამი კანადური და რვა ამერიკული უნივერსიტეტის ლიტერატურის საპატიო დოქტორი, კანადისა და იტალიის სამეცნიერო პრემიისა და სახელმწიფო ჯილდოების ლაურეატი, პაპის საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის კონსულტანტი და სხვა მრავალი რეგალიის მფლობელი, წყნარად, ძილში გაერიდა სამყაროს, რომლის მომავალი ესოდენ ხატოვნად იწინასწარმეტყველა.

მაგრამ ჯერ კიდევ სიცოცხლეში მაკლუენი XX საუკუნის მე-2 ნახევრის კულტურულ ხატად იყო ქცეული. და სწორედ ასე „განაგრძობდა სიცოცხლეს“ 1980 წლის შემდეგაც – აფორიზმებში, სარეკლამო სლოგანებში, ფუტუროლოგთა პროგნოზებში, რომლებიც მასმედიის განვითარების ანალიზით არიან დაკავებული და კიდევ – ახალ, ახალგაზრდულ კიბერ-კულტურაში. თაობა X, რომელიც კომპიუტერებისა და ქსელის პირობებში გაიზარდა, აწ გარდაცვლილ „ბაბუს“, ახალ მესიას უწოდებს. სან-ფრანცისკოსა და ოტავაში ყოველწლიურად ტარდება მაკლუენის ახალგაზრდული ფესტივალები, თანამედროვე ქსელური აზროვნების ავანგარდი – ჟურნალი WIRED-ი კი, პროფესორს თავის ციურ პატრონად აცხადებს, როცა 1993 წელს გამოცემული პირველი ნომერი მასწავლებლის ყველაზე ცნობილი აფორიზმით გახსნა.

გასაკებაა, რომ მაკლუენის იდეებით გატაცებული იყვნენ ჯონ ლენონი, ენდი უორჰოლი და პოპ-კულტურის სხვა კერპები, მაგრამ თვით აკადემიური მეცნიერების წარმომადგენლები, რომლებიც ეკლექტიკურობას, არათანმიმდევრულობასა და მასობრივ მკითხველთან „თამაშს“ სწამებდნენ, მის კრიტიკას მაინც ასეთი ფრაზით ამთავრებდნენ ხოლმე: „საერთოდ კი, მასში, უდავოდ, რაღაც არის“.

წლიდან წლამდე ეს „რაღაც“ სულ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს. სხვაგვარად, ისეთი სოლიდური ლონდონური ჟურნალი, როგორცაა THE ECONOMIST, მასმედიის ნებისმიერი ხსენებისას არ მოიშველიებდა კანადელი მეცნიერის სახელს. არც ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონში დაგროვებოდა მაკლუენის სახელის 346-ჯერ ხსენება... არც ცნობილი ამერიკელი მწერლისა და ჟურნალისტის ტომ ვულფის ეს კითხვა შემთხვევითი: „იქნებ, მაკლუენი მართალი იყო? და სინამდ-

ვილეში, იმას წარმოადგენდა, როგორც სურდა, რომ ყოფილიყო მთელი ცხოვრების მანძილზე – ყველაზე გამოჩენილ მოაზროვნეს ნიუტონის, დარვინის, ფროიდის, აინშტაინისა და პავლოვის შემდეგ?“

ტორონტოს უნივერსიტეტთან არსებული საინფორმაციო სამსახური THE McLuhan Program in Culture and Technology ასობით განაცხადს იღებს და მასზე ინფორმაციით, საკონსულტაციო და სალექციო ფორმით პასუხობს. მაკლუენის ციტატებს კი ძალზედ მოულოდნელ სფეროებშიც შეხვდებით. მაგალითად, როცა 1996 წელს აშშ-ის ფედერალურმა სასამართლომ კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოაცხადა კანონი მასმედიაში ზრდილობის წესების დაცვის შესახებ, ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლე თურმე გარდაცვლილი პროფესორის იდეებს ეყრდნობოდა: „ინტერნეტის ქსელის ნებისმიერი რეგულირება, მისი შინაარსის კონტროლის თვალსაზრისით, რა კეთილშობილური იდეებითაც არ უნდა კეთდებოდეს ეს, „გლობალური სოფლის“ სრული დაცვის საფრთხეს შეიცავს“.

ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ქსელის ტრიუმფს მაკლუენი არ მოსწრებია, მაგრამ ვინმეს მისთვის რომ მოეთხრო მასმედიის ამ ყველაზე „ცივი“ საშუალების შესახებ, რომელიც გლობალური სოფლის იდეის კულმინაციას წარმოადგენს, მეცნიერი უთუოდ აღფრთოვანდებოდა.

განზილებული წინასწარმეტყველი

ცხოვრების ბოლო პერიოდში პროფესორმა თავადვე იგრძნო, თუ რა სახიფათო ზღვარს მიუახლოვდა მისი იდეები და ცოტა დაამუხრუჭა კიდევ. მაკლუენის გვიანდელ ნაშრომებში დასკვნები სატელევიზიო და კომპიუტერული ცივილიზაციის ერთმნიშვნელოვანი სარგებლიანობის შესახებ, რამდენადმე სუსტდება. მეცნიერს არ შეეძლო არ დაენახა, რომ ელექტრონული მასმედია, თავისი ინფორმაციის მომხმარებლის ჰორიზონტის გაფართოების ნაცვლად, ხშირად პირიქით – ავიწროვებს მას, აყრის „საინფორმაციო ნაკავს“, წუთიერ, მორეზანისხვან, კონიუნქტურულ, ზოგჯერ კი, სულაც უაზრო ცნობებს აწვდის. ამას ემატება არა ინფორმაციის ტრანსლირება, არამედ მისი ფაქტობრივი შეთხზვა, რასაც მომხმარებლის

მანიპულირებამდე მივყავართ, რომლის დროსაც MESSAGE-ის (ცნობის) ნაცვლად, თვით MEDIA-ს (ინფორმაციის წყაროს) სთავაზობენ.

მაკლუენი ვირტუალური პოლიტიკის, მომავალი პოლიტექნოლოგიების საშიშროებასაც ხედავდა: „ბოლოს და ბოლოს, ცოცხალ პოლიტიკოსებს საბოლოოდ განდევნიან მასმედიის მიერ შექმნილი მათი სახეები. და პირველებს საფუძველი ექნებათ, მეორეთა მადლიერნი იყვნენ ეთერიდან მათი განდევნისთვის, რადგან მასმედიაში თავიანთი დამოუკიდებელი ცხოვრებით მცხოვრებ სახეებს იმდენი რამის გაკეთება ძალუძთ, რაც ცოცხალ პოლიტიკოსს არც დაესიზმრება...“

და კიდევ ერთი რამ: ნაკლებად რეალური აღმოჩნდა იმის იმედიც, რომ ელექტრონული მასმედიის წყალობით, კაცობრიობა კვლავ შეიგრძნობს „ერთიანობას, ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის მოთხოვნილებას“. მაკლუენის ერთ-ერთი კრიტიკოსის თქმისა არ იყოს, „წინათ, როცა ეკრანზე შიმშილისგან მომაკვდავ ბავშვებს ვხედავდით, დროადადრო მაინც ვაგზავნიდით ფულს მათ დასახმარებლად, ახლა კი, უსაზღვროდ ტირაჟირებულ საშინელებებს მიჩვეულები, უბრალოდ, სხვა არხზე გადავრთავთ ხოლმე ტელევიზორს“.

სხვა ავტორი, მაკლუენის თეზისზე, ელექტრონული მასმედიის მიერ ადამიანებისთვის შეთავაზებული ალტერნატივისა და მრავალფეროვნების შესახებ, აღნიშნავს: „საკმარისია ვნახოთ სარეკლამო რგოლი, რომელშიც კიბონოში გამოწყობილი გეიშებიცა და აფრიკელი აბორიგენებიც სვამენ „პეპსის“ და რეი ჩარლზთან ერთად მღერიან მის ჰიტს, რომ გურუს სიტყვებში დაეჭვდეთ. მართალია, რომ ჩვენ გლობალურ სოფელში ვცხოვრობთ, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს სოფელი კარგა ხანია გადასულა იმ ფირმის საკუთრებაში, რომელიც გამაგრირებულ სასმელებს აწარმოებს?“

მაკლუენმა შეძლო, სხვებზე ადრე მიმხვდარიყო ამას: „ელექტრონული ქვეყნიერება, უსინდისო მატყუარა, ანტიქრისტეს დაუფარავი გამოხატულებაა“ – ეს სიტყვები არა მის რომელიმე კრიტიკოსს, არამედ თავად მაკლუენს ეკუთვნის.

ასე რომ, თავისი შეცდომების აღიარებაშიც ის ნამდვილი მეცნიერი იყო. მარშალ მაკლუენის საფლავის ქვაზე მისივე სიტყვებია ამოტვიფრული: „ჭეშმარიტება თავისი უფლებას მოკითხავს“.

ტერორისტი კამიკამის დღიური



ამერიკის ხელისუფლებამ ტერორისტ კამიკამის – მოჰამედ ატას შემთხვევით გადარჩენილი დღიური გამოამზეურა.

აეროპორტ „ლოგენის“ მტკირთავთა მიერ II სექტემბრის დილით დაშვებული დაუდევრობის წყალობით, ყავისფერი ტყავის ჩანთა, რომელიც პორტლენდიდან ტრანზიტით მიმავალ მგზავრს ეკუთვნოდა, არ გადაიტანეს მის თვითმფრინავში. ჩანთა, რომელიც ლოს-ანჯელესში უნდა მოხვედრილიყო, 33 წლის მოჰამედ ატას ეკუთვნოდა – ადამიანს, რომლის სახესაც ამერიკა არასოდეს დაივიწყებს: ატა თვითმკვლელ ტერორისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო და პირველი შეეჯახა „ბოინგით“ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობას. მის ნივთებს შორის აღმოჩენილი, არაბულ ენაზე დაწერილი დღიურის რამდენიმე გვერდიც კი საშუალებას გვაძლევს, გავერკვეთ ფანატიკოსის ფსიქიკაში.

„გაისხენეთ წინასწარმეტყველის ბრძოლა ურწმუნოთა წინააღმდეგ, როცა მან ისლამური სახელმწიფოს შენება დაიწყო... გვედრები, უფალო, შემინდე ყველა ცოდვა, მომციე საშუალება, შენი რწმენა დაგიმტკიცო და ნებისმიერი შესაძლო საშუალებით ვადილო შენი სახელი“.

...როცა ტერორისტები დასახელეს, მოჰამედის მამა – კაიროს ცნობილი ადვოკატი, ცრემლებად დაიღვარა და იფიცებოდა, რომ მის შვილს ცილი დასწამეს და არ ცრუოდა: მას ვერ წარმოედგინა, რომ მოჰამედი, შეიძლება კამიკამე გამხდარიყო. თავზეხელაღებული ფანატიკოსები, როგორც წესი, უღატაკესი ფენებიდან მოდიან, ატა კი იმ ოჯახის შთამომავალი იყო, რომელიც ვრცელ მამულს ფლობდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. 1990 წელს მან კაიროს ინსტიტუტთან არსებული არქიტექტურის პრესტიჟული სკოლა დაამთავრა.

თანაკურსელებს არასოდეს უნახავთ მოლიმარი მოჰამედი და ახლა, ყველა მის უკიდურეს ღვთისმოშიშობას იხსენებს: ის ყველა რიტუალს ზედმიწევნით ასრულებდა და იოტისოდენადაც არ დაურღვევია

რაიმე წესი. სწავლის დასასრულს ჭეშმარიტი მუსულმანი მოჰამედ ატა ნამდვილ ფანატიკოსად იქცა.

კაიროს უნივერსიტეტი, ორგანიზაცია „მუსულმანი ძმების“ წევრ ისლამელ რადიკალთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზად ითვლება. ისინი ამერიკას ეშმაკის მოციქულად თვლიან. 1990 წელს „ძმებმა“ დარბევების მოწყობას მიჰყვეს ხელი და ეგვიპტის ძალაუფლების ხელში ჩაგდებათ იმუქრებოდნენ.

ნაწევრები ატას დღიურიდან:

„განიწმინდე სულიერად, გათავისუფლდი მიწიერი შფოთისგან. მხიარულებისა და ზეიმის დრო არ არის! განკითხვის დღე ახლოვდება. ყველამ პატიება უნდა ვთხოვოთ უფალს... წინასწარმეტყველი, ასი კაცის მეშვეობით, ათასობით ურწმუნოს ამარცხებდა.“

1992 წელს ატა სასწავლებლად ჰამბურგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში გაემგზავრა. იქვე დაიწყო „მესამე სამყაროს“ ქვეყნებისა და დასავლეთის ურთიერთობების შესწავლა და მწვავე კრიტიკით გამოდიოდა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ. საღამოობით მის ბინაში ის ადამიანები იკრიბებოდნენ, რომლებიც ამჟამად ტერორისტებად არიან მიჩნეულნი.

სამი წლის შემდეგ ატამ სწავლა შეწყვიტა და სალოცავად მექაში გაემგზავრა. 1997 წლის ზაფხულში კი, 15 თვით გაუჩინარდა. შემდეგ, გარუჯული და წვერმოშვებული დაბრუნდა. როგორც ვარაუდობენ, მან ეს დრო უსამა ბინ ლადენის ერთ-ერთ ბაზაზე გაატარა.

არქიტექტურაში თავის სადიპლომო ნაშრომს მოჰამედმა მიაწერა ციტატა ყურანიდან: „ჩემი ლოცვა და ჩემი მსხვერ-



პლი, ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი ალაჰს ეკუთვნის“. დიპლომის დაცვიდან ცოტა ხნის შემდეგ, ატა ეგვიპტის საკონსულოში მივიდა და განაცხადა, რომ პასპორტი დაკარგა. მას ესმოდა, რომ დოკუმენტით, რომელშიც ერაყისა და ავღანეთის ვიზები იყო, ამერიკაში არ შეუშვებდნენ...

ამერიკაში ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე ატა მფრინავის ხელობას ეუფლებოდა, თანამზრახველებს ფულს უნაწილებდა (დადასტურებულია, რომ მან 100 ათასი დოლარი მიიღო), ბინ ლადენის აგენტებს ეკონტაქტებოდა და პერიოდულად, ევროპაში დადიოდა. ტერორისტის დღიურის მეშვეობით ღვინდება, რომ ის ღრმად კონსპირირებული ჯგუფის ხელმძღვანელი და სულიერი მოძღვარი იყო.

„ყველას სძულს სიკვდილი, ეშინიათ მისი. მაგრამ მხოლოდ ისინი გაბრწყინდებიან სიკვდილის შემდეგ, ვისაც სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების სჯერა“. II სექტემბრის მთხრობასთან ერთად, ატას რელიგიურ შეხედულებებს პირდაპირი ინსტრუქციები ენაცვლება: „შეამოწმეთ ყველაფერი – თქვენი ჩანთები, დაწებები, თქვენი ნებისყოფა, დოკუმენტები და ყველა საბუთი. დარწმუნდით უსაფრთხოებაში, იმაში, რომ არავინ გითვალთვალებთ. მოწესრიგდით!“

ატას ნაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ის და მისი თანამზრახველები – ახალგაზრდა, განათლებული, დასავლურ ცივილიზაციას ნაზიარები ადამიანები იყვნენ და მაინც, ბრმა ფანატიკოსებად რჩებოდნენ: „გახსოვდეთ, წინ რა გელით: თქვენ სამოთხეში მიემგზავრებით – უსასრულო და უბედნიერეს სამყაროში მოხვდებით. გახსოვდეთ ეს, როცა თქვენ წინ წინააღმდეგობა აღიმართება. ვინც მას არ გადალახავს, სამოთხეში ვერასოდეს მოხვდება. ამ მომენტიდან იწყება თქვენი ბედნიერება, მუდმივი სამოთხე. იყავით ისეთივე ოპტიმისტები, როგორც ჩვენი წინასწარმეტყველია“.

II სექტემბრის წინა დღეს, მოჰამედ ატამ თანამზრახველებს ურჩია, მიიღოთ ღამე ელოცათ წინასწარმეტყველი მოჰამედისთვის და განსაკუთრებული ყურადღება მის ერთ-ერთ მოძღვრებაზე გაემახვილებინათ: „თქვენ სიკვდილს ისურვებდით, რომ იცოდეთ, რა ჯილდო გელით მის შემდეგ.“

დღიური-ინსტრუქციის კიდევშემომწვარი ფურცლები იმ „ბოინგ 757“-ის ავარიის ადგილას იპოვეს, რომელმაც ვაშინგტონამდე ვერ მიაღწია და პენსილვანიაში ჩამოვარდა...

კვირის (22 - 28 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

სასწორი - 24/X-23/X



თუკი ვერ კიდევ არ ვიშოვით ბევრი ფული, ის ხომ მაინც კარგად ისწავლეთ, თუ როგორ უნდა გააკეთოთ ეს. ახლა იდეის განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკის საქმეა. შაბათ-კვირა ახლობლებს დაუთმეთ - მათ თქვენ სჭირდებათ.

ღრინაბალი - 24/X-22/XI



ყოველივე ცუდს ბოლო მოეღება. ცხოვრების მძიმე პერიოდი წარსულს ჩაბარდა. თქვენი საქმეები ნელ-ნელა მოგვარდება, დაძაბული ურთიერთობებიც თანდათან განიშუხტება. მოვლენებს წინ ნუ გაუსწრებთ - ყველაფერი თავისთავად მოხდება. თუკი თქვენს დაუღეგარ ნატურას გართობა სწყურია - ცირკში წადით.

მევიღობსანი - 23/XI-21/XII



ზოგს რა ბედი აქვს! ვნებიანი სიყვარული, ძველ მეგობრებთან ქეიფი, ბევრი ფული - ყოველივე ეს ამ კვირაში არ აკცდებათ. დააფასეთ, გონივრულად გაერთეთ, მაგრამ ეცადეთ, ხალხი არ გააღიზიანოთ. იცოდეთ, რთული პერიოდი კარზე მოგდგომიათ.

თხის რქა - 22/XII-20/I



თავდაჯერებულად მიისწრაფვით დასახული მიზნისაკენ - ძალიან ახლოსაც ხართ მასთან. ხელმძღვანელობა და კოლეგები პირდაპირ გაცხადებენ თქვენი გათვითცნობიერებულობითა და კომპეტენტურობით. მოსალოდნელია დაწინაურება და მატერიალური წახალისება, ამიტომ შეგიძლიათ, მოგზაურობა დაგეგმოთ.

მეჩეხული - 21/I-19/II




თქვენს ცნობიერებაში სრული ქაოსია. თუკი ზუსტად არ გაქვთ წარმოდგენილი, თუ რა გსურთ, ზედმეტად ნუ იქოთქოთ და მოთმინებიდან ნუ გამოხვალთ. სიფიცხე და უხეშობა თქვენი ძირითადი მტრები არიან, ამიტომ, როგორც კახელი ბურნუთა იტყოდა, „თავ კონტროლი გაუწიეთ“.

თევზები - 20/II-20/III



ამ ბოლო ხანებში მოზღვავებული ემოციები თანდათანობით ჩაცხრება. ოჯახური ცხოვრება თქვენგან მეტ მოწვესრიგებულობასა და გეგმაზომიერ მოქმედებებს მოითხოვს. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობის მდგომარეობას და ყოველგვარ დიეტაზე უარი თქვით.

მეჩხი - 21/III-20/IV



ყოველდღიური წვრილმანები და სხვებზე ზრუნვა ყელში ამოგივიდათ. თქვენი თავისთვის სანამ მოიცლიდეთ, დაწყებული საქმეები ბოლომდე მიიყვანეთ. რომანტიკული თავგადასავლები გელით, ამიტომ დროა, ზედმეტი ტვირთისაგან გათავისუფლდეთ. მაგრამ ფრთხილად იყავით! მაღალია ვენერიული დაავადებების ალბათობა.

კბრი - 21/IV-21/V



მართალია, ახალ ნაცნობებს თქვენთვის უზარმაზარი სარგებლობა მოაქვთ და ფასდაუდებელ რჩევებს გაძლევენ, მაგრამ ძველ მეგობრებს ნუ დაივიწყებთ - ისინი უფრო საიმედონი და ერთგულნი არიან. თქვენი კონკურენტები და მოშურნეები კვირის ბოლო დღეებს ჩაემშხამებენ, მაგრამ გულს ნუ გაიტყენთ - სამაგიერო მიეზღვებათ.

მარცხი - 22/V-21/VI




ე.წ. „კამათის“ კვირა გაქვთ: არავის ეთანხმებით, ნებისმიერი საუბარი დისკუსიასა და ცხარე კამათში გადადის. ცოტათი დაშოშმინდით, უქმეები მარტოობაში გაატარეთ და თქვენი ქცევები გააანალიზეთ.

მირჩხი - 22/VI-22/VII



საკმაოდ რომანტიკული კვირა გელით: საყვარელი ადამიანის მკვლავები და სასიამოვნო მოგზაურობა. მეგობრებთან და კოლეგებთან წამოჭრილი პატარ-პატარა უსიამოვნებები სამუშაოს შეცვლას გაფიქრებინებთ, მაგრამ ეს ცოტა ხნით, მალე ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

ლომი - 23/VII-23/VIII



მოქმანცველი მუშაობა გელით. დიდი ხანია დასვენებაზე და რაღაც ძლიერ, ნათელ გრძნობაზე ოცნებობთ, მაგრამ ოცნება ოცნებად რჩება. რას იზამთ? დამნაშავე თავად ბრძანდებით - მუშაობით მეტი-მეტად გატაცებული ხართ. ფრთხილად იყავით, ცხოვრებისეული სიძნელეების გამო გამაღიზიანებელი და ბუზღუნა არ გახდეთ.

ქალწული - 24/VIII-23/IX



თუკი ვინმესთან განშორება გიწვეთ, ამას ფილოსოფიურად მიუღებთ. ბუნებაში ბალანსი არასოდეს ირღვევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი მეგობრის, ან ახალი სიყვარულის ძებნას უნდა შეუდგეთ. ამ მომენტისათვის სითბო და ზრუნვა გაკლიათ. მაგრამ ბედი სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებთ! ყურადღებით იყავით, ბედის საჩუქარი არ გამოგეპაროთ!

იმის დასადგენად, გყავთ თუ არა მტრები, ჯერ უნდა გაარკვიოთ, რამდენად კონფლიქტური ადამიანი ხართ. ჩვენი ტესტი სწორედ ამას დაგეგმავს. რაც უფრო კონფლიქტურია პიროვნება, მით უფრო მეტია იმის შესაძლებლობა, რომ მას ბევრი მტერი შეეგვდეს. ქვემოთ მოყვანილი შეკითხვების სამი საგარაუდო პასუხიდან ერთ-ერთი შეარჩიეთ:

1) შეგიძლიათ თუ არა, სახალხოდაა გააკრიტიკოთ ზემდგომი, მუშაობაში დაშვებული შეცდომების გამო?

ა) არა, თქვენი თავის მტერი ხომ არ ხართ;

ბ) ეს ზემდგომთან თქვენს ურთიერთობაზე დამოკიდებულია;

გ) აუცილებლად გააკრიტიკებთ.

2) თუ უფროსი მოქმედების გეგმას გაცნობთ, რომელიც თქვენი აზრით არაეფექტური და არარაციონალურია, თქვენ კი მოქმედების საკუთარი გეგმა გაქვთ, გამოთქვამთ თუ არა საკუთარ შეხედულებებს?

ა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა თანაშრომლების მხარდაჭერის იმედი გექნებათ;

ბ) აუცილებლად გაცნობთ ყველას;

გ) გაჩუმდებით.

3) გიყვართ თუ არა მეგობრებთან და კოლეგებთან კამათი?

ა) მხოლოდ მაშინ კამათობთ, როცა კამათის შედეგად ურთიერთობის გაფუჭება არ არის მოსალოდნელი;

ბ) პრინციპულ და მნიშვნელოვან საკითხებზე კამათი აუცილებელია;

გ) ყოველთვის და ყველგან, უმნიშვნელო მიზეზის გამოც კი კამათობთ.

4) თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჩხუბის მომსწრე გახდით:

ა) მოშორებით დადგებით და არ ჩაერევით;

ბ) ჩაერევით და იმას დაიცავთ, ვინც თქვენი აზრით, მართალია;

გ) აუცილებლად ჩაერევით და საკუთარ შეხედულებას ბოლო წუთამდე დაიცავთ.

5) თუ ვინმე ურიგოდ გასვლას ცდილობს:

ა) თქვენც მას მიჰბაძვით და ურიგოდ გასვლას შეეცდებით;


ბ) აღშფოთდებით, მაგრამ თქვენს აღშფოთებას სახალხოდ არ გამოთქვამთ;

გ) ყველას გასაგონად გალანძღავთ ურიგოდ გასულს.

6) თუ შეამჩნევთ, რომ რესტორანში ოფიციალტი აშკარად გატყუებთ ანგარიშში:

ა) ხმას არ ამოიღებთ და თანხას გადაიხდით;

ბ) თავიდან დათვლევინებთ, რათა ანგარიშის სისწორეში თავ



გყავთ თუ არა მტრები?

ვად დარწმუნდით;

გ) მთელი რესტორნის გასაგონად სკანდალს მოაწყობთ და საქმის გასარჩევად, აღმინისტრაციას უხმობთ.

7) თუ სასტუმროში იმყოფებით და შეამჩნევთ, რომ თქვენი ოთახი ხშირად დაულაგებელია, ამ შემთხვევაში:

ა) აღშფოთდებით, მაგრამ პრეტენზიას არ გამოთქვამთ: ჩათვლით, რომ ამით მაინც არაფერი შეიცვლება;

ბ) სასტუმროს აღმინისტრაციას მიმართავთ და წესრიგის

დამყარებას მოსთხოვთ;

გ) მთელ რისხევას დამლაგებელს დაატყებთ თავს.

8) თუ თქვენს ქვეშევრდომთან კამათისას მიხედვით, რომ სიმართლე აშკარად მის მხარესაა, შეძლებთ თუ არა მისი თანდასწრებით აღიაროთ თქვენი შეცდომა?

ა) ვერ შეძლებთ;

ბ) აუცილებლად აღიარებთ;

გ) არ აღიარებთ, რადგან თქვენი აზრით, ამით კოლეგებში ავტორიტეტს დაკარგავთ.

თქვენს პასუხებს შეუსაბამით ქულები: ა) — 4; ბ) — 2; გ) — 0.

22-32 ქულა: თქვენ ძალიან ტაქტიანი ადამიანი ხართ, ზოგჯერ გადამეტებულადაც კი. არ გიყვართ კონფლიქტი და შეძლებისდაგვარად, ყოველთვის გაურბინხართ, ამიტომაც მტერი ნაკლები გყავთ. მაშინაც კი, როცა კამათში ერთვებით, უფიქრდებით იმას, თუ როგორ აისახება ეს თქვენს კარიერაზე, მეგობრებთან ურთიერთობასა თუ უბრალოდ, თქვენს სულიერ მდგომარეობაზე. მუდამ ცდილობთ, გარშემომყოფთა თვალში სასიამოვნო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოთ.

10-20 ქულა: საკმაოდ კონფლიქტური ადამიანი ხართ, ამას გარშემომყოფებიც აღნიშნავენ. ყოველთვის ცდილობთ საკუთარი შეხედულების დაცვას, ამასთან, არასოდეს აქცევთ ყურადღებას იმას, როგორ იმოქმედებს

კამათის შედეგები თქვენს კარიერასა და პირად ურთიერთობებზე. ამის გამო, გაფასებენ და ოდნავ გაგირბიან კიდევ. აშკარა მტრები არ გყავთ, მაგრამ არაკეთილმოსურნე საკმაოდ ბევრი გეყოლებათ. დაფიქრდით, რა სჯობს: აშკარა მტერი თუ ზურგს უკან დამალული არაკეთილმოსურნე?..

0-8 ქულა: თქვენ ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომელიც თავად ეძებს ჩხუბის მიზეზს, ეს კი, უფრო ხშირად, წვრილმანი და უბრალო მიზეზის გამო ხდება. მაშინაც კი, როცა გრძნობთ, რომ მართალი არ ხართ, ბოლომდე იცავთ საკუთარ შეხედულებებს და სხვებსაც ახვევთ თავზე. მტრები გყავთ და თუ კვლავაც უწინდებურად მოიქცევით, ისინი მოგიმრავლებათ კიდევ.

ცხოველების ჰოსპიტალი

ნიუ-იორკის ცენტრში განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაზარალებულ 150-ზე მეტ შინაურ ცხოველს სამედიცინო დახმარება, სპეციალურად ამ მიზნით ორგანიზებულ მობილურ ჰოსპიტალში გაუწიეს.

მოდრავი ჰოსპიტალი ცხოველთა დაცვის ამერიკულმა საზოგადოებამ იმ ცხოველებისთვის შექმნა, რომლებიც სასწრაფო ევაკუაციის დროს სახლების მცხოვრებლებს დაეკარგათ. გადარჩენილ ცხოველებს – კატებს, ძაღლებს, კურდღლებს და ფაუნის სხვა წარმომადგენლებს, ძირითადად ნერვული შოკი და სასუნთქი გზების პრობლემები აღენიშნებოდათ. ექიმთა ბრიგადა მათ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას უწევდა. გარდა ამისა, საზოგადოებამ „ცხელი ხაზი“ გახსნა თავისი შინაური ცხოველების ჯანმრთე-



ლობის მდგომარეობით შეშფოთებული პატრონებისთვის და ადვოკატური მომსახურება შესთავაზა მათ, ვინც საყვარელი შინაური ცხოველი ტრაგედიის დროს დაკარგა.

მშიეხმა პითონმა პიტბუდი გადასანსდა

ჩრდილოეთ კალიფორნიის ქალაქ მერსედის პოლიციაში ცხოველების ადგილობრივმა მოყვარულმა შინაური პითონის დაკარგვის შესახებ მას შემდეგ შეიტანა განცხადება, რაც აღმოაჩინა, რომ მისი ორმოცდაათკილოგრამიანი ბინადარი გალიიდან გაუჩინარდა. ქვეწარმავალი მცირე ხნის შემდეგ, თვით განმცხადებლის სახლის ქვეშ იპოვეს, მაგრამ ამავე დროს გაირკვა, რომ დაზარალებულს კიდევ ერთი ცხოველი – რვაკილოგრამიანი

პიტბული დაჰკარგვოდა. ამის ახსნა კი, საკმაოდ ადვილად შეძლეს: „პითონის სხეული შუაში გამობერილი აღმოჩნდა და პატრონი მამინვე მიხვდა, რომ იქ სწორედ მისი ცხრა თვის პიტბული იყო“. გამძლარი და გაპარული პითონის შინ დასაბრუნებლად, პატრონს და მის მეგობრებს სამი საათი დასჭირდათ, პოლიცია კი ამ დროს მოვლენების განვითარებას გარკვეული დისტანციიდან ადევნებდა თვალს...



ჯგუფმა TACKYL ბინ დაენი დასამაჩა

ამერიკულმა როკ-ჯგუფმა TACKYL ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბინ ლადენის სიკვდილის შესახებ, სიმღერა დაწერა. თავის ნამუშევარს ჯგუფი საზოგადოებას, რადიოს მეშვეობით გააცნობს.

სიმღერა – OPEN INVITATION („ღია მიწვევა“) იწყება სიტყვებით „მე მძულხარ, ბინ ლადენ“ და ეს ფრაზა 4-ჯერ მეორდება. შემდეგ მუსიკოსები ტერორ-

ისტს პირისპირ შესახველად იწვევენ. სიმღერის შინაარსის თანახმად, TACKYL-ს ავღანეთის თავზე ყუმბარის ჩამოგდება სურდა, შემდეგ – ბინ ლადენის თავიდან თავსაბურავის მოგლეჯა და მისი მეშვეობით ტერორისტის მონჩობა განიზრახეს... ჯგუფის წევრები ირწმუნებიან, რომ სიმღერა მხოლოდ ტერორისტს ეხება და არა მთელ მუსლიმანურ სამყაროს.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა დავით თევზაძემ, კახა თარგამაძემ და ვახტანგ ქუთათელაძემ. ვულოცავთ ბატონ დავითს, ბატონ კახას და ბატონ ვახტანგს და ვუსურვებთ წარმატებებს!

დანარჩენნი
(მკითხველის გვარი, სახელი)
(ცნობილი პიროვნებები)


ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მთარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეაფასოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (23 ოქტომბრის) 13 საათამდე.



**„ფანტაზია“
დანარჩენნი**



**„ფანტაზიორებს
გკითხველი“
სამი „გრასია“**



თავგზაბნეულ
მაყურებელი
თვალწინ ანა ის
მოურიდებელი
ისრება ხოლმე
რომ მთლიანად
ურანს ბიკინი.

გვ. 36

632/
37